140
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ЗНАК ПОЧЕТА

# ჯიღნაური

12
1978




ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინური კომკავშირის სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად საქართველოს კპ ცკ პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე ცკ სამახსოვრო დროშას გადასცემს საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჟ. შარტავას.

# 1918. რევოლუციის დროშის ერთგულებით 1978.

მთელმა ჩვენმა სამშობლომ ზეიმით აღნიშნა კომკავშირის სახელოვანი სამოცი წლისთავი. ბევრმა თქვენგანმა ტელევიზიით ნახა მოსკოვში გამართული საზეიმო სხდომა, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა. მოისმინა და სამუდამოდ დაიმახსოვრა მისი გულითადი სიტყვები კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპატიო დროშით ლენინური კომკავშირის დაჯილდოების დროს წარმოთქმული: „წითელი დროშა — ეს არის ჯილდო, რომელიც ეკუთვნის კომკავშირის ყველა თაობას“...

ყოველ პიონერს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „თითოეული ახალგაზრდა ლენინელი უნდა იყოს აქტიური პოლიტიკური მებრძოლი, საქმით შეეძლოს განახორციელოს ლენინური პოლიტიკა და შეურიგებლად იბრძოლოს მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ“.

ასევე დიდი ზეიმით აღინიშნა საიუბილეო დღეები საქართველოშიც. იუბილესათვის შესახვედრად მზადება ადრევე დაიწყო. შრომით ვახტზე იდგა საქართველოს მთელი კომკავშირი, სწავლაში მაღალი მიღწევებითა და მრავალი სასახელო აქციით შეჰგებნენ მას ჩვენი პიონერებიც. ამ სახალხო ზეიმის არც ერთი ღონისძიება არ ჩატარებულა ისე, რომ მასში ნორჩ ლენინელებს არ მიეღოთ მონაწილეობა, თავისი წკრიალა ხმა არ შეეერთებინოთ მისთვის. ასე რომ, ყოველი თქვენგანი იყო ამ საერთო სახალხო ზეიმის მონაწილე.

საიუბილეო სხდომაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. მან ახალგაზრდობას მიულოცა სახელოვანი იუბილე და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშა გადასცა საქართველოს კომკავშირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიდარის ჩანთა

მოთხრობა* — ძიება

მოდი, სვეტლანა, ღუმელს უკან ჩემი სალაშქრო ჩანთა ჩამოვხსნათ...

ა. გაიდარი. „ცისფერი ფინჯანი“

ბორის კამოვი

მხატვარი
ს. ტროფიმოვი

15844

## „ღ ე ს მ ე კ ა ლ მ ი თ ვ ი ბ რ ძ ვ ი“

არკადი პეტრეს ძე ლოგინიდან ადგა, ძველი არმიული ჩვევისამებრ სწრაფად და უხმაუროდ ჩაიცვა გალიფე, გიმნასტურა და ჩექმები, სკამზე გადაკიდებულ მეთაურის ბალთიან ქამარს სწვდა და თითის წვერებზე გავიდა ოთახიდან.

სამზარეულოში პირი დაიბანა, მოკლედ შეკრეჭილი თმა გადაივარცხნა და იმით კმაყოფილი, რომ არავინ არ გაუღვიძებია, დერეფანში გავიდა. კიბის თავზე საათს დახედა: შვიდის ოცი წუთი იყო. სწორედ კარგი დრო.

დიდი სახაზინო შესახვევით გაიდარი ჩკალოვის ქუჩაზე, წითელ ჭიშკართან გავიდა, მეტროში ჩაჯდა და არბატზე გადმოვიდა, სამხედრო საქონლით ვაჭრობის მაღაზიასთან.

ვიტრინებთან, სადაც კიტელებიანი და ფარაჯებიანი მანეკენები იდგნენ, ხალხი ირეოდა. ყველა მოუთმენლად შესცქეროდა მაღაზიის თავზე დაკიდებული დიდი საათის ისრებს. ზუსტად შვიდზე ქუჩის რეპროდუქტორი ჩაირთო და მაღაზიის კარიც გაიღო. ხალხი სასწრაფოდ მიაწყდა შესასვლელს. გაიდარი და კიდევ რამდენიმე კაცი კი რეპროდუქტორთან დარჩნენ. გადმოსცემდნენ ცნობას: „19 ივლისს გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ფსკოვის, სმოლენსკისა და ნოვოგრად-ვოლინსკის მიმართულებით“...

რაღაც უკვე დიდი ხნის დავიწყებული წამოტივტივდა მეხსიერებაში... ჰო, რა თქმა უნდა, 1919... გაიდარი კიევის მეთაურთა კურსებზე სწავლობდა. 15 წლისა კომკავშირული რგოლის მდივნად აირჩიეს, რაზმი ჩააბარეს და დაავალეს ნოვოგრად-ვოლინსკის მახლობელ ტყეებში ატამან ოგლობლიას ბანდა გაენადგურებინა. მაგრამ ოგლობლია გაქნილი და ცბიერი ადამიანი იყო, გაიდარმა დიდხანს ვერ მოახერხა მისი ხელში ჩაგდება, მანამდე, ვიდრე არ დაეხმარა... თვითონ ატამანი...

ოგლობლიამ კაცი გამოაგზავნა იმ ჭის მოსაწამლავად, საიდანაც მებრძოლები წყალს იღებდნენ. მაგრამ კაცი დაიჭირეს და ყველას ჩუმად სარდაფში ჩაამწყვდიეს. მცხოვრებლებს კი გაიდარმა (იმ ხანად ის ჯერ კიდევ გოლიკოვი იყო) სთხოვა დილისათვის საზიდრები მოემზადებინათ: ჯარისკაცებს მუცლები აეშალათ, საავადმყოფოში არიან წასაყვანიო.

ჯარისკაცებში „მოდებული სენის“ ამბავი ტყეშიც შეიტყვეს. ღამით ყაჩაღები ღრიალითა და „ოჰოჰოო, ჭირიანებოს“ ძახილით სოფელში შემოიჭრნენ... და ოთხი ტყვიამფრქვევის ცეცხლში ერთიანად ჩაიხოცნენ.

... ნოვოგრად-ვოლინსკის მიმართულებით არკადი პეტრეს ძე ხვალ, 1941 წლის 21 ივლისს უნდა წასულიყო.

სამხედრო მაღაზიის ფართო მარმარილოს კიბით იგი ოპტიკის განყოფილებაში ავიდა და სქელ ბუდეში ჩასმული საველე დურბინდი იყიდა, სპორტსაქონელში ნაჭრის ღვედებიანი ჯარისკაცური აბგა აიღო, იქვე, ტურისტების ვიტრინაში რამდენიმე პირიანი დასაკეცი ჯაყვა და კომპასი დაინახა, ფული გადაიხადა და გვერდითა განყოფილებაში გავიდა — აქ რვეულები, ოთხი ჯიბის ბლოკნოტი, ერთი დუჟინი უბრალო ფანქრები, ფერადი ფანქრების კოლოფი „ტაქტიკა“, ორი საშლელი — ფანქრისა და მელნისა და ორი შეკვრა საწერი ქაღალდი იყიდა. ყველაფერი აბგაში ჩააწყო, ზონარი შემოუჭირა და ტყავგალანტერიაში გავიდა, რომ უკანასკნელი საყიდელი — ჩანთა შეეძინა.

საველე ჩანთას ის ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროს შეეჩვია: მძიმე არ იყო და მოხერხებული კი ძალიან — გამოუჩნდებოდა თუ არა თავისუფალი წუთი, რვეულს ამოიღებდა — ან ბრძანების ტექსტს შეადგენდა, ან შინაურებთან წერილს დაწერდა, ან დასამახსოვრებლად რამდენიმე აზრს ჩაიწერდა.

სამოქალაქო ომის შემდეგაც ის ფარაჯით, გიმნასტურით, ჩექმებით და თავისი დაძველებული ჩანთით დაიარებოდა. მაგრამ ახლა, გზაზე დამდგარმა, გადაწყვიტა, ახალი ჩანთა ეყიდა.

გამყიდველ ქალს მან სთხოვა კედლიდან ჩამოეხსნა და ეჩვენებინა ნაგანის ბუდისა და მხარიღლივ სახმარი ღვედის გვერდზე დაკიდებული ჩანთა.

ქალიშვილმა გადმოუღო. არკადი პეტრეს ძემ ჩანთას საკეტიდან ტყავის ენა გამოაძრო და გახსნა: შიგ ორი განყოფილება იყო, კიდევ — ფანქრების ჩასაწყობი ბუდე და სპეციალური ადგილი კომპასის ჩასადებად, მაგრამ ტყავის ფერი გაიდარს ძალიან ღია ეჩვენა და ამიტონ მუქი ყავისფერი ჩანთა აირჩია...

... შინ არკადი პეტრეს ძეს საუზმე ელოდა. დივანზე და სკამზე ეწყო პერანგები, წინდები, პირსახოცები, ახალი გიმნასტურა — დორა მათეს ასულს უკვე გაემზადებინა საგზაოდ წასაღები ნივთები.

— დორიკ, ამდენი არა მჭირდება, — რბილად უთხრა გაიდარმა ცოლს, — ათი დღით მივდივარ.



არკადი გაიდარის ერთ-ერთი ადრინდელი ფოტო

* მოთხრობა იბეჭდება შემოკლებით.

გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

12 დეკემბერი 1978

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



არკადი გაიდარი ფრონტზე

საუზმისათვის ხელი არ უხლია, ნივთებიდან გადაარჩია, რაც აუცილებლად სჭირდებოდა და აბგაში ჩააწყო, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა და ჩანთის ჩაწყობას შეუდგა. ფანქრებს სათლელით წვერი წაუთალა და სათითაოდ ბუდეებში ჩააწყო, თავის ადგილზე ჩაამაგრა მანათობელ ისრებიანი კომპასი, მთავარ განყოფილებებში ორი ასფურცლიანი რვეული, ოთხი ბლოკნოტი და „თემურისა და მისი რაზმის" ხუთი ეგზემპლარი ჩადო, ჩანთა ჩაკეტა და სკამის საზურგეზე გადაკიდა, გაეცინა: საგზლად ქათამი რომ ჰქონოდა მოხარშული, უკვე მზად იყო გასამგზავრებლად.

## გაცილება

თემური მოსკოვში არ იყო, ჩისტოპოლში ევაკუაციაში ცხოვრობდა. არკადი პეტრეს ძეს დორა მათეს ასული და ჟენია აცილებდნენ.

სადარბაზოდან გასულებმა დაინახეს რომ სახლთან ოციოდე გოგონა და ბიჭი იდგა, ქათქათა კოფტები და გაკრიალებული პერანგები ეცვათ, საზეიმოდ დაუთოებული ყელსახვევები ეკეთათ და მკერდზე წითელი მეთაურული ვარსკვლავები ებნიათ.

არკადი პეტრეს ძე მოულოდნელობისაგან შედგა და აბგის სწორება დაიწყო. ტროტუარზე და ქვაფენილზე მდგომ ბავშვებს იგი ყველას იცნობდა. ეს მისი ამხანაგები იყვნენ. მათთან მიდიოდა ხოლმე, როცა უხაროდა რამე და მაშინაც, როცა კრიტიკოსები აგინებდნენ მის ახალ წიგნს. ეზოში შეშის გროვაზე ჩამომჯდარი მათ უკითხავდა ხოლმე „თემურის" სცენარს და კინომოთხრობას „თოვლის ციხის კომენდანტს", მათგან ისმენდა პირველ, თავისთვის ყველაზე უფრო ავტორიტეტულ აზრს და იქვე ფანქრის ნალევით ტექსტში ჩასწორებები შეჰქონდა. კითხვის შემდეგ ხშირად ბავშვები მენაყინესთან მიჰყავდა და თან გზაზე შემხვედრ ყველა ბავშვს ეპატიჟებოდა პირის ჩასატკბარუნებლად. ან არადა ბავშვებთან ერთად კაფეში მიდიოდა, რომ ნამცხვრებით ყავა დაელიათ.

ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ უახლოეს კინოთეატრში მთელ სეანსს შეისყიდდა, თვითონ კონტროლიორის ადგილზე დადგებოდა და თუ უცხო ბავშვები გაუბედავად გაჩერდებოდნენ შესასვლელში, რადგან ვერ დაეჯერებინათ, რომ უბილეთოდ უშვებდნენ, აგულიანებდა მათ: „მობრძანდით, შემობრძანდით. დღეს ჩემი სტუმრები ხართ".

ყოფილა შემთხვევები, რომ, როცა დარბაზში ტევა უკვე აღარ იყო, მომსვლელები კი არ ილეოდნენ, გაიდარს თვითონ მოჰქონდა ფოიედან სკამები.

და აი ახლა ბავშვები ისევ შეკრებილიყვნენ.

— საიდან გაიგეთ? — ჰკითხა მათ გაიდარმა.

გოგონებმა და ბიჭებმა ჩაიცინეს და ჟენიას გადახედეს. და არკადი პეტრეს ძე მიხვდა — „საერთო შეკრების ნიშანი, პირველი ნომერი" მან მისცა ბავშვებს. გაიდარმა თვითონ მოიგონა ეს რიტუალი. მის წიგნში და ფილმში თემურისა და მისი რაზმის შესახებ მთელი დაბა — დიდი თუ პატარა — სიმღერით მიაცილებს ფრონტზე გიორგი გარაევს. ახლა კი დიდი სახაზინო შესახვევის და ახლომახლო ქუჩების ბავშვები მის გასაცილებლად შეიკრიბნენ. არკადი პეტრეს ძეს გული აუჩუყდა. მაგრამ წარმოიდგინა, რამდენი ხალხი იქნებოდა ახლა კურსკის ვაგზალზე, რამდენი ტირილი და ცრემლები, და თქვა: „ოღონდ გასაყარამდე".

დიდი სახაზინოს და ჩკალოვის ქუჩების გასაყარზე გაიდარი გაჩერდა და თითოეულ ბავშვს, ოდნავ დახრილმა, გულიანად ჩამოართვა ხელი. მერე კი დორა მათეს ასულთან და ჟენიასთან ერთად მარჯვნივ, სადგურისაკენ იბრუნა პირი.

უკან სხვადასხვა ხმაზე მოუთმენლად აყვირდნენ სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების სიგნალები. გაიდარი მიბრუნდა.

რაკი არ შეეძლოთ დაერღვიათ გაიდარის ბრძანება „მხოლოდ გასაყარამდე", ბავშვები ქვაფენილზე გადასულიყვნენ და ჩამწკრივებულებს მოძრაობა გადაეკეტათ. არკადი პეტრეს ძე შემობრუნებული რომ დაინახეს, სიხარულით ყიჟინა დასცეს და ხელების ქნევა დაიწყეს, მაგრამ საყვირების ხმაურში სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. გაიდარმა მაღლა ასწია ფართო ხელისგული: „გხედავთ და მადლობელი ვარო", მერე კი სწრაფად ჩამოიქნია: „ახლავე დაბრუნდითო". საყვირები შეწყდა, ბავშვები გაქრნენ, თითქოს ალალმა ჩამოუქროლათ.

გზად არკადი პეტრეს ძე „მომენტალურ ფოტოგრაფიაში" შევიდა (ბავშვობიდან უყვარდა სურათის გადაღება და როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, უსათუოდ უნდა გადაეღო), ქვითარი კი დორა მათეს ასულს გადასცა.

მეორე დღეს დორა მათეს ასულმა ფოტოსურათები გამოიტანა. გაიდარი ძალდაუტანებელ პოზაში იჯდა: ნახევრადმეომრული ქუდი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული, თვალები უცინოდა, პირი ოდნავ გაღებული ჰქონდა (თითქოს რაღაც სასაცილოს თქმას აპირებსო), მკერდზე და მხრებზე კი რამდენიმე ღვედი ჰქონდა გადაჭერილი. ორი — სიგრძივ — ზურგჩანთისა, ორი წვრილი, გადაჯვარედინებული თასმა — დურბინდის და დაკეცილი მოსასხმელი ლაბადისა, და ფართო მარცხნივ მხარიღლივ გადაჭერილი — ჩანთის, ჩვეულებრივი, მეთაურული ტყავის ჩანთისა.

## მოგონებები ჩანთაზე

ფრონტზე გაიდარის ჩანთას ყველა ამჩნევდა. ის თითქოს მისი — ჯარისკაცისა და ჟურნალისტის მთლიანი სახის ნაწილად იქცა.

პოლკოვნიკი ალექსანდრე დიმიტრის ძე ორლოვი (1941 წელს 36-ე საავიაციო გამანადგურებელი დივიზიის შტაბის უფროსი).

გაიდარმა და მე დივიზიის პოლიტგანყოფილებაში გავიცანით ერთმანეთი და მე მაშინვე მივაქციე ყურადღება, რომ ის უიარაღოდ იყო, მხოლოდ საველე ჩანთა ჰქონდა თან. „სად არის თქვენი იარაღი, ამხანაგო კორესპონდენტო?" — ვკითხე. იგი დაიბნა. შემდეგ სწრაფად მიპასუხა: „დღეს მე კალმით ვიბრძვი, ამხანაგო პოლკოვნიკო".

უფროსი ლეიტენანტი ივანე ნიკოლოზის ძე პრუდნიკოვი (1941 წელს 306-ე პოლკის მე-2 ბატალიონის მეთაური.)

— ჩემთან, სამეთაურო პუნქტზე გაიდარი საღამოხანს მოვიდა, ჩანთა გახსნა, სანახევროდ ავსებული შავყდიანი რვეული ამოიღო და მთხოვა, მეამბნა რამე საუკეთესო მებრძოლებზე. შუა საუბარში ვიყავით, რომ კარი გაიღო, დაზვერვის მეთაური ბობოშკო შემოვიდა და მომახსენა, რომ მებრძოლები მზად იყვნენ დავალების შესასრულებლად. მე ავუხსენი მწერალს, რომ მზვერავები „მოენის" შესაპყრობად მიდიოდნენ.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, — წარმოთქვა გაიდარმა, — ნება მომეცით მეც თან წავყვე.

მე დავიბენი:

— განა ღირს თავი საფრთხეში ჩაიგდოთ, ამხანაგო მწერალო?

— მე მარტო იმაზე შემიძლია ვწერო, რაც ჩემი თვალით მინახავს და ჩემს თავზე გამომიცდია...

— რაკი ასეა, — მივუგე მე, — რაც კი ქაღალდები გაქვთ, თქვენი დოკუმენტები და ორდენი, ყველაფერი ჩამაბარეთ.

გაიდარმა უბის ჯიბიდან მწერალთა კავშირის წევრობის ბილეთი ამოიღო, „საპატიო ნიშნის" ორდენი მოიხსნა და მხრიდან საველე ჩანთა ჩამოიღო. სამაგიეროდ მე ჩემი პლანშეტი მივეცი რუკითურთ.

... ოცეული გამთენიისას დაბრუნდა. მებრძოლებმა თან მოიყვანეს ტყვე უნტერ-ოფიცერი და მძიმედ დაჭრილი ბობოშკო. ერთ-ერთმა მზვერავმა კი ასე მითხრა:

— ჩვენი მწერალი ჩვენს საქმეში ნაცადი კაცი აღმოჩნდა. იცით, მაგან გვიკარნახა, სად უნდა მიგვეგნო „მოენისათვის".

გაიდარს თავისი დოკუმენტები, ორდენი და ჩანთა დაუბრუნეს.

პრუდნიკოვის ბატალიონში არკადი პეტრეს ძე ხშირად ჩადიოდა, ბრძოლებში მონაწილეობდა, პრუდნიკოვსა და მის წითელარმიელებზე დაწერა ნარკვევი „გადასასვლელთან", და როგორც კი შემთხვევა მიეცა, ისევ სურათი გადაიღო. სურათი შემონახულია და დღეს ფართოდ ცნობილი.

არკადი პეტრეს ძე ჯირკზე ზის. მის ხელმარცხნივ განმარტოებით მდგომი ალვის ხეა. გაიდარს ღონივრად აქვს გაშლილი მხარბეჭი. ზუჩი ახურავს. მუხლებზე შპტ (შპაგინის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი) უდევს. ხელში თავისუფლად ეტევა ავტომატის ვაზნების კოლოფი. ფოტოგრაფიამ კიდევ ორი მნიშვნელოვანი წვრილმანი შემოგვინახა.

გაიდარის გიმნასტურის მარჯვენა ჯიბე ძალიან გამობერილია, შიგ ნაალაფევი პისტოლეტი „ვალტერი" დევს; მარჯვენა იდაყვით კი არკადი პეტრეს ძე თითქოს ფართო სადგარს ეყრდნობაო— დურბინდის ბუდის უკან გატენილი ჩანთაა, ის, არბატზე სამხედრო მაღაზიაში ნაყიდი ჩანთა. ეს ერთადერთი საშუალებაა, დავინახოთ ამ ჩანთის კიდე მაინც...

## თავგადასავლების დასაწყისი

რამდენიმე დღის შემდეგ გაიდარი მოსკოვში გამოიძახეს. გზაზე ეშელონს მტრის თვითმფრინავები დაესხნენ თავს. მემანქანემ მატარებელი გააჩერა. მგზავრები ვაგონებიდან გამოცვივდნენ. გაიდარი ქვიშაყრილზე გადახტა და მეჩხერ ტყეს შეაფარა თავი.

ველური მსხლის ქვეშ მწოლარე ადევნებდა ის თვალს მემანქანისა და მფრინავების ორთაბრძოლას. მემანქანემ სწრაფად დასძრა შემადგენლობა. „მესერები" უკან მოექცნენ ეშელონს. მემანქანემ მკვეთრად დაამუხრუჭა და ბომბები ორთქლმავალზე კარგა წინ ჩამოვარდა.

მაგრამ არკადი პეტრეს ძემ დაინახა, როგორ მოსწყდა თვითმფრინავის ფრთას ერთი პატარა ბომბი, რკალი შემოხაზა და მუქი ალუბლისფერი ვაგონის სახურავზე დაეცა. მუქი ალუბლისფერი ვაგონი კი ერთადერთი იყო — გაიდარის ვაგონი. ბომბმა ნამსხვრევებად აქცია იგი.

კუპეში კი არკადი პეტრეს ძეს ნივთები და ჩანთა დარჩა, ჩანთა, რომელშიც ეწყო ხელნაწერებით სავსე რვეულები და ბლოკნოტები, უკვე დამთავრებული და ახალდაწყებული ნარკვევები და მოთხრობები, პირველი ჩანახატები „მერესათვის" — შემდგომ დასაწერი დიდი წიგნებისათვის.

მოსკოვში გაიდარი უკვე სხვა მატარებლით ჩავიდა. სახლში მისულს მას არც ფარაჯა ეცვა, არც ქუდი ეხურა, არც დურბინდი და ნივთების ჩასალაგებელი აბგა ჰქონდა თან. და არც ტყავის ჩანთა



## მთავარი ჩანთა

მოსკოვში გაიდარი რამდენიმე დღეს დარჩა — ისევ გზას უნდა დასდგომოდა. სამხედრო საქონლის მაღაზია არბატზე ისევ მუშაობდა. და გაიდარმა იყიდა სამხედრო ქუდი, რომლის პრიალა კეპზე ვარსკვლავი იყო მიბნეული, და მხარიღლივ გადასაკიდებელი, ერთგანყოფილებიანი, ზონარით შესაკრავი აბგა. მერე საკანცელარიო საქონლის განყოფილებაში ასი ფანქარი აიღო სანგარში გასასაჩუქებლად და კიდევ — ყალამქრის ყდაში ჩასმული ექვს-ექვსი ბლოკნოტი და რვეული. იმავე გამყიდველ ქალთან კი მუქი ყავისფერი მეთაურული ჩანთა შეიძინა.

... მეორე ახალი ჩანთაც ყველას დაამახსოვრდა ფრონტზე. როცა ჩვენმა არმიამ კიევი დატოვა, გაიდარმა ქალაქში დაზვერვაზე წასვლა მოითხოვა. ბატალიონის კომისარი ე. ფ. ბელოკონევი ხედავდა, როგორ ჩაიდო არკადი პეტრეს ძემ ფარაჯის ჯიბეში პისტოლეტი, სამარაგო ვაზნების მჭიდი, რამდენიმე გრანატა, შემდეგ ჩანთიდან სამი რვეული ამოიღო, ორი ჩექმის ფართო ყელში ჩაიდო, მესამე კი, ბიჭივით, გიმნასტურის ქამარში გაიჩარა.

დილით რომ დაბრუნდა, გაიდარმა შეატყობინა მეთაურს რაც ნახა, მერე კუთხეში თავისი სანახევროდ დაცარიელებული ჩანთა აიღო, შიგ რვეულები ჩააწყო და ისევ მხარზე გადაიკიდა.

... და აი... მოულოდნელი დეტალი ყოფილი ლეიტენანტის სერგეი ფედორის ძე აბრამოვის ნაამბობში, იმ ადამიანის ნაამბობში, ვინც გაიდარი სწორედ კიევის გარემოცვის დღეებში გაიცნო.

— არკადი პეტრეს ძეს გვერდზე ძალიან გამობერილი ჰქონდა ფარაჯა იმიტომ, რომ შიგნით ჩანთა ეკიდა.

— როგორი? — შევეკითხე.

—როგორი უნდა ყოფილიყო? ჩვეულებრივი. ბრეზენტისა, გაზსაწინაღო.

— კი მაგრამ, ჯერ კიდევ ბორისპოლკის გზატკეცილთან ხომ ტყავის ჩანთა ჰქონდა, — დავეჭვდი მე.

— არ ვიცი იქ რა ჰქონდა,—მიპასუხა აბრამოვმა, მაგრამ სემიონოვკის ტყეში გაზსაწინაღო ჩანთით მოვიდა.

... მე პოლკოვნიკ ორლოვს მივწერე: „მაინც როგორი ჩანთა ჰქონდა გაიდარს? სხვადასხვა აზრს ვაწყდები. არ ვიცი, როგორი ჩანთა უნდა ვეძებო“.

ორლოვმა პასუხად მომწერა: „რვეულები გაიდარს ჩანთაში დაჰქონდა. კიევში მეთაურული ჩანთა ჰქონდა, მაგრამ გარემოცვისას რომ შევხვდი, მხარზე უკვე ბრეზენტის გაზსაწინაღო ჩანთა ეკიდა... არ ვიცი, წინა ჩანთა დაკარგა თუ გაუცვალა ვინმეს...“

გაიდარს მესამე ჩანთა გამოუჩნდა, მაგრამ რა იქნა მეორე? იქნებ ბლინდაჟში დარჩა, ბლინდაჟს კი ყუმბარა მოხვდა? ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ არკადი პეტრეს ძეს წესად ჰქონდა, შეცდომები არ გაემეორებინა. პირველი ჩანთის დაკარგვის შემდეგ უსათუოდ გაუფრთხილდებოდა მეორეს. იქნებ მეორე ჩანთა არც დაუკარგავს? იქნებ... იქნებ გაუცვალა ვინმეს?

შეიძლება, რომ ეს საჭირო გამხდარიყო? შეიძლებოდა. გარემოცვაში ბევრი რამე უნდა ეტარებინა კაცს თან: სამარაგო ვაზნები, ხელყუმბარები და ფალიები (გაიდარს არ უყვარდა, როცა გრანატები წელზე ეკიდა). გარდა ამისა, საჭირო იყო ცოტაოდენი საჭმელი მაინც: პურის ყუა, ერთი ქილა კონსერვი, ორი-სამი კონცენტრატი, რამდენიმე ნატეხი შაქარი. ნივთების აბგის თრევა მან არ მოინდომა. ქაღალდებით გატენილ ტყავის ჩანთაში კი ეს ყველაფერი არ ჩაეტეოდა. ალბათ ამიტომ შეარჩია გაზსაწინაღო ჩანთა, მწვანე გოფრირებული კოლოფი და დახვეულმილიანი დიდთვალება ნიღაბი ამოაძრო და გადააგდო, და ბრეზენტის ცარიელ შალითაში გადაალაგა ყველაფერი, რაც ტყავის ჩანთაში და ჯიბეებში ეწყო.

...საძებნი იყო ბრეზენტის ჩანთა.

## რა იყო ჩანთაში?

ფრონტზე და პარტიზანულ რაზმში ასობით თვალი აკვირდებოდა გაიდარს, ხედავდა, როგორ დადიოდა ის, როგორ იჯდა, როგორ ჭამდა, ლაპარაკობდა, იცინოდა, კამათობდა, როგორ ეკავა ხელის ტყვიამფრქვევი, როგორ თლიდა ფანქრებს და ითბობდა ხელებს ცეცხლთან, იხვევდა ფეხსახვევებს, იცვამდა ფარაჯას, ესაუბრებოდა ბავშვებს, და ამ დაჟინებული, არკადი პეტრეს ძისათვის დამქანცავი, თავის მომაბეზრებელი ყურადღების წყალობით ორი ათეული წლის გავლის შემდეგ მოგვეცა საშუალება დიდად მნიშვნელოვანი ცნობები შეგვეკრიბა მწერალზე. და იმაზე, თუ რა ჰქონდა მას თავის ჩანთაში.

## პოლკოვნიკ ორლოვის მოგონებებიდან

„... მდევარს რომ დავმალოდით, ღამე ფონით გადავიარეთ მდინარე. დილით დასასვენებლად შევჩერდით. გაიდარმა აღმოაჩინა, რომ დოკუმენტები და ხელნაწერები დასველებულიყო. ჩანთიდან ყველაფერი გადმოყარა და რვეულებსა და ბლოკნოტებს მიჰყო ხელი. საბედნიეროდ, ძალიან არ იყო დასველებული, სამაგიეროდ, ცალკეული ფურცლები იყო გაფუჭებული: ეს იყო ჩანაწერები რვეულიდან ამოხეულ გვერდებზე, თეატრალური აფიშების ნაგლეჯებზე, ჩვენი თუ გერმანული პოლიტიკური ფურცლების სუფთა მხარეს, ჩემთვის გამორთმეული საფრენი ფურცლის ბლანკებზე, ის კი არა, იმ ქაღალდზეც კი, რომელშიც კონცენტრატი იყო გახვეული. ქაღალდი ფრონტზე ძალიან ჭირდა.

გაიდარმა სათითაოდ გაასწორა ფურცლები და კოცონის ირგვლივ ტოტებზე დაამაგრა გასაშრობად, რამდენიმე ფურცელი კი დიდხანს ხელით ეკავა ცეცხლზე.

იმ საღამოს არკადი პეტრეს ძემ მითხრა, რომ ორი ნარკვევი ჰქონდა მზად; ერთი ჩვენი დივიზიის მფრინავებზე: ლეიტენანტ ხლიასტაჩზე, რომლის ბრძოლას და ტარანს თვითონ ადევნა თვალი, და ესკადრილიის მეთაურზე, კაპიტან სოლდატოვზე. ამ ნარკვევის სათაური იყო, თუ არ ვცდები, „სამშობლოსათვის“. მეორე ნარკვევი „მეოცე საუკუნის ბარბაროსები“ კი საბჭოთა ადამიანების მხეცურ წამებაზე ჰქონდა დაწერილი.

მე ვთხოვე არკადი პეტრეს ძეს, როცა შემთხვევა მოგვეცემოდა, წაეკითხა ეს ნარკვევები. ნარკვევებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. არკადი პეტრეს ძეს სხვა, დაუმთავრებელი ნაწერებიც ჰქონდა, მაგრამ მათზე ჩემთან არასოდეს არაფერი უთქვამს“.

**პარტიზანული რაზმის მზვერავის მარია მოსეს ასულ დენისენკოს (ქალიშვილობის გვარი ილიაშენკო) მოგონებებიდან.**

„1941 წელს იგი თხუთმეტი წლისა იყო, სქელ ნაწნავებში ყვითელი აბრეშუმის ლენტი ჰქონდა ჩაწნული და ნორჩ მზვერავს გაიდარმა „ყვითელი ლენტი“ შეარქვა.

„ბანაკში კოცონთან ვისხედით. ერთ-ერთი პარტიზანი, ყოფილი მეგზური დემიან კოსტოვიჩი ვიოლინოზე უკრავდა და მღეროდა:

ველებზე და გორაკებზე
მიდიოდა დივიზია.

სიმღერა გუნდმა აიტაცა და როცა მორჩნენ, ყველამ გაიდარს მიმართა: „არკადი პეტროვიჩ, წაგვიკითხეთ, რასაც წერთ, ცოტა მაინც“.

მე მომეჩვენა, რომ გაიდარი დაიბნა. ძალიან გულწრფელად სთხოვდნენ. არადა რაღაც უშლიდა დათანხმებულიყო. იგი ჯერ გაჩუმდა, მერე გვიპასუხა:

— ჩემს ჩანაწერებს ახლა არ წაგიკითხავთ. ეს მხოლოდ დაკვირვებები და მონახაზებია. წიგნი რომ დაიბეჭდება, თვითონ წაიკითხავთ. ისე კი იმაზე ვწერ, როგორ გავხდით განსაცდელის ჟამს ჯარისკაცები. ჩვენ ყველა სხვადასხვა მხრიდან ვართ, სხვადასხვა ბედის ადამიანები, მაგრამ მოულოდნელად და სახიფათოდ შემოტრიალდა ჩვენი ცხოვრება და „ტყიურ ძმებად“ გვაქცია. თქვენზე ბევრი რამე დავწერე. ამ ტყიდან, ამ ალყიდან თუ გავაღწიეთ, ჩვენი ქვეყანა ჩვენს საქმეს არ დაივიწყებს.

მე გაიდართან გამოსათხოვებლად მივედი და შევეკითხე:

— არკადი პეტროვიჩ, განა თქვენ მარტო ომზე წერთ?

— მართალი ხარ. ბევრ რამეზე ვწერ, მაგრამ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ომზე.

— ადრე მარტო საბავშვო წიგნები გქონდათ, ახლა დიდებისათვის დაწერთ?

— მე იმედი მაქვს, რომ ბევრ წიგნს დავწერ, — მიპასუხა არკადი პეტრეს ძემ. — მე მინდა დავწერო რომანი დიდებისათვის, მაგრამ უსათუოდ ჩავწერ შიგ ბავშვებზედაც. დავწერ რომანს ბავშვებისათვის, მაგრამ უსათუოდ მოვყვები ამ რომანში პატარებისა თუ დიდების ვაჟკაცობის ამბავს... გულით მინდა დავწერო შენი თაობის კომკავშირელებზე, რადგან, როცა მე შენი ხნისა ვიყავი, მეც პირველად აქ, უკრაინაში ვომობდი და მაშინდელი ნისლიანი დრო და ჩემი თავიც კარგად მახსოვს...

გაიდარმა ჩვეულებისამებრ შორეთს მიაპყრო მზერა და რაღაც თავის სანუკვარს გაუღიმა.

... მერე გავიგე, რომ გაიდარი მოკლეს და მისი რვეულები გაქრა. არც ერთი ფურცელი არ მოხვედრილა კეთილ ხელში. ნება რომ მოეცა, ხომ შეიძლებოდა ყველაფერი გადაგვეწერა, ყველაფერი შეგვენახა. მაგრამ გაიდარს არ ეგონა, რომ დაიღუპებოდა, არ სჯეროდა...“

## ბაწრით შეკრული პაკეტი

ლეპლიავასთან პარტიზანულ რაზმში დიდი ამბის მოლოდინი იყო: პოლკოვნიკმა ორლოვმა კარგად შეიარაღებული ჯგუფი შეადგინა და ფრონტის ხაზის გადასაკვეთად ემზადებოდა. გაიდართან არ გასჭრა გულისგამაწვრილებელმა შეგონება-რწმუნებამ, მან განაცხადა, რომ ტყეში რჩებოდა. „საჩემო მასალასაც ვნახავ და არც ტყვიამფრქვევს მოვაცდენ უსაქმოდ“, — იმართლებდა ის თავს.

18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ორლოვი ბანაკში მოვიდა გამოსამშვიდობებლად. ჯუბა ეცვა და ყურებიანი ქუდი ეხურა, წვერი განზრახ ჰქონდა მოშვებული, რომ „სოფლელის შესახედაობა“ მისცემოდა.

მწერალმა თავისთან მიწურში შეიპატიჟა. პოლკოვნიკი ყველაზე ახლო მდგომ საწოლზე ჩამოჯდა. გაიდარი კი თავის საწოლთან მივიდა, ლეიბის ქვეშ ხელი შეყო და პაკეტი გამოიღო. ორად გაკეცილი ორი ან სამი სასკოლო რვეულის სისქე ექნებოდა, მეტი არა. მოვარდისფრო ქაღალდში იყო გახვეული და, საიმედოობისათვის, წვრილი ქერელის ბაწრით გადაკრული.

არკადი პეტრეს ძემ ეს ხელით ნაკეთი, მაგრად გატენილი კონვერტი მიაწოდა პოლკოვნიკს და სთხოვა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ძალიან გთხოვთ, ეს თან წაიღეთ. თუ ჩვენებთან მოხვდებით, მოსკოვში გადააგზავნეთ; გზაში თუ ხელი შეგიშალათ, მაშინ კი გადააგდეთ ან დაწვით.

1963 წელს მოსკოვში ჩემთან საუბრისას ორლოვმა თქვა:

— ძალიან მინდოდა პაკეტის წამოღება, მაგრამ ავუხსენი გაიდარს, რომ საუკეთესო შემთხვევაში გერმანელთა ზურგში ექვსასი კილომეტრი გვექნებოდა გასავლელი, და დარწმუნებული არ ვიყავი, შევძლებდი თუ არა ქაღალდების შენარჩუნებას. გაიდარი შეყოვნდა, მერე პაკეტი მაგიდაზე დადო.

●

მწერალმა ორლოვი და მისი ამხანაგები უახლოეს მოსახვევამდე გააცილა, პოლკოვნიკს ჯიბეში სამახსოვროდ ჩაუდო თამბაქოთი სავსე ტყავის პორტსიგარი და მუნდშტუკი. მერე ერთმანეთს მოეხვივნენ.

— მაინც რა იყო ბაწრით შეკრულ პაკეტში?

— ის ორი ნარკვევი, რომლებიც არკადი პეტრეს ძემ მაშინ წაგვიკითხა, — მიპასუხა ორლოვმა.

თუმცა მას პაკეტი არ გაუხსნია, გაიდარისთვის არაფერი უკითხავს. ასე რომ, მისი აზრი წმინდა წყლის ვარაუდია მხოლოდ.

იბადება კითხვა: რატომ მიმართა გაიდარმა ამ თხოვნით ორლოვს? ჯგუფის რომელიც გინდა წევრი ხომ სიხარულით შეასრულებდა მის დავალებას? როგორც ჩანს, კონვერტში ნარკვევების გარდა, დოკუმენტებიც იყო, ისეთი დოკუმენტები, რომ საჭირო იყო ვიღაცას დაემოწმებინა — რაც ამ ქაღალდებში სწერია, ყველაფერი მართალია. პოლკოვნიკი ორლოვი კი — სამოქალაქო ომის მონაწილე, ორდენოსანი, დივიზიის შტაბის უფროსი — ყველაზე ავტორიტეტული ადამიანი იყო იმათგან, ვინც 18 ოქტომბერს ფრონტის ხაზისაკენ მიემართებოდა.

პ ი რ ვ ე ლ ი (ს ა ვ ა რ ა უ დ ო) დ ო კ უ მ ე ნ ტ ი — არკადი პეტრეს ძემ არ მოინდომა ალყაშემორტყმული კიევიდან გაფრენა. მან გადაწყვიტა არმიის ბედი გაეზიარებინა. ეს ვაჟკაცური და თავგანწირული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ოფიციალურ ენაზე რომ ვილაპარაკოთ, გაიდარმა, ომის დროს, ბრძანებას გადაუხვია...

არ არის გამორიცხული, რომ პაკეტში იყო ახსნა-განმარტება ამ საქციელის გამო და მოკლე ანგარიში მტრის ზურგში ბრძოლის შესახებ...

ორლოვს შეეძლო დაედასტურებინა, რომ ბარათში ყოველი სიტყვა სიმართლეა.

მ ე ო რ ე (ს ა ვ ა რ ა უ დ ო) დ ო კ უ მ ე ნ ტ ი — არკადი პეტრეს ძის აზრები პარტიზანული მოძრაობის განვითარების თაობაზე (სწორედ იმ დღეებში უთხრა მან თავის ამხანაგს, ლეიტენანტ ტონკოვიდს: — საჭიროა ავიყაროთ ამ ადგილიდან, დავუკავშირდეთ ცენტრს. საჭიროა ბევრი ხალხი, ასი და ორასი კაცი კი არა, მთელი პარტიზანული არმია); გაიდარი ვარაუდობდა, რომ ორლოვს შეეძლო შეეტყობინებინა სარდლობისათვის — კანევთან პარტიზანული რაზმი მოქმედობს. თუ მოგვარდა ცენტრთან კავშირის დამყარების საკითხი, რაზმს შეეძლება ბევრი მნიშვნელოვანი რამ აცნობოს სარდლობას მტრის შესახებ...

... რვა დღის შემდეგ, 1941 წლის 26 ოქტომბერს არკადი გაიდარი დაიღუპა. მას შემდეგ აღარავის უნახავს მისი ჩანთა.

## საიდუმლო დავალება

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქცია. 1944 წლის 4 ივნისი.

**მოწმობა**

გაზეთ „კომოსომოლსკაია პრავდას“ რედკოლეგიამ დაავალა სამხედრო კორესპონდენტს, კაპიტან ა. ბაშკიროვს, მოძებნოს დაღუპული პარტიზანის, მწერალ არკადი გაიდარის საფლავი პოლტავის ოლქის ქალაქ კანევის მახლობლად, ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარებით საფლავზე ობელისკი დადგას და სამოქალაქო პანაშვიდი გამართოს“...

. . . . . . . . . . .

— ხომ ვერ მეტყვით, სად არის დასაფლავებული მწერალი გაიდარი?

— რკინიგზის გადაღმა, მაგრამ იქით არავინ დადის. დანაღმულია.

და ბაშკიროვმა დაინახა ქარ-წვიმით გადასწორებული, აბალახებული, მიუხედავი ბორცვი.

... ლეპლიავის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბუტენკო თვითონ პარტიზანად იყო ნამყოფი, კარგად ახსოვდა გაიდარი.

ბაშკიროვმა ბლოკნოტი ამოიღო და მისი ნაამბობის ჩაწერა დაიწყო...

„გაიდარი პარტიზანული რაზმის დღიურს აწარმოებდა, შეთხზა რამდენიმე ლირიკული ნაწარმოები შვილისა და ცოლისადმი წერილების ფორმით; უკითხავდა ამ ნაწერებს პარტიზანებს. დღიური და თავისი ნაწარმოებები მუდამ თან დაჰქონდა“.

იმ ადგილას, სადაც ბაშკიროვი არკადი პეტრეს ძის დაღუპვის ამბავს ყვებოდა, მან ასე ჩაწერა: „გერმანელებმა მაშინვე მოხსნეს დაღუპულ პარტიზანს მისი ორდენი, გახადეს ფორმა, თ ა ნ წ ა ი ღ ე ს რ ვ ე უ ლ ე ბ ი დ ა ბ ლ ო კ ნ ო ტ ე ბ ი“.

გაგრძელება იქნება



ნანა ცანავა

უცბად გამახსენდა. მე თქვენ ამ ზაფხულს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გნახეთ-მეთქი, — ვუთხარი.

გაუხარდა — დაგხსომებივართო.

...იმ დღეებში ბევრი ახალგაზრდა მოდიოდა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში, უმრავლესობა სამუშაოზე გასაგზავნ საგზურებს ითხოვდა. ისიც მათ შორის იყო. დედასთან ერთად მოსულიყო, და რიგს ელოდა. მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგემ თავაზიანად მიიწვია დედა-შვილი ოთახში. მე მაშინ სხვა საზრუნავი მქონდა და მათი საუბარი თავიდან არ მომისმენია. მხოლოდ მაშინ მივაქციე ყურადღება, როცა დიალოგში დედა ჩაერია: ძალიან გთხოვთ ნუ გააწბილებთ, ისეა მოწადინებული, მეტი არ შეიძლება. მამამისმა რა არ უთხრა რა არ ურჩია, ეს კი მაინც თავისაზე დგას — გინდა თუ არა, პიონერთა ბანაკში უნდა წავიდეო.

— რატომ მაინცდამაინც პიონერთა ბანაკში, ჩვენ ასეთი ყოჩაღი გოგონები სხვაგანაც გვჭირდება, — გაეღიმა განყოფილების გამგეს.

რატომ მაინცდამაინც პიონერთა ბანაკში?

მართლაც, განა სხვა გზა და სხვა არჩევანი არ ჰქონდა ნანა ცანავას?

— რა ვიცი, აბა, — ამბობს ახლა პასუხად, როცა პიონერული ზაფხული უკან დარჩა, — რომ ვთქვა, ბავშვები მიყვარს-მეთქი ძალიან, საკმარისი იქნება?

რაღა თქმა უნდა, სიყვარული ბევრს ნიშნავს, ძალიანაც ბევრს, მაგრამ, ხომ ყველას კარგად მოგეხსენებათ ჟურნალისტების ახირებულობის ამბავი. არა და არა, აქ კიდევ სხვა მიზეზია-მეთქი — დავიჟინე. კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და, არც მოვტყუებულვარ. ასე დაბეჯითებით რომ არ შევკითხოდი, ისე აბა რატომ გაიხსენებდა ნანა თავისი ბავშვობისა და მოწაფეობის წლებს. უამისოდ კი ჩვენთვის ბევრი რამ ბუნდოვანი და გაუგებარი დარჩებოდა.

ყველაფერი მაშინ დაიწყო...

პიონერული მუშაობა სკოლაში ძალიან უყვარდა. არც იმას მალავს — უხაროდა, როცა თანატოლები მის გამორჩეულ გულმოდგინებას შეამჩნევდნენ და დააფასებდნენ ხოლმე. ამხანაგებს კი აგრერიგად არაფერი შეეშლებათ. თანარაზმელებმა ნანა ჯერ რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს. მერე კი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობა ანდეს.

აი, როდის არ ჰქონდა საზღვარი მის სიხარულს.

აღტაცება კი მართლაც იცოდა...

მაშინ არა და მხოლოდ ახლა, წლები რომ გავიდა, საუბარში ჰკითხეს — კი მაგრამ, ასე რა გახარებდა, ვითომ ვერ გაძლებდი, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე რომ არ ყოფილიყავიო?

რა უცნაური შეკითხვაა. მაგრამ, რადგან გეკითხებიან, სჯობს უპასუხო, და ნანამაც, როგორც ყოველთვის, გულწრფელად თქვა:

— ადრე არასოდეს მიფიქრია... კი მაგრამ, რატომ არ უნდა გამხარებოდა! ამაში ხომ ჩანდა, რომ ამხანაგები მაფასებდნენ, ვუყვარდი, მენდობოდნენ. და კიდევ: მე შემეძლო მათთვის სამსახური გამეწია, რაღაც კარგი გამეკეთებინა არა მარტო საკუთარი თავისთვის, არამედ ყველასათვის.

„სამსახური გამეწია“ — რომ იცოდეთ, რამდენს ნიშნავს, ბავშვებო, ეს სიტყვები. ადრე, პატარობისას, რასაკვირველია, ამის თქმა გაუჭირდებოდა ნანას. სხვა არა იყოს, აკი თვითონვე ამბობს, — ამაზე არც მიფიქრიაო. ან კი რა იყო საფიქრალი — ვისაც რა შეუძლია, ის უნდა აკეთოს. არც ის ვარგა, როცა საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა გაქვს, და არც ის, როცა იცი, რომ მეტი სიკეთის მოტანა შეგიძლია შენთვისაც, შენი ახლობლებისთვისაც, შენ კი მცირედით კმაყოფილდები. ფიქრობ: ესეც საკმარისია, აქაც შემნიშნავენ, მეტს რა მრჯისო. ასეთი კაცი ჩვენთვის კარგად ნაცნობი უხმარი გუთანივით იჟანგება.

როცა კომკავშირელი გახდა, მერეც განუყრელი იყო მისგან პიონერთა საქმე და საზრუნავი. მეცხრეკლასელი გოგონა პიონერულ რაზმს ხელმძღვანელობდა. სწორედ იმ წელს მოხდა დაუვიწყარი ამბავი. ნანა ცანავას რაზმმა საკავშირო დათვალიერებაში ესტონეთის პიონერული გაზეთის საპატიო სიგელი დაიმსახურა. სკოლას მოძმე რესპუბლიკიდან ეწვივნენ საპატიო სტუმრები და როცა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს, ბევრი საქებარი სიტყვა უთხრეს გამრჯე კომკავშირელს. მეათე კლასში ნანა ცანავა ჯგუფბიურის მდივნად აირჩიეს. იმ წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა. მომავალი პროფესია მაშინ უკვე არჩეული ჰქონდა — ექიმობა გადაეწყვიტა. ბევრს ეს არჩევანი კიდეც უკვირდა და კიდეც არა: კი, ბატონო, — ამბობდნენ, — დედაცა და მამაც ექიმები ჰყავს, უმცროსი და რომაა, ისიც ექიმობაზე ოცნებობს და რა გასაკვირია, სამედიცინო დარგი ამა-

საც მოსწონებოდა, მაგრამ პატარაობიდან რომ ლექსის სიყვარული ჰქონდა თავდავიწყებამდე, ამას რალა ვუშველოთო.

აი ასე მსჯელობდნენ. ნანას კი ლექსი მართლა ყველაფერს ერჩია. საღამოობით ხშირად შეიკრიბებოდნენ თანატოლები და ჰქონდათ პოეზიის ნამდვილი დღესასწაული. ამხანაგებისაგან დაფარული არაფერი უყვარდა და იმაშიც გამოუტყდა, რომ თვითონაც წერდა ლექსებს.

— მაშ, კიდევ ერთხელ გაიხსენე, ნანა, შენი მოწაფეობის დრო და მითხარი, ყველაზე ძვირფასი რა მოგცა პიონერულმა წლებმა?

— ყველაზე ძვირფასი?

— ალბათ საკუთარი თავის რწმენა....

და აქ, იცით, რა რწმენაზეა ლაპარაკი?

ეს არის რწმენა იმისა, რომ მას შეუძლია ნამდვილი მეგობრობა, რომ თანატოლებს უყვართ იგი და თვითონაც მზად არის ყველაფერი გააკეთოს, ოღონდ კი გაამართლოს მათი ნდობა.

მარტოობა, ეულობის ვანცდა ძალას ართმევს ადამიანს. მეგობრები კი ძალას გმატებენ მაშინაც, როცა, შესაძლოა, უშუალოდ შენს გვერდით არ არიან. ეს ნანამ მაშინ გამოსცადა, როცა სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა. მხოლოდ მესამე წელს გაუმართლა. მერე რა! მთავარია, რომ გული ერთი წუთითაც არ გასტეხია და თავს მოვალედ თვლიდა, მეტი ემეცადინა, მეტი გაეკეთებინა იმიტომაც, რომ მეგობრებს მუდამ სჯეროდათ მისი.

ერთი წლის წინათ აუხდა ოცნება. და აი, სასწავლო წელი დამთავრდა და არდადეგებზე, დასვენების ნაცვლად, პიონერთა ბანაკში მუშაობა გადაწყვიტა. კომკავშირული დავალება რომ ყოფილიყო, კიდევ სხვაა, ყველაფერი ხომ საკუთარი ნება-სურვილით ირჩია. ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტში უთხრეს — სტუდენტები გვჭირდება პიონერთა ბანაკებში. ვისაც შეგიძლიათ, ამოგვიდექით მხარში, ვისაც გსურთ კიდევ — სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის საგზურებს მოგცემთო. არა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, როგორი არჩევანია. ნანას კი არც უყოყმანია. მერე და, თუ გგონიათ ვინმესთან თავი მოაქვს, ეს რა კარგი საქმე გავაკეთეო. სულაც არა. ეამაყება, რომ ისევ გამოუცხადეს ნდობა. მთელი ზაფხული თავის საყვარელ საქმეს მოახმარა, კვლავ დაუბრუნდა პიონერულ ცხოვრებას.

...შესანიშნავი ადგილი შეერჩიათ ბანაკისათვის, რომელსაც სახელიც მეტყველი და გამორჩეული ჰქონდა — „ბერიკა“. წელს ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გაიხსნა ასეთი ბანაკები. მათ პროფილურს უწოდებენ. „ბერიკაში“ თეატრით გატაცებულმა ყმაწვილებმა მოიყარეს თავი, სხვაგან კიდევ სხვა დარგით დაინტერესებული მოსწავლეები ისვენებდნენ. ბერიკელები, რა თქმა უნდა, თვლიდნენ, რომ ბანაკი ყველა კარგია, მაგრამ მათსას ვერც ერთი ვერ შეედრება, არც არსად ასეთი საინტერესო ცხოვრება არ იქნება, არც არავის ჩვენზე უკეთესი პედაგოგები და პიონერული ხელმძღვანელები არ ეყოლებათო. ისიც ეამაყებოდათ, რომ აქედან, მათი ბანაკიდან, სულ ახლოს იყო ბაგრატის ტაძარი, და ამ ძველთაძველი ისტორიული ნაგებობის კედლებში შეეძლოთ ეოცნებათ და თეატრალური სანახაობებიც გაემართათ. ასეთი ღონისძიებები კი, თვითონაც იოლად წარმოიდგენთ, ბევრზე ბევრი იყო. ბანაკს ხომ ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები შეფობდნენ. რაზმის ხელმძღვანელებად თბილისის თეატრალური ინსტიტუტის

## სტუდენტი — პიონერხელმძღვანელი

სტუდენტებიც მოეწვიათ. ერთი სიტყვით, ვისაც თეატრი მართლა უყვარს, ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. პიონერები კი არა, რაზმის ხელმძღვანელი ნანა ცანავაც იმას ამბობს, ამ ხალხთან ურთიერთობამ მეც ბევრი შემძინაო.

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს ასეთ გარემოში თავიდანვე არ უგრძვნია თავი უცხოდ და უხერხულად. თეატრი პატარაობიდან მასაც იტაცებდა, გარდა ამისა, მუსიკალური განათლებაც ჰქონდა და რეპეტიციებსა თუ სპექტაკლებზე შეეძლო აკომპანიატორობა გაეწია ნორჩი მსახიობებისათვის.

პიონერული რაზმის ხელმძღვანელის ავტორიტეტიც ხომ ასე იქმნება — ერთი შეხედვით უბრალო, ყოველდღიურ ურთიერთობაში, როცა ხედავ, რომ იგი ყველგან საჭირო და შეუცვლელია — იქნება ეს რაზმის შეკრება თუ საზეიმო საღამო, რომელიმე ყმაწვილის პირადი საზრუნავი თუ მთელი ბანაკისა.

რაზმის ხელმძღვანელს ყოველთვის ბევრი საქმე აქვს პიონერთა ბანაკში, მით უფრო — პროფილურში, აქ ხომ ჩვეულებრივი პიონერული მუშაობის გარდა თეატრზეც უნდა იზრუნოს, მასთან დააკავშიროს ყოველი დღე და ყოველი წამოწყება.

— ჩემს რაზმში ძალიან, ძალიან კარგი ბავშვები იყვნენ, მე ისინი ძალიან მიყვარს... — ამბობს ახლა ნანა ცანავა და ეს სიტყვა — სიყვარული — ზოგადად ნათქვამი რამ კი არ არის, მასში იგულისხმება ის ურთიერთობა, რომელიც რაზმის ხელმძღვანელს აკავშირებდა თავის პატარა მეგობრებთან მაკა ფიფიასთან, მარინე გუზენკოსთან, ვახტანგ გერაძესთან და კიდევ ბევრთან, მა-

## გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

**კ ა ლ ე ბ ო ბ ო ხ ი ძ ე**

სკოლის ზარებს ბანს აძლევენ მთები,
ძილში გესმის, თვალებს ძლივსღა ახელ,
მოგძახიან ხუთოსანთა ხმები:
— დროზე ადექ, ნუ შეირცხვენ სახელს!
ალბათ დღესაც გაკვეთილებს აცდენ,
ამიტომაც წინ გისწრებენ სხვები;
სიზარმაცით რად გსურს სწორ გზას ასცდე?! —
გაფრთხილებენ მეგობრული ხმები.

ბუნებრივ ნიჭს სიბეჯითე აჩენს,
შენ კი მხოლოდ თამაშობა გართობს!
ნებივრობას ნეტავი ვინ გაჩვევს?
შენთან ყოფნას დღეს არავინ ნატრობს.
ნაცნობებთან ცუდ ნიშნებს ვერ ამხელ,
ჩამორჩენით გულს უღონებ მშობლებს;
გაუფრთხილდი შენი სკოლის სახელს,
კარგი სწავლა გულს სიამეს მოგფენს!

თსავით მოუსვენარ, თავდავიწყებით მხიარულ და ფიქრიან ყმაწვილებთან.

ადამიანები ხვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, მაგრამ ისინი მუდამ ახლობლებად რჩებიან, თუ მათ ურთიერთობას აკავშირებს გრძნობა, რომელსაც გადმოსცემს მხოლოდ ეს ერთადერთი სიტყვა — სიყვარული.

ნანას რაზმში უმცროსკლასელი პიონერები და ოქტომბრელები იყვნენ. გულწრფელად რომ ვთქვათ, ამის გამო თავიდან გულიც კი დაწყდა, ვაითუ, ისე საინტერესო მუშაობა არ გამოგვივიდესო. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წუთიერი ორჭოფობა, ეს იყო მანამდე, ვიდრე უშუალოდ გაიცნობდა თავის რაზმელებს. ამ რაზმის პიონერებმა ბევრ საქმეში ისახელეს თავი, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სიხარული პიონერული მარშის ერთ-ერთმა მარშრუტმა მოუტანა ყველას. ეს მარშრუტია „ვარსკვლავი". შესანიშნავი მეგობრობა გაუწიეს პიონერებმა თავიანთ თანარაზმელ ოქტომბრელებს. მათ ვარსკვლავს სულ ახალ-ახალი საქმე და თაოსნობა მატებდა ელვარებას. კუბის ფესტივალისადმი მიძღვნილ საბანაკო დათვალიერებაში მეორე რაზმმა სამახსოვრო საჩუქარი დაიმსახურა...

კიდევ ბევრი, ბევრი მიზეზის გამო იყო დაუვიწყარი „ბერიკაში" გატარებული ზაფხულის მზიანი დღეები ნანა ცანავასა და მისი რაზმის პიონერებისათვის. სხვა რომ არა იყოს რა, არაერთ პიონერულ საქმესა და თაოსნობას ხომ პირველად აქ, ბანაკში ჩაუყარეს საფუძველი მეორერაზმელებმა, ხოლო მათი რაზმის ხელმძღვანელისათვის ეს იყო პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯები ცხოვრებაში...

ბანაკს ერთი გამორჩეული სიკეთეც აქვს: იგი სკოლაში დაწყებულ პიონერულ მუშაობას აგრძელებს, ხოლო აქაურ საქმეებს შემდეგ ყმაწვილები სკოლაში განაგრძობენ.

— ისე გამოდის, რომ, რასაც ახლა ჩემი რაზმის პიონერები თავიანთ სკოლებში აკეთებენ, ყველაფერში მეც შემაქვს თუნდაც პატარა წვლილი! — ერთბაშად მოჰგვარა სიხარული ამ ფიქრმა ნანა ცანავას და მართალიც იყო. აკი უკვე ითქვა — ადამიანები ხვდებიან და შორდებიან ერთმანეთს, მაგრამ მეგობრებს ვერ აშორებთ ვერც დრო, ვერც მანძილი....

თ. მეტრეველი

ფოტო ო. გველესიანისა

ანთიმ ივერიელი, „ძირად ქართველი", როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს, კონსტანტინოპოლის ბაზარზე მონად გაიყიდა.

იგი გამოირჩეოდა საოცარი ნიჭით, იყო მხატვარი, ხუროთმოძღვარი, ქსილოგრაფი, გრავიორი, მოქანდაკე, ორატორი, მწერალი, თავისი დროის დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი.

ფლობდა მშობლიურ ენას, ბერძნულს, რუმინულს, არაბულს, ძველ სლავურს.

იყო პოლიგრაფიული საქმეების უდიდესი მცოდნე, ვისი მეშვეობითაც „ვლახეთი გადაიქცა ცენტრად, რომელიც მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა". ასევე „ფასდაუდებელია ის წვლილი, რომელიც მან პირველი ქართული ეროვნული სტამბის დაარსების საქმეში შეიტანა".

იგი იყო უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტი და პოლიტიკური მოღვაწე.

მისი დიდი სიცოცხლე შეეწირა ბრძოლას რუმინეთის და რუმინელი ხალხის განთავისუფლებისათვის თურქთა მონობიდან.

ფრანგი მეცნიერი ე. პიკო წერს: „ყველა მღვდელმთავარს შორის, რომლებიც ვლახეთის მიტროპოლიტად ყოფილან, არავინ არის, შთამომავლობის თვალში ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღოდეს, როგორც ანთიმ ივერიელს. მისი ცოდნა, მისი გემოვნება ხელოვანისა, მისი ღრმა სიყვარული წიგნებისადმი საკმარისი იქნებოდა, რომ იგი უბადლოდ მიგვეჩნია, მაგრამ მას მეტი აქვს გაკეთებული. მან, უცხოელმა, საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა".

# ႯႠႫႨ ႼႠႫႤႡႨႱႠ, ႯႠႫႨ ႳႩႣႠႥႤႡႨႱႠ

**ლ. გვაზავა-სანაძე**

მხატვარი
იოსებ სამსონაძე

ნაწყვეტი მოთხრობისა
„ანთიმ ივერიელის ცხოვრება"

კალისტრატე ბერმა, არტამონოვთან ერთად, იერუსალიმის წმინდა ადგილებზე მთელი წელიწადი ლოცვა-მარხულობის შემდეგ, კონსტანტინოპოლში ჩამოაღწია.

საქართველოსა თუ რუსეთში გასამგზავრებლად ეს ყველაზე მოხერხებული გზა იყო, მაგრამ კალისტრატეს თურქთა დედაქალაქი კიდევ იმით იზიდავდა, რომ იქ ცხოვრობდა სამშობლოდან გამოქცეული მისი გაზრდილი ძმა არსენი. მას ბრალად ედებოდა მეფე ბაგრატის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა და თვალების დათხრას გამოექცა. კალისტრატეს ისიც ჰქონდა გაგონილი, სამშობლოდაკარგულმა ქრისტიანული სარწმუნოებაც უარყო და, მუსულმან ქალთან შეუღლებული, განცხრომით ცხოვრობსო. ბერს განეზრახა ეკლესიის, მეფისა და მამულის უარმყოფელი ძმა ჭეშმარიტებისაკენ შემოექცია — რაკი ის სამშობლოში დაბრუნებას ეკრძალებოდა, სულის განსაწმენდად იერუსალიმში მაინც გამგზავრებულიყო და თავისი ქონებით ერთ-ერთი ქართული ეკლესიისათვის ეპატრონა.

— როცა ურჯულოს წინაშე ქრისტიანი მონურად ქედს იხრის, ეს ღვთის გმობაა. მაგრამ თუ სხვისი ღმერთის მორჩილება იძულებაა სიცოცხლის გადარჩენისათვის ჩადენილი, ხოლო გულით კაცი თავისი სარწმუნოების ერთგული რჩება, მაშინ უფალი შეუნდობს გზიდან აცდენილსა და განდგომილს, — ასე სჯიდა კალისტრატე ბერი და იმედი ჰქონდა, რომ ოქრო-ვერცხლით დაბრმავებულ ძმას ჭეშმარიტებისაკენ შემოაბრუნებდა.

ოდესღაც მწვანედ აბიბინებულ ჯეჯილს სუსხმა დაჰკრა, მოფშუკა ყოველი სიახლენი, მოსრა ნერგები: სარწმუნოებისა, კულტურისა, სილამაზისა, და ურჯულოთა მიერ განწირული ქართველთა ტაძრები, ჩვენივე ოფლით, სისხლითა და ძვლებით ნაშენ-ნალოლიავები, დღეს ტერტერებმა გროშებად შეისყიდეს და თავისად მიიჩნიეს. წყეულიმც იყვნენ მიმტაცებელნი ქრისტეს სახლისა, უხრწნელისა და ქვამყარისა, მიმტაცებელნი ტაძრისა, რომელი არს ქართველთა მიერ დამკვიდრებული. ამინ, აწ და მარადის! — იწყევლებოდა ბერი და მას სჯეროდა უძლეველობა ღვთის ძალისა, რომელიც მუდამ იმარჯვებს ბოროტსა ზედა. მისი ვარაუდით სწორედ არსენი უნდა გამხდარიყო მიმტაცებელთა რისხვა და ერის საუნჯის კეთილი მწყემსი.



იერუსალიმში ყოფნისას იგი დაუმეგობრდა რუს არტამონოვს, მაღალი ზნეობის ადამიანს და ჭეშმარიტ ქრისტიანს. კალისტრატეს გაეგონა, რომ სერგეი არტამონოვი იყო ალექსი მეფის მეგობარი და დედოფალ ნატალია ნარიშკინას აღმზრდელი, მაგრამ გამოიცვალა დროება, ტახტზე ავიდა თეოდორ ალექსის ძე და თავისი დედინაცვლის მოამაგენი მტრების ზეგავლენით გადაასახლებინა. მაშინ ავქსენტი არტამონოვიც გაიხიზნა, იერუსალიმში ჩავიდა, ბერად აღიკვეცა და ლოცვა-ვედრებაში გაატარა მრავალი წელი. გაძნელდა ქრისტიანთა მდგომარეობა წმინდა ადგილებში და კალისტრატეს რჩევით მასთან ერთად ავქსენტიმაც დატოვა იერუსალიმი — გადაწყვიტა, დაუძლურებული სიკვდილს თავისიანებთან შეგებებოდა. საქართველოსა და რუსეთისაკენ მოსახერხებელი გზა კონსტანტინოპოლიდან იხსნებოდა, ამიტომაც ცხოვრებისაგან გარიყულმა ღრმად მოხუცებულმა ბერმა ტანჯვითა და წვალებით სტამბოლში ჩააღწია. მშვიდობით მგზავრობისათვის უფალს მადლი შესწირეს. ამინდი იყო თბილი და მზიანი. ქართველმა ბერმა გადაწყვიტა ჯერ ძმა მოენახულებინა, შემდეგ დაეთვალიერებინათ ოდესღაც ქრისტიანთა საქებ-სადიდებელი ქალაქი, ენახათ სოფიის ტაძარი და მოენახულებინათ იერუსალიმიდან გადმოხვეწილი პატრიარქი დოსითეოსი.

არსენი საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი კაცი აღმოჩნდა და მისი მოძებნა არ გაძნელებიათ.

— ძმაო კალე! ნუთუ სიზმარში გხედავ? — ხელებგაშლილი შეეგება იგი ბერს.

— არა ხარ სიზმარში, — საკმაოდ მკვახედ მიუგო ბერმა. იგი გაოცდა და გაბრაზდა, თავისი გაზრდილი ძმა ხელმწიფის საკადრის ფუფუნებაში რომ ნახა.

— მადლი უფალს, შენს ნახვას რომ მაღირსა, — სახე უბრწყინავდა არსენს. ხალიჩებმოფენილ დარბაზში, სკივრლოგინზე ჩამოსხდნენ კალისტრატე და მისი მეგობარი.

— ეს რუსია, ჭეშმარიტი ქრისტიანი, — ბოლო სიტყვას ხაზი გაუსვა ბერმა.

— შენი სტუმარი ჩემი ძმა და მეგობარია, — გულღიად მიუგო მასპინძელმა. კალისტრატეს უნდოდა ეთქვა, ქრისტიანი ბერი რჯულდაკარგულის მეგობარი არ იქნებაო, მაგრამ ამ სიტყვას მოერიდა. იგი ქვეშ-ქვეშ უმზერდა დიბა-ატლასსა და ოქროში ჩამჯდარ ძმას. ვინ იცის რამდენი ღირებოდა მისი აბრეშუმის პერანგი, რომლის საყელო, ქობა და მთლიანი წინა კალთა სირმითა და თვალ-მარგალიტით იყო ნაქარგი. აბრეშუმის წითელი ახალუხი მუხლებამდე სწვდებოდა. საყელოდან მოყოლებული მოოქრული ღილები ეკერა, წელზე ასევე ოქროცურვილი ვერცხლის ქამარი ერტყა, ზედ ეკიდა ძვირფასი თვლებით მოხატული სატევარი, დაბალ სკამზე დაუდევრად ეგდო სიასამურის ტყავის სარჩულიანი ხავერდის მოსასხამი და გრძელტარიანი ჩიბუხი; ფერადი ტყავის ქოშები ეცვა, ჩალმა ეხურა, რომლის ნაოჭებში ციმციმებდნენ მოზრდილი ლალი და მარგალიტები. იგი ვრცელ დარბაზში ბოლთასა სცემდა.

— ჩემო საბრალო ძმაო, როგორ გაბედე ასეთ მძიმე დროს ესოდენ გრძელ და სახიფათო გზაზე წასვლა, — თანაგრძნობით წარმოთქვა და ინით შეღებილ მოკლე წვერზე ბეჭდებიანი ხელი ჩამოისვა.

— მაცხოვარი იყო ჩემი სინათლე და იმედი, მაგრამ შენ ვერ ჩაწვდები ჩემს ფიქრებსა და გულის აზრს, რომელ არს სიმტკიცე სულისა, მე ვეძიებდი ღმერთის სახლს და ჩემს წინ აღარ არსებობდა აღარცა შიში მოკვდავთა, აღარც სურვილი ფუფუნებით ცხოვრებისა და არც სწრაფვა დიდება-მომხვეჭელობისაკენ. სწორედ იქ, იერუსალიმში მეგულებოდა სულის განსაკურნავი და ხორცთა განსაწმენდი უებრო წამალი და მეც მივისწრაფოდი იქითკენ.

არსენმა პირველი სიტყვებიდანვე იგრძნო, თუ საით მიდიოდა ეს აზრები, ან რატომ უტყლაშუნებდა

გამზრდელი ძმა მათრახს, მაგრამ პასუხს მოერიდა, რადგან ძმების აზრი, მიზანი და მისწრაფება სხვადასხვაგვარი იყო. იმ უფსკრულს, რომელიც ძმებს შორის იდო, ვერაფერი ამოავსებდა. ამიტომ, ანდაზისა არ იყოს, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, — ფიქრობდა სამშობლოდან გადახვეწილი კაცი.

— ცოტა დავნაყრდეთ და დაისვენეთ, — შესთავაზა მასპინძელმა, თან ხელი ხელს შემოჰკრა.

— არაა საჭირო, ჩვენ უკვე გიახელით. ისევ სჯობია ქალაქში გავიაროთ, ამინდი თბილია და ნათელი. ასეთ ამინდში სიამოვნებაა უცხო კუთხის ნახვა, — თქვა და პასუხს არ დალოდებია, წასასვლელად მოემზადა. წამოდგა ავქსენტიც, თავი მდაბლად დაუკრა მასპინძელს და თავის მეგობარს გაჰყვა.

— გამზრდელო ძმაო! ამ დღემ მე ბედნიერება მაჩუქა და არ ჩამიმწარო.

კალისტრატე ისე გავიდა პარმაღზე, რომ პასუხი არ გაუცია. ეზო-კარი ვარდებში იყო ჩაძირული, შხაპუნებდა შადრევანი და გალობდნენ ფრინველები. თითქოს ყოველივე ამაში დასაძრახ-გასაკიცხი არაფერი იყო, მაგრამ ბერმა კოპები შეკრა და უკანმოუხედავად გზა განაგრძო.

— მიუტევე, უფალო, შეცოდებანი თვისი, — აცმაცუნებდა ტუჩებს ანაფორაგადაცმული ბერი.

არტამონოვი უსიტყვოდ მიჰყვებოდა. იგი გუმანით გრძნობდა, რომ მდიდარი ძმის უკმაყოფილო იყო ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული მსახური, თვითონ, არტამონოვსაც მიაჩნდა, რომ სარწმუნოება-რჯულისაგან განდგომილს უთუოდ მოუწევდა განკითხვის ჟამს უფლის სამსჯავროზე ცოდვების მონანიება. მას მხოლოდ ის აოცებდა — ერთ ხეზე ორი სრულიად განსხვავებული შტო გაზრდილიყო, განსხვავებული ნაყოფით, ერთი მაღლიდან დაჰყურებდა მარადიულსა და უკვდავ სამყაროს, მეორეს მხოლოდ აწმყო ჰქონდა, სულიერად დაცლილი და წამიერი.

— წავიდეთ, შავ ბაზარზე იქნებ ქრისტიანულ ხელნაწერებს წავაწყდეთ, ან ჯვარი შეგვხვდეს, ურჯულო ვაჭრებმა მათი ფასი არც კი იციან, — თქვა კალისტრატემ და ბზის ჯოხი ქვაფენილზე აკაკუნდა. ავქსენტი მორჩილად გაჰყვა მეგობარს.

ბაზარს მიუახლოვდნენ. შემაზრზენმა ყლარუნ-რაიხუნმა მოხუცები უკან მოახედა. სურათი იყო მძიმე, სულის შემძრავი. ადგილზევე გაქვავდნენ. ვიწრო ქუჩით ბორკილდადებული ტყვეები ბაზარზე მიჰყავდათ გასაყიდად. კალისტრატე შებარბაცდა და, რომ არ დაცემულიყო, ჩამოფხავებული ქოხის კედელს მიეყრდნო. ჩინგამოლეული თვალებს არ აშორებდა წვერმოშვებულ, სამოსშემოძარცულ ადამიანებს, რომლებიც მიდიოდნენ მძიმედ, ზღვის ღელვისაგან არაქათგამოცლილები, გათანგულები და უნუგეშონი.

— იესო უფალო! ეს რა ღვთის გმობაა ჩვენს თავზე, — ჩურჩულებდა ქართველი ბერი. მას თუმცა გაეგონა ადამიანებზე მონადირე გარეწრებზე, რომელნიც მოძმე ქრისტიანთა მოპარვა-გაყიდვით მდიდრდებოდნენ, მაგრამ საკუთარი თვალით მხოლოდ დღეს იხილა ეს სურათი ურჯულოთა ქალაქში.

— ნეტავ სადაურები არიან, — აინტერესებდა ავქსენტი ბერს, მაგრამ კალისტრატე თავისი ქვეყნის შესაზარ ნამოქმედარზე დუმდა. იგი ამ ტყვე ქართველთა ხვედრით იყო გაქვავებული. ძალადობისა და არაადამიანობის შედეგები აძრწუნებდა. ახლა მზად იყო მეფის წინაშე პირისპირ მდგარს საშვილიშვილოდ დაეწყევლა ბოროტების სათავე.

— ადამიანი უდანაშაულოდ შებორკო-შეთოკო და ურჯულოებს სატანჯველად მიუგდო, ამაზე დიდი ბოროტება შეიძლება იყოს ქვეყნად?! — ბუტბუტებდა კალისტრატე.

— ძმაო ჩემო! წავიდეთ აქედან, ამათი ყურება ძნელია, — სთხოვდა ავქსენტი, მაგრამ ქართველ შავოსანს არაფერი ესმოდა, გარდა ბორკილების ჩხარუნისა, ვერავის ამჩნევდა, გარდა ტანსაცმელშემოძარცული ტყვეებისა.

— ნუღარ სცოდავ, რათა უძვირესი გეყოს შენ. უკეთურებითა, ანგარებითა, ბოროტებითა, შურითა, კაცისკვლითა, ზაკვითა, გაყიდვითა, ოქროთავსილო ცოდვილიანო; ამათი სისხლი და ცრემლი, დანთხეული ურჯულოთა მიწაზე შენს თავზე სიკვდილით იქნება აღსრულებული, — განუწყვეტლივ ჩურჩულებდა კალისტრატე. ის იყო ბერიკაცმა წასვლა დააპირა, რომ უცებ თავზარდაცემული კედელს მოსცილდა, მზერად იქცა.

— ანდრია, შვილო! — ანგარიშმიუცემლად წამოიყვირა. — შენ აქ, ამ ცოდვილ მიწაზე რა გინდა! ვაი ჩემს მოსწრებას! — იგი გვერდით გაჰყვა ანდრიას.

— წმინდაო მამაო! ჩვენ აკრძალული გვაქვს სხვასთან დალაპარაკებაც კი, მათრახით გვემუქრებიან.

— ვაი, ქრისტიანულო სარწმუნოებავ, იუდების ხელში განუკითხავო! — ცრემლით მოთქვამდა კალისტრატე და ტყვეს აღარ სცილდებოდა. ჩალმიანმა, რომელსაც ნაიარევი, ჩოფურა სახე ჰქონდა, მწყრალად გადაუბრიალა თვალი შავოსანს. მოხუცს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, ანაფორის კალთა აიკრიფა და ტყვეებს გაეკიდა. ვიწრო ქუჩებში დიდძალი ხალხი ირეოდა და კალისტრატეს ეშინოდა, თვალთა ხედვიდან არ დაჰკარგოდა მისი გაზრდილი ბავშვი. და კვლავ მისდევდა ტყვეებს. ჩალმიანი გაგულისდა და შუბლშეკრული ბერისაკენ წამოვიდა.

— ხომ უნდა გაყიდოთ ეს ტყვე? — უთხრა კალისტრატემ თათრულად.

— გასაყიდად ჩამოგვიყვანია და გავყიდით კიდეც, მაგრამ ამჯერად ძვირი დაგვიჯდა, გურჯებმა ფასი გააორკეცეს.

— ამ ახალგაზრდას მე გამოვიხსნი.

— ნება შენი იყოს, თუ ქისა მძიმე გაქვს, ტყვეც შენი იქნება.

— ახლავე დავბრუნდები, ფულს მოვიტან, მძევლად ამას გიტოვებ, — არტამონოვზე მიუთითა. ჩალმიანს არაფერი უთქვამს. კალისტრატე იქაურობას გაეცალა, ქვაფენილზე ღონივრად აკაკუნებდა ჯოხს და სწრაფად მიაბიჯებდა.

●

ეზოში შესულ კალისტრატეს არსენი გამოეგება. გაფითრებული ბერი ძლივსღა სუნთქავდა.

— რა მოხდა, კალე?

— უბედურება, უბედურება, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვა ბერმა. — ახლავე უნდა გამომყვე და იონა ივერიძის ვაჟი ტყვეობიდან დაიხსნა, — ეს ისე მტკიცედ, ბრძანებით იყო თქმული, რომ უარის თქმას არსენი ვერ გაბედავდა.

როცა კალისტრატე ძმის თანხლებით ბაზარში დაბრუნდა, მათ შეშფოთებული არტამონოვი შემოხვდათ, რომელმაც აცნობა, რომ ვიღაც დიდვაჭარს სურს იმ ყმაწვილის გამოსყიდვა.

— ვინ გამიბედავს ჩემი ძმის მიერ

არჩეული ტყვის წართმევას. თვით სულთანსაც არ დავუთმობ ცოცხალი თავით, — ბატონკაცურად ახმაურდა არსენი.

— ნუ კიყინებ! შეგიძლია ქრისტიანი სულთანს არ დაუთმო, მაგრამ, თუ მისი გამომხსნელი რჯულდებულია, მაშინ ვერაფერს იტყვი, — სიტყვა დაუტოვა კალისტრატემ და იქითკენ წავიდა, სადაც სოვდაგარი თათარს ევაჭრებოდა.

— აი, ეს გურჯი გავაწბილე, იგი მთხოვდა ამ ბიჭს, გასამრჯელოსაც რიგიანს მპირდებოდა, თქვენი პატივისცემისათვის მას უარს ვეუბნები, — თქვა ჩალმიანმა.

დიდვაჭარმა კალისტრატეს ყურადღებით შეხედა.

— ქრისტიანად დარჩი თუ მაჰმადიანი ხარ? — ჰკითხა ბერმა.

— მარტყოფელი ხიზანიშვილი ვარ, ჩემს რჯულს როგორ ვუღალატებ, მამაო, რომელი სამეფო კაცი მე ვარ, რომ ძალით გადანათვლა მომთხოვონ. ახლახან იერუსალიმში ვიყავი, წმინდა ადგილებში ნალოცნამარხულევი დავბრუნდი, ხოლო ჩვენი ტაძრის შესაკეთებლად ფულიც დავუტოვე.

— აი, იქ, — კალისტრატემ ცისკენ აღმართა ორი თითი, შენს მიერ გაცემულ საბოძვარსა და მადლს განკითხვის დღეს მისხლობით აწონიან და სასუფეველში დაიმკვიდრებ ბინას.

— თქვენი გზა ყველგან დალოცვილი იყოს, — თავის მხრივ არც სოვდაგარმა დააკლო ლოცვა-კურთხევა და ხელზე ემთხვია.

არსენი შორიახლო იდგა, ესმოდა საუბარი და თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. „ესე იგი კონსტანტინოპოლშიც შეიძლება დარჩეს ქდამიანი ქრისტიანად, თუ მოისურვებს“ — და თავისი აღმოჩენით უსაზღვროდ გაოცებული დარჩა.

— წმინდაო მამაო, თუ თქვენ გწადიათ, მე უარს ვაცხადებ ამ ჭაბუკზე, — თქვა ხიზანიშვილმა.

— მოყვასო და კეთილო ჩემო! ეს ბავშვი ჩემი გაზრდილია. დღეს დავბრუნდი იერუსალიმიდან და თავზარდაცემული ვარ ასეთი სანახაობით. დამითმე ბიჭი, შენთვის მლოცველი ვიქნები მუდამ.

— ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ ჩვენს სულიერ მამას აქ შევხვდი, შევხვდი ასე ახლოს. ჩემს ღარიბულ ქოხში გეპატიჟებით, — თავი დახარა ხიზანიშვილმა.

კალისტრატემ თავი დაუკრა. არსენმა წინ წამოიწია, თავი დაუკრა ხიზანიშვილს და ჯიქურ უთხრა:

— ჩვენებურო, თქვენის ნებართვით ამ ყმაწვილს მე გამოვიხსნი.

ხიზანიშვილი შეყოვნდა. მზერა ლალით შემკული ჩალმისაკენ გაექცა. ეგ მზერა კალისტრატეს არ გამოპარვია და ეწყინა.

— ჩემო კეთილო! ეს ძმაა ჩემი, მისი ოქრო სისხლით არაა მოსვრილი.

— იყოს ნება თქვენი, — წარმოთქვა ხიზანიშვილმა ისე, რომ არსენის ჩაცმულობისათვის თვალი არ მოუცილებია. რჯულშეცვლილმა ქართველმა მას მუსულმანურ წესზე დაუკრა თავი, მაგრამ იქვე მოეგო გონს და გულნატკენმა ხმამაღლა მიმართა:

— ჩვენებურო, თქვენი მადლობელი ვარ.

სოვდაგარმა, რომელიც ოქროს ჯაჭვზე ასხმულ გასაღებებს ათამაშებდა, კვლავ შეათვალიერა ახოვანი ქართველი, რომელიც თურქულ ტანსაცმელში ბრწყინავდა.

არსენმა პირი იბრუნა.

— ვაჭარო, ახლავე ახსენი ბორკილები ამ ტყვეს და ფასიც დაადე.

ორად მოკეცილი თურქი უმალვე მობრუნდა ბრძანების შესასრულებლად, დარწმუნებული, რომ მდიდარი მუსულმანი საფასურსაც რიგიანს გადაუხდიდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალ საუკუნის მანძილზე ნაწრთობი ძმობა და მეგობრობა აკავშირებთ ქართველ და ოს ხალხებს. ერთად ეწეოდნენ ისინი მძიმე ჭაპანს ისტორიის გრძელ გზაზე, მხარდამხარ ერკინებოდნენ მომხდურთა ურდოებს, საერთო ჰქონდათ მტრებზე გამარჯვების სიხარულიც... დღესაც ხელიხელ ჩაკიდებულნი მიაბიჯებენ დიდი მომავლის ნათელი მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი თვალმარგალიტია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სადაც თავდადებით შრომობენ გამრჯე, ნიჭიერი ადამიანები, სადაც განუხრელად იზრდება კულტურის დონე, ყვავის და იფურჩქნება მწერლობა, ხელოვნება...

სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების ქმნილებები ფართოდ არის ცნობილი მთელს ჩვენს ქვეყანაში და ყველგან დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ჟურნალი „პიონერი“ სიამოვნებით უთმობს თავის ფურცლებს ცნობილი ოსი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანებს, ნორჩ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებს. მკითხველს უეჭველად დააინტერესებს აგრეთვე ნარკვევი, სადაც ქ. ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის მე-7 საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეთა საქმაგალითო, ნაყოფიერი მუშაობაა ასახული.

# სიმღერა

## ანატოლ ქაქიევი

მამულო ჩემო, შენი გვირგვინი თოვლივით სპეტაკია, კავკასიონზე თეთრად რომ ბზინავს; ადგილის დედა — ლილოჭრილოა და ნაირფერად აყვავებული, სული შენი კი სასწაულია, სირინოზივით ამღერებული!

და აი, მე კვლავ გეახელი შორით მოსული. ოსური სოფლის შარაგზაზე დავაბიჯებ აუჩქარებლად, ერთურთს მიჯრილი სახლებიდან შეუცნობელი სიხარული იღვრება ჩემში. თითქოსდა თავი მოიყარეს ფიქრთ გასართველად, საფიხვნოდ და სალაპარაკოდ. მთათა და ველთა, მყინვართა და მდინარეთა საამოდ საცქერლად. აჰა, აქ კოშკიც დაყუდებულა — ციხე ცალქონგურჩამონგრეული, ბებერი, მაგრამ გულფიცხელი და უშიშარი. ყიჟინებს იგი — შეიტკბეთ მიწა მშობლიური, უმფარველეთ მას წინაპრებივით, ჩემს ლოდებს რომ სული შთაბერეს... დიახ, უყვარდათ ძველებს ჩვენსას ადგილის დედა, და გრძნობა იგი, ვით ძვირფასი რამ სახსოვარი, თაობებიდან თაობებში კრძალვით ვიდოდა.

მე კვლავ შენთანა ვარ, უსაყვარლესო! მონატრებული გული კვნესის სიხარულისგან, ლამის გაფრინდეს გალიაში ჩამწყვდეული მწვანე ჩიტივით, უკიდეგანო სივრცეები რომ მონატრებია. წყარონი შენი, მორაკრაკე-მოჩუხჩუხენი და მთები შენი მონატრებია; მწვერვალები, ცათა სიღრმეს შეტოლებულნი, ტყეები მწვანედ დაბურულნი და იდუმლად მოშრიალენი და ხალხი გამრჯე, შემოქმედი ამ საოცრების, მონატრებია!

და აღტკინებულ გულს სიმღერა აღმოხდა ჩუმი, აცამაზმა*ააკვნესაო საკრავი თითქოს, უფრო გაბრწყინდნენ მშობლიური გარემომონი. ზეცით დაიძრნენ ვარსკვლავები მოციმციმენი, მყისვე დაძებნეს ერთმანეთი მრუმე სივრცეში, ჩაეკვრნენ ერთურთს, ვითარც ძმები და დობილები, და სასიამოდ განაბულებმა ციური ხელი ჩამომიწოდეს მადლობის ნიშნად და ჩემს სიმღერას თბილი ხელი მოუთათუნეს...

სიმღერები... რა საამოა, როცა მღერიან და მამულს ეგრე გულსათუთად ეფერებიან, ფანდურის ხმა რომ მოედება მთებსა და ველებს, ადგილის დედას თურმე ტკბილად ჩაეძინება! და ამიტომაც მე ყოველთვის იქ მივიჩქარი, სადაც სალამურს უკრავენ და ჩანგზე მღერიან, მამულზე უწრფეს ლექსებს ამბობენ!

და ეგრერიგად ამღერებული მზისკენ გავფრინდი, მთებმა მოიძვრეს ფაფახები და დამიქნიეს, გაფრთხილდი, ბიჭო, არაფერი მოიწიოო, — ამომძახოდნენ ზვავთა გუგუნით. ხოლო კოშკები, ეს გულფიცხი ბებრუხანები, მიქებდნენ ჩუმად გამბედაობას. თანაც გულწრფელად აღიარებდნენ — ჩვენს აღმშენებლებს მზისკენ ფრენა ემძიმებოდათ და მნათობებთან შორეული ბჭობა ჰქონდათ გაჩაღებული. შენ კი, გეტყობა, ძლიერი ხარ და უშიშარი და სამშობლოს ბედ-იღბალზე დაფიქრებული, ზეცის თაღიდან გინდა თბილად მოუალერსო მწვანედ გადაშლილ სანახებს და ყავრიან სახლებს... და ყოველივეს, რასაც ერთად **სამშობლო** ჰქვია!

მამულო, ჩემო, შენი გვირგვინი თოვლივით სპეტაკია, კავკასიონზე თეთრად რომ ბზინავს, ადგილის დედა—ლილოჭრილოა და ნაირფერად აყვავებული, სული შენი კი სასწაულია, სირინოზივით ამღერებული!

ვითარცა მონა, საკოცნელად გეახელი შორიდან კრძალვით, უჩუმრად ირგვლივ დაგტრიალებ ფარვანასავით, უჩუმრად შენი მგალობელი უკუნისამდე!..

---

* ოსურ მითოლოგიაში სიმღერის ღვთაება

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერებთან ვეტერანები მოვიდნენ

# კვლავაც წინ ვივლით

ცხინვალში მოწინავეთა შორის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის მე-7 სკოლა დამისახელეს. და აი, ქალაქის განაპირას შენობის ჭიშკარს მივადექი. მოსწავლეები ,,დიდ დასვენებაზე‘‘ ეზოში გამოფენილიყვნენ და ჟივილ-ხივილით შესდგომოდნენ ეზოს დასუფთავებას — ძალაყინებით, ვედროებითა და ბარ-ნიჩბებით შეიარაღებულნი აქა-იქ დარჩენილ ქვაღორღსა და ნაშალ მიწას ასწორებდნენ, გვიდნენ და ალამაზებდნენ იქაურობას.

სკოლის დირექტორმა ხაზბი ცხოვრებოვამ ეზოში შემიპატიჟა და თავის სკოლაზე ჩამოაგდო საუბარი:

— ჩვენი სკოლა ყველაზე ახალი გახლავთ ქალაქში. ამიტომაც, ბუნებრივია, ბოლომდე ვერ მოვასწარით მისი ეზოკარის მოწესრიგება. სკოლას ვეებერთელა ტერიტორია აქვს. ჩვენ საკუთარი ძალებით, გარედან დაუხმარებლად, ყოველწლიურად, თანდათანობით ვითვისებთ მას. დასვენებებზეც კი თავდაუზოგავად შრომობენ ჩვენი მოსწავლეები. წუთს არ კარგავენ უქმად. აი, უკვე მწყობრში ჩავაყენეთ კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები, სპორტულ იარაღებზე სავარჯიშო კუთხეები, სარბენი ბილიკები: გავაშენეთ ყვავილნარი და სკვერი. ეზოს უკანა მხარეს საცდელი ნაკვეთი გვაქვს, სადაც ბუნების ნორჩი მეგობრები უვლიან და ახარებენ სხვადასხვა მცენარეებს, დაკვირვებებს ახდენენ მათს ზრდა-განვითარებაზე...

სადღეისოდ ეს ერთი კუთხეღა დაგვრჩა მოსაწესრიგებელი, და ამ ტემპებით თუ გავაგრძელეთ, სულ მალე ყველაფერს მოვამთავრებთ...

მერე ჩვენმა საუბარმა პიონერთა ოთახში გადაინაცვლა. აქ სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა როზა ცხოვრებოვამ მიამბო იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ სკოლის პიონერები საკავშირო პიონერული მარშის მარშრუტებში.

— ჩვენი მოსწავლეები საკავშირო მარშის ყველა მარშრუტში წარმატებებს აღწევენ, — მითხრა მან, — აკადემიურ მოსწრებასა და შრომით საქმიანობაში კარგი მაჩვენებლები გვაქვს.

ავიღოთ ნებისმიერი მარშრუტი. აი, მაგალითად, თემურელების საქმიანობას შევეხოთ. მათს შტაბს მერვეკლასელი წარჩინებული მოსწავლე ინალი ბიკოევი ხელმძღვანელობს. რამდენ საქველმოქმედო საქმეს შესდგომიან ბავშვები! ისინი შეფობენ უმცროსკლასელებს, მეურ-

## სწორედ წინა დღეს

**კოსტა მარგიევი**

*ერთი დღეცა და... მძვინვარე ომის*
*დადუმდებოდა ბოლო აკორდი,*
*მე კი უეცრად წამერთვა ღონე,*
*ვერაგის ტყვიით გულში დაკოდილს.*

*ჩამიქრა თვალში შუქი ციური,*
*თავზე დამემხო მზე მეწამული.*
*ჰო, რა შორს დარჩა ცა მშობლიური!*
*ჰო, რა შორს დარჩა ჩემი აული!*

*რამდენი დღე და რამდენი ღამე*
*ვიარე ბრძოლით ცეცხლის წვიმაში...*
*არ მომიხრია არც ერთი წამით*
*თავი მომხდურთა შიშის წინაშე.*

*და გამარჯვების რწმენით აღვსილი*
*ვიდოდი სულ წინ,*
*ძმების მხარდამხარ.*
*და რისხვა ჩვენი, ფაფარაშლილი,*
*ჰქუხდა სამშობლო ქვეყნის გადაღმა.*

*ერთი დღეცა და, მტრის დაჩოქებას*
*მეც ვიხილავდი, მეც ვიხარებდი.*
*არ დამაცალა ტყვიამ ოხერმა,*
*გადამიშავა ზეცის კარედი.*

*სულ ოციოდეს მოვესწარ მაისს,*
*ვარდთა, იათა შემონათებას...*
*ახლა მიწაში ვწევარ და მაინც*
*კვლავ ცოცხალივით მომენატრება*

*მთები, ჩანჩქრები, ორბი ფრთამალი,*
*ხმები ბავშვობის, ტკბილი აული...*
*და უკუნეთი ცივი სამარის*
*თბება, ნათდება სხივით მამულის.*

ვეობენ ქალაქის ერთ-ერთი ბაღის აღსაზრდელებს, ამზადებენ ნაირ-ნაირ საჩუქრებს, სუვენირებს. ხელმარჯვეთა კლუბის წევრების, მეექვსეკლასელი მოსწავლეების: ლიანა მიდოდაშვილის, მარინა კოჩიევას, მარიამ დრიაევასა და სხვების მიერ ხეზე შესრულებული მშვენიერი ნახატებით, ხელგარჯილობის ნაირ-ნაირი ნიმუშებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ ლამაზად გაფორმებული წიგნებით ახარებენ მათ.

უფროსი პიონერხელმძღვანელის საუბარს აგრძელებს თემურელთა შტაბის აქტიური წევრი ნინა ქურთიშვილი:

— ჩვენ ბაღელებთან ვმუშაობთ, გვინდა ნელ-ნელა შევამზადოთ ისინი სკოლისათვის, დავაინტერესოთ, სწავლის სიყვარული გავუღვიძოთ...

აი, ჩვენს მიერ შედგენილი „თემურელთა მოქმედების ზონა“,—ნინა ქურთიშვილი კედელზე გაკრულ, ფაქიზად შესრულებულ რუკაზე მიგვითითებს,—ქალაქის ამ ფარგლებში, რომ იტყვიან, „ყველაფერი ჩვენ გვეხება“, ავად გახდება ვინმე და, თუ პატრონი არ აღმოაჩნდა, ჩვენ დაგვიძახებენ, ვინმე ხელმოკლეს ანდა უკაცო ოჯახს რაიმე საქმეში დახმარება დასჭირდება და ჩვენა ვართ მისი მშველელები; ომში დაღუპულთა ოჯახები კი აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი. აი, მაგალითად, მერი გაზაევა ავიღოთ. მას ომში დაეკარგა ქმარი. ამჟამად პენსიონერია და ბევრი რამ უჭირს ხოლმე. ჩვენი წევრები ყოველკვირა აკითხავენ და ეხმარებიან.

ნინას სიტყვა ჩამოართვა მისმა თანაკლასელმა ინგა ტასოევამ:

— ჩვენი შტაბის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შორის ყველაზე დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო 9 მაისს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი შეხვედრა ომის ვეტერანებთან. აქ ძირითადად თავი მოიყარეს კავკასიონის ბრძოლების მონაწილეებმა. მათთან შეხვედრა და საუბარი, მათი მონათხრობი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს გულებში.

ფაქტიურად ეს ღონისძიება საოლქო მნიშვნელობის ზეიმად გადაიქცა. ჩვენი სკოლის სტუმრები მთელი ოსეთის, მთელი ცხინვალის საპატიო და ნანატრი სტუმრები იყვნენ...

„პიონერმშენის“ საქმიანობაზე გვესაუბრა მისი შტაბის უფროსი, მეხუთეკლასელი ინგა ტაბუევა:

— ჩვენმა პიონერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკავშირო ოპერაციებში — „მილიონი ტონა — სამშობლოს!“; „ბამს პიონერული რელსები!“ გასულ სასწავლო წელს ქალაქის სკოლებს შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დავიკავეთ, ჩვენი შტაბის წევრები — მეხუთეკლასელები ანა მადოევა, ალბერტ გაბარაევი, მეშვიდეკლასელები — ალან ჩიჩოევი, დავით ჯიოევი, ანატოლი გაბარაევი და სხვები მეურვეობენ დიდების ობელისკს, უვლიან და ახარებენ იქ გაშენებულ ყვავილნარს, რგავენ დეკორატიულ მცენარეებს, ასუფთავებენ მოედანს...

მეშვიდეკლასელმა მადინა ნანიევამ გვიამბო მარშრუტის — „მშვიდობა და სოლიდარობა“ შტაბის საქმიანობაზე:

— ჩვენ ჩამოვაყალიბეთ „ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი“ და შევიმუშავეთ სამოქმედო დევიზი — „უბრძოლველად ვერ გაიმარჯვებ!“ ამ კლუბის შტაბში 18 მოსწავლეა გაერთიანებული. მათ მიმოწერა აქვთ ბულგარელ პიონერებთან, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების სხვადასხვა სკოლების ბავშვებთან. ამ კლუბს ხელმძღვანელობს ინგლისურის მასწავლებელი ვალენტინა შევალდინა.

თვეში ერთხელ ვატარებთ კლუბის სხდომას. ვაწყობთ სოლიდარობის მიტინგებსა და საღამოებს. ამას წინათ ჩავატარეთ ჩილელი პატრიოტებისადმი მიძღვნილი სოლიდარობის საღამო. მოვაწყვეთ აგრეთვე „ნორჩი ანტიფაშისტელის კვირეული“. ამ კამპანიის მსვლელობაში ქალაქის მშენებლობებზე წავიმუშავეთ და იქ გამომუშავებული ფული მშვიდობის ფონდში გადავრიცხეთ...

„ძლიერთა, მამაცთა და მოხერხებულთა“ საქმეებზე სიამოვნებით გვიყვება ნორჩი მოჭადრაკე ვლადიმერ ბაგაევი:

— სპორტი ჩვენი სკოლის ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი დისციპლინაა, ამიტომ არის, რომ მამაცთა და მოხერხებულთა რიგები თანდათან იზრდება. სპორტის რა სახეობა გნებავთ, ჩვენი ბავშვები რომ არ ეტანებოდნენ, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით მაინც ჭადრაკი სარგებლობს. მაგალითად, გასულ წელს ჩვენმა ნორჩმა მოჭადრაკეთა გუნდმა ქალაქის სკოლებს შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაისაკუთრა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეექვსეკლასელმა — მიშა დავითიანმა, მეშვიდეკლასელებმა — ზნაურ პლიევმა და გალია გუჩმაზოვამ. ამ გუნდის ერთ-ერთი წევრი მეც ვიყავი...

გალია გუჩმაზოვა, სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე:

— მართლაც საინტერესო მუშაობაა გაჩაღებული საკავშირო მარშის მარშრუტებზე, მაგრამ, მე ვფიქრობ, და ჩემი ამხანაგები ალბათ დამეთანხმებიან, რომ ბავშვებს ყველაზე მეტად იტაცებს მარშრუტი — „ჩემი სამშობლო საბჭოთა კავშირია“. ამ მარშრუტის პროგრამა იმდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად ვრცელი და მრავალფეროვანია, რომ ცოტ-ცოტას ყველაფერს მოიცავს. სწორედ ეს მრავალფეროვნება, აგრეთვე მარშრუტის ხელმძღვანელის, გეოგრაფიის მასწავლებლის, პატივცემული ეკატერინე ქელეხსაევას მონდომებულობა განაპირობებს ჩვენი სკოლის პიონერების დაინტერესებას ამ მარშრუტით და მათს წარმატებებსაც.

რომელი ერთი ღონისძიება დავასახელო. აი, მაგალითად, ჩვენი ბავშვების მიერ მოწყობილი ექსკურსია როკის უღელტეხილზე, სადაც შეხვედრები გვქონდა ტრანსკავკასიის მაგისტრალის როკის სამანქანო გვირაბის მშენებლებთან. ამ ექსკურსიამ ნათელჰყო იმ გრანდიოზული ამოცანის მნიშვნელობა, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახა ჩვენს სახელოვან გვირაბმშენებლებს და ყველანი დაგვაინტერესა მათი ვაჟკაცური პროფესიით...

უფრო სრულყოფილად რომ დავეუფლებოდით ჩვენი მარშრუტის პროგრამას, ამ საქმეში ჩავრთეთ ისტორიის კაბინეტიც, მას მერე ჩვენს მეცადინეობას კომპლექსური ხასიათი მიეცა..

ჩვენი კუთხის ისტორიული ადგილების შესწავლის მიზნით მოვინახულეთ ზოგი მათგანი, მაგალითად, კვაისას პირველყოფილი ადამიანის საცხოვრისი, რომელიც ამას წინათ ქართველმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს. ამჟამად ამ გამოქვაბულს მეცნიერულად იკვლევენ. კვაისაში ნანახმა ძალიან დაგვაინტერესა და შინ შთაბეჭდილებებით სავსე დღიურებით დავბრუნდით...

ამ მარშრუტის პროგრამით არც ერთი ღირსშესანიშნაობა არ გამოგვრჩენია არც ქალაქად და არც სოფლად; მშობლიური ოლქის თანამედროვეობასა და წარსულში, მის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებში გათვითცნობიერების შემდეგ მიზნად დავისახეთ ჩვენი სამოქმედო არეალი კიდევ უფრო გავაფართოოთ და მთელი რესპუბლიკის მასშტაბით გავშალოთ მუშაობა. სხვათა შორის ამ მარშრუტის აქტიურმა წევრმა, ალბერტ სანაკოევმა პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა საოლქო და რესპუბლიკურ კონკურსებში. მისმა ნამუშევარმა — ,,ჩემი სამშობლო საბჭოთა კავშირია'' დიდი შეფასება დაიმსახურა საკავშირო კონკურსზეც...

●

როცა ბავშვებმა საუბარი მოამთავრეს და ჩვენი გამომშვიდობების ჟამი დადგა, სამომავლო გეგმებზე ორიოდე სიტყვის თქმა ვთხოვე უფროს პიონერხელმძღვანელს როზა ცხოვრებოვას:

— საკავშირო პიონერული მარშის ახალი დევიზია — ,,მთელი ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ერთგულნი ვართ'', რომელიც დიდი ბელადის დაბადების ას ათ წლისთავს ეძღვნება. ამ მარშის მარშრუტებზე კვლავ ძველებური შემართებით ივლის ჩვენი სკოლის პიონერული ორგანიზაცია, რათა ახალ-ახალ გამარჯვებებს მივაღწიოთ სწავლასა და შრომაში, ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბებაში, ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებაში...

●

თავიანთი კეთილშობილური მიზნების აღსრულებაში ,,ზურგის ქარი'' ვუსურვოთ კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეებს.

მ. სეტილი

გრავიურა
აბსართაგ ალბაოროვი
9 წლის





საზღვაო ბრძოლა.
ტამერლან ცხოვრებოვი, III კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭონჭა ჟოჟო

ვ. თელეევი

მოთხრობა

მხატვარი
თამაზ ხუციშვილი

ერთ საღამოს, როცა ვახშმად დავსხედით, დედა საშაქრით ხელში შემოვიდა.

— რას არ შეესწრები, — დაიწყო მან, — შაქრისათვის საკუჭნაოში გავედი, მაგრამ როგორც კი ქილას სახურავი ავხადე, ყვირილი დაიწყო:

— თუ ქურდი კიდევ ხელს მახლებს, ავხტები, თავზე დავახტები და მერე იაროს თავზე ქილაჩამოცმულმაო.

მე ერთხანს გაკვირვებისაგან პირდაღებული ვუსმენდი, მერე უცებ წამოვიძახე:

— აბა, სცადოს... ცალ ხელში ქვა მეჭირება და შიშისაგან ფეხსაც ვერ მოიცვლის. თუ გაინძრევა, სულ ნამტვრევებად ვაქცევ!

ყველამ გაიცინა, დედამ კი, ჩვეულებისამებრ, დატუქსვა დამიწყო:

—აი, შე ანცო, შენა, ადრე ქილა თვეობით სავსე მედგა, ახლა კი გავიხედავ და დაცლილია, შევსებას ვეღარ ავუდივარ.

შემრცხვა, მივხვდი, რომ დაუფიქრებლად გავეცი თავი და ერთიან წამოვწითლდი, ვიჯექი და გამწარებით ვუბერავდი გაგრილებულ ჩაის ფინჯანს.

•

დილით რომ გავიღვიძე შინ მარტო დედა დამხვდა, ვერ გამებედა მისთვის თვალის გასწორება, დედამ კი, ვითომც არაფერი მომხდარაო, გრუზა, წაბლისფერი თმა დამვარცხნა და თან ალერსიანი, წყნარი ხმით შემევედრა:

— ეზოდან არ გახვიდე, შვილო. ჩვენს მოსვლამდე სახლს მიხედე. შენებურად არ იცელქო.

დედა ჭიშკრამდე მივაცილე და, როგორც კი თვალს მიეფარა, ჩემთვის გავიფიქრე:

„დღეს აღარაფერს არ ვიცელქებ, ბოლოს და ბოლოს ერთხელ ხომ მაინც უნდა გავუხარო დედას გული".

ამ განზრახვით შევბრუნდი შინ; მაგრამ თითქოსდა ჯინაზე, თვალი ახლადამოყვანილი ყველისაკენ გამექცა. სულმა წამძლია და ცოტა მოვციცქნე. ისე მეგემრიელა, რომ ვეღარ მოვითმინე და კიდევ წავატეხე. მერე კიდევ და კიდევ. და ბოლოს, თქვენი მტერი გათავდეს, როგორც მე ის გავათავე, ჯამში მომწვანო შრატიღა დარჩა. თავზარდაცემულს გამახსენდა, როგორ აუჭრელა დედამ გვერდები ჩვენს ძაღლს — ზგარს, როცა ყველის ქურდობაზე წაუსწრო. მაშინ ზგარმა ნახევარი მაინც დატოვა, მე კი მთლიანად შევსანსლე.

ჩამოვჯექი ზღურბლზე და გულაკანკალებული ვიყურებოდი ჭიშკრისაკენ, ოხ, როგორ მშურდა უდარდელად მოსეირნე ბატების, იხვების, ქათმების და ღორებისაც კი. უკანა ფეხებზე დაცუცქული ზგარი თვალმოუშორებლად შემომყურებდა, თითქოს მსაყვედურობდა: — „ეს რა გააკეთე, ნახე, თუ შენც ჩემსავით არ მოგხვდესო".

ამ დროს დედაც გამოჩნდა. ნაღვლიანი და თავჩაქინდრული რომ დამინახა, შეშინებულმა მკითხა:

— რა დაგემართა, შვილო?

— არაფერი, — ძლივს წავილუღლუღე.

— აბა, რატომ ხარ დაღონებული? ვინმემ ხომ არ გცემა?

— არა... — ამიკანკალდა ხმა.

დედა მომეხვია, თავზე ხელი გადამისვა და უფრო ალერსიანად ჩამეკითხა:

— რაშია საქმე, არ მეტყვი?

ყელში რაღაც მომაწვა. მე როგორ ულირსად მოვიქეცი, დედა კი როგორ მეფერება.

— ისევ სულმა წამძლია!.. — ძლივს ამოვღერღე სათქმელი და ავბღავლდი.

•

ხშირად ვთამაშობ მეზობლის ლეკვთან, დავრბივართ და ხან ფეხში ვწვდები, ხან კუდში. ლეკვი მომიტრიალდება და გამომეკიდება ხოლმე. ისიც ხან სახელოზე წამეტანება, ხან — კაბის ბოლოზე. ასეთი გართობა ძალიან მამხიარულებს. იმ დღესაც, მაპატია თუ არა დედამ დანაშაული, მაშინვე ქუჩაში გამოვვარდი და ხტუნვახტუნვით მეზობელთან გადავირბინე. დავიწყე ლეკვთან ანცობა, მაგრამ, ეტყობა, ცოტა ზედმეტი მომივიდა, გა-

გრაზებული გამომეკიდა, დამეწია, მტაცა პირი და კაბის ბოლო შემომაფხრიწა. ამას კი აღარ ველოდი. მოულოდნელობისაგან გავშრი, მერე ტუჩები ამიკანკალდა და ჩემდაუნებურად ცრემლები წამომცვივდა. წამოვედი შინ, მაგრამ დედაჩემი რომ დავინახე, მისვლა ვეღარ გავბედე, „მაგის რისხვას მაინც ვერ გადავურჩები-მეთქი“, — გავიფიქრე და გამოვტრიალდი.

სკოლის ეზოში ღრმა ორმო იყო ამოთხრილი. იქვე გოგონები თამაშობდნენ. უცებ თავში რაღაც აზრი მომივიდა:

— მოდი, ორმოზე გადავხტეთ, — შევთავაზე მეგობრებს. დამეთანხმნენ, მაგრამ პირველად გადახტომას ვერავინ ბედავდა, ორმო ვიწრო იყო, მაგრამ ღრმა და ყველას ეშინოდა. მაშინ გადავწყვიტე ჩემი სისხარტე დამემტკიცებინა და პირველი გადავევლე ორმოს თავზე. სხვებიც გათამამდნენ. ზინამ, ყველაზე აწოწილმა გოგომ, რამდენჯერმე მოირბინა ორმოს პირთან, მაგრამ გადახტომა ვერა და ვერ გაბედა, შეშინებული იქვე ჩაიკუნტებოდა ხოლმე.

— მიდი, მიდი, აბა, მაგხელა აყლაყუდა რისთვისა ხარ? — ვაქეზებდი მე.

— მე რომ შენი ფეხსაცმელები მეცვას, შენ კიდევ ჩემი, მაშინ ნახავდი, რომელი უფრო შორს გადავხტებოდით, — გაბრაზებით მითხრა ზინამ.

კარგი-მეთქი, — დავეთანხმე, ფეხსაცმელები გავცვალეთ, მაგრამ ზინამ თავისი ოტროველა ფეხის წვერიც კი ვერ ჩაყო ჩემსაში. მე კი მისი ფეხსაცმელი წამოვიცვი და ფრატა-ფრუტით გავიქეცი ორმოსაკენ. ის იყო უნდა გადავმხტარიყავი, რომ გავიფიქრე, ფეხიდან არ წამძვრეს-მეთქი. ამის გაფიქრება და ფეხის გადაბრუნება ერთი იყო. ვიგრძენი, როგორ მივფრინავდი. მერე რაღაც მაგარს დავარტყი თავი და გრძნობა დავკარგე. ამ უგონობისას თითქოს მესიზმრა, ვითომ მე და ჩემი მეგობრები, რაღაც რბილსა და ღუნღულაზე ვწევართ და თან ვმუსაიფობთ. მერე ჩვენი სკოლის დამლაგებელმა ეს რბილი და ღუნღულა ქვეშიდან გამოგვაცალა· ამ დროს მოვგონდი კიდეც. მეგობრები გამქრალიყვნენ. სკოლის დამლაგებელს ხელში ავეტატებინე და ნელა ავყავდი კიბეზე. საიდან ავყავარ?—ვერ მოვდიოდი გონებაზე. მაგრამ სოფლიდან საშველად გამოქცეული შეჯგუფებული ხალხი და ჩემი შეშინებული მეგობრები რომ დავინახე, ყველაფერი გამახსენდა. ოჰო, ჩანს დიდხანს მიკოტრიალია რბილ და ღუნღულა „ქვეშაგებელზე“... კეფიდან თბილ ნაკადად მდიოდა სისხლი. ერთის ნაცვლად თავი ოთხ ადგილას მქონდა გატეხილი. მაგრამ გგონიათ ვტიროდი? როცა დავინახე, როგორ ამოისროლეს ორმოდან ზინას ცალი ფეხსაცმელი, ჯავრისაგან ტკივილიც დამავიწყდა. მაგრამ როცა დამლაგებელმა დაზიანებული კანის გარშემო თმის შეჭრა დამიწყო, სიმწრისაგან კინაღამ თვალებიდან ნაპერწკლები წამომცვივდა, თუმცა კრინტი არც მაშინ დამიძრავს.

როგორღაც შემიხვიეს ჭრილობები და შინ გამომისტუმრეს. გულის კანკალით მივდიოდი, ტკივილი არც კი მახსოვდა. შიშისაგან ტუჩები მითრთოდა და შემოდგომის ფოთოლივით ვცახცახებდი. „დედის რისხვას ახლა კი ვეღარ გადავურჩები-მეთქი“, — ვფიქრობდი გულში.

დედაჩემმა ჩემი სისხლით მოთხვრილი სახე რომ დაინახა, შეშინებულმა თავში ხელი იტაცა, მაგრამ ამ დროს, თითქოს ბედზეო, ნათლიდედამ შემოაჭრიალა ჭიშკარი და ყურძნით სავსე კალათით ჩვენკენ გამოემართა, დედას უცებ შემოვავიწყდი და მისაგებებლად გაეშურა. გახარებულებმა მოიკითხეს ერთმანეთი და მუსაიფი გააბეს. გადავრჩი. დედამ თეფშით ყურძენი შემოდგა მაგიდაზე, დარჩენილი მტევნები კი სკივრში ჩააწყო. კარგად რომ გამოვძეხი, მეგობრები გამახსენდნენ და დედას დავეჯღანე:

— ამხანაგებისთვისაც გამატანე რა ცოტა ყურძენი!

დედამ მარტო სამი მტევანი მომცა, თითქოს ამით ისინი მუცელს ამოივსებდნენ და მუსაიფი გააგრძელა, ვიცოდი, მეტს აღარ მომცემდა და შეუმჩნევლად გამოვიპარე გარეთ. სკივრს სახურავი ავხადე და ყურძენს ხელი წავატანე, მაგრამ ვერ მივწვდი. მაშინ უფრო ღრმად ჩავძვერი და კიდევ მივეტანე. მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და სკივრში თავდაყირა გადავეშვი. ხიფათიც ამას ჰქვია! — ამ უმნიშვნელო დაცემითაც კი რაღაცას წარბი შევახეთქე. გამწარებულმა ხელი ვიტაცე, მაგრამ კრინტი ვერ დავძარი, წამოვდექი და ვცადე სკივრის მოჯახუნებული სახურავი მხრებით ამეხადა, მაგრამ, აი, უბედურება! ურდულის აწევა დამვიწყნოდა და საკეტი ჩარაზულიყო. „დავიღუპე! დღეს უკვე მესამე უბედურება დატრიალდა ჩემს თავზე! რა უგერგილო ვარ! რა უნდა ვქნა ახლა? რომ დავიყვირო, ეგებ პაპა გამოვიდეს და მომეშველოს, დედამ რომ დაასწროს გამოსვლა, მაშინ რაღა ვქნა?“—ვჭოჭმანობდი მე. მაგრამ როდემდე ვიჯდებოდი ასე, ბოლოს გავბედე და პაპაჩემს დავუძახე. ჩემს ბედზე მაინცდამაინც დედაჩემი გამოვარდა, ფეხის ხმაზე ვიცანი. შიშისაგან გულმა ბაგაბუგი დამიწყო და გავიტრუნე. დედამ დამძებნა, მაგრამ რომ ვერ მიპოვნა, ისევ შინ შებრუნდა.

— დადა*! — ისევ დავიძახე გამწარებულმა.

ისევ დედა გამოვარდა.

— სადა ხარ, აზა, რა მოგივიდა?

გავიტრუნე და მოვიკუნტე. მაგრამ როდემდე ვიჯდებოდი სკივრში. „ერთხელ კიდევ უნდა ვცადო ბედი“ — გავიფიქრე და როცა დედა ისევ შეტრიალდა, გამწარებული ხმით ვიყვირე, მაგრამ, სად იყო პაპა! „რა უყისმათო ვარ, რა უბედური!“ ვფიქრობდი სასოწარკვეთილი: ჩემს ყვირილზე ისევ დედა გამოვარდა და შეშფოთებულმა დაიძახა:

— აზა, სადა ხარ?!

— აქა ვარ, დედა—ამოვიღუღლუღე მორჩილად. რაკი ვიგრძენი რომ პაპას ტყუილადღა დაველოდებოდი.

— სად აქ? — იქვე მომესმა ხმა.

— აქა...

— ოხ, როგორ მამწარებ! როდემდე უნდა გამიშრო სისხლი! მოიცა, ახლა კი ვეღარ გადამირჩები! — ბრაზობდა დედაჩემი და თან სკივრიდან ამოვყავდი. მაგრამ ჩემი სისხლიანი სახის დანახვაზე, ისევ თავში იტაცა ხელი...

ერთხელ, მზის ამოსვლისას მეგობრებმა უაცილის[1] გორაკზე მოვიყარეთ თავი. იქიდან დავზვერეთ კოლმეურნეობის ბაღი და დავიწყეთ ბჭობა, თუ როგორ გადავმძვრალიყავით შიგ. ბაღს მაღალი, ეკლიანი ღობე ჰქონდა შემოვლებული. გადავწყვიტეთ ღობის ქვეშიდან შევმძვრალიყავით. ფეხსაცმელები ეკლიან ბუჩქებში დავმალეთ და სათითაოდ შევძვერით ღობეში. მერე ყველამ სათავისო ალუბლის ხე ამოვარჩიეთ და ზედ ავედით, მე პირველი შევძვერი ხვრელში და ამიტომაც ბაღის შუაგულში მდგომი ყველაზე მაღალი ალუბლის

---

* დადა—პაპა (ოსურად)

1 უაცილი — ნაყოფიერების ღვთაება.



15844

ხე დავისაკუთრე, ვიჯექი კენწეროზე, მეამაყებოდა, რომ ამხანაგებს ზემოდან დავცქეროდი და გულში ვზეიმობდი.

ასვლისთანავე თადარიგს შევუდექი, წელზე მაგრად შემოვიჭირე ქამარი, უბე მოვიმზადე და კუნწულ-კუნწულა წითელ ალუბლებს ხან პირში ვუძახებდი და ხან უბეში. მგელივით ვილმურძლებოდი. ოჰ, რა გემრიელი იყო! პირდაპირ პირში დნებოდა. ალუბლები ჩვენც კი გვიდგას ბაღში, მაგრამ ერთხელაც არ გამხსენებია ისინი...

უცებ ჩემს ჩამოსწვრივ, ხის ძირში, კოლმეურნეობის დარაჯი დავინახე. მოულოდნელობისაგან კინაღამ ხიდან ჩამოვვარდი. დარაჯმა მთელი ხმით დაიღრიალა:

— ატანდა*!

ფაცხა-ფუცხით ჩამოვფრინდი ხიდან და სირბილით მივყევი მეგობრებს. მაგრამ ბედი არ გინდა? ალბათ დაბადებიდანვე თუ დამენათლა ასე — ჩემმა მეგობრებმა, გაასწრეს, ყარაულს კი მარტო მე შევრჩი ხელში. აი, სადაცაა დამეწევა კიდეც, ხელითაც კი წამომეტანა რამდენჯერმე, მაგრამ ვერ მომიხელთა. გადავწყვიტე მომეტყუებინა და მოულოდნელად გადავუხვიე. ყარაული ტყვიასავით გავარდა წინ, მაგრამ მერე ისევ მობრუნდა და კვლავ გამომენთო. ამასობაში, ფეხიდან ეკლის გამოღება მოვასწარი.

ყარაული ისევ მეწევა, აგერ-აგერ, საცაა, ხელსაც მტაცებს და... მაგრამ ისევ ცრუ მოძრაობით როგორღაც მოვახერხე თავის დაძვრენა. რა ბედნიერები არიან ჩემი მეგობრები! მოასწრეს ხვრელში გაძვრომა და თავს უშველეს. რატომაც არა, რა! აბა მათაც ჩემსავით დარაჯთან კატა-თაგვობანას თამაში ეწვნიათ, ვნახავდი, რა ხასიათზე დადგებოდნენ. დავწინაურდი, ცოტა იმედი მომეცა, მაგრამ ზურგს უკან ისევ მომესმა დარაჯის მძიმე ხვნეშა.

— ოხ, შე ეშმაკის კერძო, იმის მაგიერ, რომ პატიება მთხოვო, მამასხარავებ კიდეც? მოიცა, თუ სათითაოდ არ დაგაგლიჯო ეგ კაწაწები...

ქანცი გადამიწყდა. ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მაინც მოეცა. მივიხედ-მოვიხედე, იქვე მოზრდილი ჭაობია, მეტი გზა არა მაქვს და უცებ ტყაპა-ტყუპით შევვარდი შიგ.

— გამოდი ჭყანტიდან! — დაღლილობისაგან დარაჯს სუნთქვა ეკვროდა.

მე არ ვინძრეოდი. ვისვენებდი. ყარაულმა გარს შემოუარა ჭყანტობს. მერე ჩაჯდა და ფეხზე გახდა დაიწყო. ვიდრე წყალში არ შემოვიდა, მშვიდად ვიდექი. მერე კი უცებ ამოვხტი და ღობეს ვეცი. დარაჯმა ფაცხაფუცხით წაყო შიშველი ფეხები ფეხსაცმელებში და ისევ განვაახლეთ „კატა-თაგვობანას“ თამაში. დაღლილობისაგან უკვე ფეხები მეკეცება, ძლივს გავრბივარ, ვგრძნობ, რომ უკვე ველარ დავუძვრები ხელიდან. „რა ვქნა? ვიდრე საძრომს ვიპოვიდე, დამეწევა. ერთხელ კიდევ უნდა ვცადო ბედი“ — გავიფიქრე და როცა ეკლიან ბუჩქებს გავუსწორდი, უცებ მოვბრუნდი, ზღარბივით შევიკუმშე და დარაჯს პირდაპირ ფეხებში შევუვარდი. დარაჯი არ ელოდა და ალალბედზე ერთი წიხლი კი ჩამცხო, მაგრამ თვითონ თავი ველარ შეიკავა და პირდაპირ ეკლიან ბუჩქებზე წაპირქვავდა.

წამოვხტი და ისევ გავიქეცი. ალუბლის წვენი უბიდან წურწურით გამდიოდა. საით გავიქცე? დაბნეულმა მიმოვიხედე, უცებ ფარღალალა საყარაულო დავინახე, შიგ ტახტი იდგა, ტახტზე დახვეული ლოგინი ელაგა, შევვარდი ტახტის ქვეშ, მაგრამ ვერ დამფარა. მაშინ არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ დახვეულ ლეიბშუა ვდურთე თავი. კურდღელივით ვიჭყიტებოდი ღია კარიდან ეზოში. დარაჯს, ეტყობა, ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. წყაროსთან ჩაიმუხლა და სახეზე წყალი შეისხა. ამ დროს ყარაულის შვილიც გამოჩნდა ძაღლითურთ.

— სად იყავი მთელი დღე დაკარგული, ან ძაღლი სად გყავდა აქამდე? — შეუღრინა მამამ.

— ჭალებში გავინადირეთ, მამი.

— მიდი, მიდი ბევრს ნუ ლაპარაკობ, შუქი აანთე და ძაღლი გაუშვი, თორემ ნეკნებს დაგითვლი, იცოდე! — გაბრაზება შვილზე გადაიტანა დარაჯმა და საყარაულოში შემოჰყვა.

მამის დაკაწრული სახე რომ დაინახა, შვილი გაოცდა:

— ასე ვის გაულამაზებიხარ, მამი?

— ხმა ჩაიწყვიტე! დაიღრიალა დარაჯმა და კარში გავარდა. ბიჭი ერთხანს გაკვირვებული იდგა, მერე ტახტზე მიწვა. მე სუნთქვა შევიკარი. ეჰ, როგორ მიჭირდა გაუნძრევლად წოლა. რად მიღირდა ახლა ერთი ფეხის გაშლა! რაღაცა წელში ისე მირტყამს, თითქოს შუაზე უნდა გადაწყდესო. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვგრძნობდი, რომ სხეული უკვე აღარ მემორჩილებოდა, ჩემდაუნებურად ლეიბიდან თავი გამოვყავი. პირველი, რაც დავინახე, ეს იყო ბიჭის შიშისაგან დამრგვალებული თვალები. ცხვირწინ გამოჩრილი აბურძგნილი თავი და ალუბლის წვენით მოთხუპნული სახე რომ დაინახა, ბიჭმა შეშინებულმა შეჰყვირა:

— ვაიმე, მამი, ეშმაკებმა შემჭამეს! — და იმწამსვე გარეთ გავარდა. ძაღლიც ყეფით მიჰყვა. ისინი ზევით გარბოდნენ, მე — ქვევით. ფეხები მეკეცებოდა და ძლივს ვსუნთქავდი. როგორც იქნა თავი დავაღწიე და იმწამსვე უაცილის გორაკისაკენ მოვუსვი. შორიდან კიდევ მესმოდა ბიჭის ყვირილი და ძაღლის გაუთავებელი ყეფა...

გამახსენდა, რომ უბეში ალუბლები მეყარა, მოვისინჯე, მაგრამ ალუბლების ნაცვლად კურკები შემრჩა ხელში; გვერდში ტკივილი ვიგრძენი, გატეხილმა ნეკნმა შემახსენა თავი. ეკლებით გავსებული ფეხები კი ისე მეწვოდა და მტეხდა, თითქოს მთელი დღე ფეხშიშველას მევლოს ჭინჭრიანში.

დედაჩემი ჭიშკართან მელოდა. რომ დამინახა, შეეშინდა.

— რა მოგივიდა, შვილო?!

გულახდილად გამოვუტყდი ყველაფერში. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ დედამ არც კი დამტუქსა. უფრო მეტიც, სიტყვაც არ უთქვამს. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში თითქოს ვერ მამჩნევსო, ცივი სახით საღლაც, ჩემს მიღმა იყურებოდა. უხმოდ გამხადა, დამბანა და ლოგინში ჩამაწვინა, ჩვეული „ღამე მშვიდობისაც“ აღარ მითხრა. ველარ მოვითმინე:

— დედა! — წამოვიძახე ტირილნარევი ხმით და ორივე ხელით კისერზე შემოვეჭდე.

— აზა, — ჩემი ხელები მოირიდა და წყნარად თქვა დედამ, — განა ჩვენს ბაღში ცოტა ალუბლები გვიდგა?

— მაპატიე, დედა! — ჩავებლაუჭე დედას.

— ჩემო გამამწარებელო, — მეუბნებოდა დედა და თავზე ალერსით მისვამდა ხელს.

•

დედაჩემი რამდენიმე დღე ცხვირს აღარ მაყოფინებდა ეზოდან.

— ვიდრე კარგად არ გახდები, შენი ფეხი ქუჩაში არა ვნახო, თორემ არ ვიცი რას გიზამო — დამემუქრა. მაგრამ გაძლება არ გინდოდა? კიდევ კარგი, ახლა არდადე-

---

* ატანდა — ყარაული (ოსურად)

გებია, თორემ სხვა დროს შეიძლება სწავლაშიც ჩამორჩენილიყავი.

ერთ საღამოს, როცა შინაურებს სამუშაოდან მოსვლა შეაგვიანდათ, ქუჩაში გამოვედი. ვხედავ, ჩვენი მეზობლის, მოხუცი ნაგუის სახლთან ხალხია თავშეყრილი. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ახლოს მივედი. ნაგუის შვილი და რძალი ფერმაში იყვნენ. შინ მარტო მოხუცი ნაგუი და ბავშვები რჩებოდნენ ხოლმე. ამ საღამოს ვიღაცას ძალიან შეეშინებინა. მოხუცი თურმე წყალზე წავიდა და ბავშვები შინ მარტო დატოვა. ბებიას მოსვლამდე ბავშვები წყნარად თამაშობდნენ. უცებ კარმა დაიჭრიალა, ბავშვებმა მოიხედეს და შეშინებულები აწივლდნენ: კარიდან მათ ეშმაკის მოტიტვლებული თავი შემოსცქეროდა. არც ყურები ჰქონდა და არც ცხვირი. ეშმაკმა მიმოიხედა, მერე ისკუპა, ეცა ბავშვებს და



გვერდები დაულილავა, როცა ბავშვებს შიშისაგან ცნობა წაერთვათ, ეშმაკი გაუჩინარდა.

შინმობრუნებულმა ნაგუიმ იატაკზე უგრძნობლად დაყრილი შვილიშვილები რომ დაინახა, ისეთი კივილი დაიწყო, რომ მთელი მეზობლები თავზე დაიცა. ბავშვები ძლივს მოასულიერეს.

იმ საღამოს მკითხავი მეკუ არ გამოჩენილა, მაგრამ მეორე დღეს დილაარდიან გამოეცხადა ნაგუის და ჰკითხა:

— როგორ არიან ბავშვები?

— შენი მტერი იყოს ისე. ჯერ კიდევ ვერ მოსულან გონებაზე. მთელი გვერდები დალურჯებული აქვთ, — ცრემლების წმენდით დაიწყო წუწუნი მოხუცმა.

— ნაგუი, შენ კარგად იცი, რომ ბავშვებს ავი სული დაეცა. ეტყობა, განრისხებულია თქვენზე და იცოდეთ ეს სიკეთეს არ მოგიტანთ. მთელი ღამე დაძრწის, წყეულიმც იყოს! რამდენიმე სახლს მინები ჩაულეწა, მე დიდი ხანია შევეშვი მკითხაობას, საამისო გაჭირვება არ მადგას, მაგრამ არ შემიძლია გულგრილად ვუყურო თქვენს ტანჯვას, სხვა რომ არა იყოს რა, მეზობლები ვართ. თუ შვილიშვილების სიკეთე გინდა, ასი მანეთი მომიტანე და იმ უწმინდურისაგან დაგიხსნით. რომ შეიძლებოდეს, კაპიკსაც არ ავიღებდი, მაგრამ, ხომ იცი, ეშმაკს ცარიელი ხელებით ვერ მოუგებ გულს.

მოხუციც ადგა და შვილის უჩუმრად ასი მანეთი მიუტანა მეკუს. მარჩიელმა მთქნარებით შეულოცა ნაგუის, მერე რაღაც წამალი მისცა და ურჩია ეზოში ჩამარხეო. ის იყო და ის, მას შემდეგ ეშმაკი კი არა, ბუზი არ შემომჯდარა მოხუცი ნაგუის სახლის სახურავზე, მის ფანჯარაზეც აღარავის დაუკაკუნებია. მაგრამ ეშმაკი არ ისვენებდა, ახლა სხვის სახურავებზე დაძრწოდა. დიდი ჯაფა დაადგა მეკუს, რომ სხვა მეზობლებიც როგორმე ეხსნა განსაცდელისაგან. მეკუს უნდოდა შელოცვით ჩვენი ჭერიც გადაერჩინა, მაგრამ პაპაჩემი გაჯიუტდა. დედას ეშმაკი ისე არ აშინებდა, როგორც ის, რომ უწმინდურის ლოცვით შეკვრისათვის ასი მანეთი უნდა გადაეხადა.

— თუნდაც ჩემი რომელიმე შვილი ემსხვერპლოს, ამ სულელ და ბნელ დედაკაცს კაპიკსაც არ მივცემ, — მკაცრად განაცხადა დედამ.

ეშმაკი კი უფრო და უფრო მძვინვარებდა. მისგან ნასროლი ქვებისაგან ჩვენი სახურავი ალაგ-ალაგ გაიხვრიტა კიდეც. ერთ დღეს ვიფიქრე: „მოდი, ერთი დავუყარაულდები, ვნახავ, ნამდვილი ეშმაკი როგორია-მეთქი". იმ საღამოს პაპაჩემის თოფი მალულად სახურავზე ავიტანე. დედაჩემს კი ვუთხარი, ამ საღამოს დეიდა სანისთან დავრჩები-მეთქი.

როგორც კი კარგად დაღამდა, სახურავზე ავძვერი და მოლოდინში გავიტრუნე. შიშისაგან გული მიფანცქალებდა, ზედმეტი ამოსუნთქვისაც კი მეშინოდა, დაძაბული ველოდი, როდის ისკუპებდა და მომახტებოდა ის ოხერტიალი ეშმაკი...

სახურავი მთვარის შუქით იყო განათებული. ეს ცოტას მამშვიდებდა.

ამ დროს ხეებთან რაღაც ჩრდილი დაეცა; შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა და სუნთქვა შემეკრა.

— ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ — ჩავიჩურჩულე შეძრწუნებულმა. სახლისაკენ წელში მოხრილი, ბალნიანი ეშმაკი მობაჯბაჯებდა. მოტვლეპილ თავზე ცალი რქა ადგა. შეჩერდა. აქეთ-იქით მიმოიხედა, დაიხარა და გამალებით დაიწყო კალთაში ქვების მოგროვება. მერე წამოვიდა და ჩვენს სახურავს ქვები დაუშინა... მიდამო მოვათვალიერე. შევნიშნე, რომ ეშმაკი მარტო იყო და თანამოსაქმენი არა ჰყავდა. მაშინ გულდაგულ დავუმიზნე თოფი და, როცა ეშმაკი ქვებისათვის წაიხარა, ჩახმახს ფეხი გამოვუშალე.

ეშმაკს ქვები დაუცვივდა, ორივე ხელი მუხლზე იტაცა და კივილით გაიშხლართა მიწაზე.

სოფელი შეჩოჩქოლდა. ყველა ჩვენკენ გამორბოდა. მე საჩქაროდ ძირს ჩამოვედი. იყო ერთი ყაყანი. მე დედაჩემთან ვიდექი, მაგრამ ისე იყო აღელვებული, ვერც კი შემამჩნია.

პაპაჩემმა დათვივით ტლანქად გამოარღვია ბრბო და ეშმაკთან მიიჭრა.

— აბა სად არის? ვინ ესროლა? იმის მარჯვენას ვენაცვალე!

მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა და ეშმაკს მიუბრუნდა:

— შე მუდრეგო! ვინ დაგავალა ჩემი სახურავის ჩამტვრევა? — და რქაში ხელი სტაცა, მაგრამ გაკვირვებისაგან თვალები გადმოსცვივდა — რქის ნაცვლად ხელში სიმინდის ნაკაჭო შერჩა, რომელზედაც ჩვეულებრივი კაპრონის წინდა იყო გადაჭიმული. პაპა ეშმაკს მიაჩერდა, მას უკვე აღარ ჰქონდა მოტვლეპილი და წაგრძელებული თავი. ღოჯების ნაცვლად კი პირიდან გრძელი მაკარონები გადმოსცვივდა. ეშმაკი ცდილობდა ტყაპუჭში ჩაემალა სახე, მაგრამ სავსე მთვარის შუქზე ყველამ აშკარად დაინახა მკითხავი მეკუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ბებიაჩემი გაафთრებული ეცა მას და, ვინ იცის, რა მოხდებოდა, ხალხს რომ არ გაეზავებინა. მეკუ საავადმყოფოში წაიყვანეს.

•

მართლაც, რაღა არ გამიკეთებია!

მე და ჩემს კბილა ბავშვებს ყველას რომელიმე ამორჩეული მეგობარი გვყავდა. ვის—ცხვარი, ვის—გოჭი, ვის ბოჩოლა და ვის ლეკვი. მაგრამ მე უფრო ძლიერებთან ვმეგობრობდი ხოლმე. იმ ზაფხულს ჩემი არჩევანი ორ ფურკამეჩზე შეჩერდა. როცა ისინი ჩემთან იყვნენ, ბავშვებსაც კი ეშინოდათ, თორემ ძაღლები აბა რალას შემომბედავდნენ. ამხანაგებს ჩემი შურდათ და მეც ცხვირს ზევით ვიწევდი. მართლაც საიმედო მეგობრები მყავდა. რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა ისინი! მალვით თუ ცხადლივ, ოჯახში რაც კი სასუსნავი გვქონდა, სულ მათ ვუზიდავდი. ჩემს კუთვნილ ნამცხვრის ნაჭრებსაც მათ ვაჭმევდი. და, აბა, რა გასაკვირია, რომ ჩემს დაძახებაზე სიხარულით მომეგებებოდნენ ხოლმე.

ერთ დღეს კამეჩები სამწყესურში გავრეკე, გზის შესამოკლებლად მოხნული მინდორი გადავჭერით. მე ბასრ ქვაზე ფეხი მქონდა გაჭრილი, სიარული მიჭირდა და ამიტომ ერთ-ერთ კამეჩს ზურგზე შემოვაჯექი. გეზი წურბელების ტბისაკენ გვეჭირა. ტბას რომ მივუახლოვდით, საკვირველი სურათი დავინახე: ვიღაც კაცი გველნაკბენივით ამოხტა ტბიდან, ფეხი ზევით ჰქონდა აფშლეკილი. ქუსლზე ფეთიანივით დაიხედა და ერთ ადგილზე ხტუნვას მოჰყვა. დავინტერესდი და კამეჩები ავაჩქარე. კაცს შარვალი მუხლებამდე აეკაპიწებინა. რომ დავაკვირდი, ქუსლზე რაღაც შავი, ძაფისმაგვარი შევამჩნიე. კაცი ურტყამდა ამ მარცხენა ფეხს. ამას ისე სწრაფად აკეთებდა, იფიქრებდით, ცეკვავსო. მოულოდნელად ჩვენკენ შემოტრიალდა. არც კი დავუნახივარ. კამეჩებს შუა გავარდა და ფეხშიშველი გაიქცა. ვიცანი—მოხუცი ფიდო იყო მეზობელი სოფლიდან. აქამდე სრული ჭკუისა მეგონა და ახლა რაღამ მოუარა-მეთქი, დავინტერესდი და უკან მივყევი. მივრბივარ და მის ქუსლს ვაკვირდები. უცებ, ის შავი რაღაცა მოძვრა და ჩემს წინ ქვებშუა დაეცა. ვხედავ, ცხენის თავმოგლეჯილი წურბელაა. „ალბათ თავი ფიდოს ქუსლში შერჩა-მეთქი, — გავიფიქრე და ისევ უკან გამოვეკიდე. მედპუნქტამდე ერთად ვირბინეთ. შიშისა და დაღლილობისაგან ენაჩავარდნილი პირდაპირ ტახტზე მიესვენა.

— ქუსლში ცხენის წურბელის თავი შერჩა, ტანი მინდორზე დავარდა, — აღელვებით ავუხსენი იქ დამხვდურებს.

•

ორი დღის შემდეგ ფიდო ვნახე. გამიხარდა, რომ გადარჩენილიყო და ამ შემთხვევის შესახებ პაპაჩემს ვუამბე. პაპამ გაიცინა და მითხრა:

— ეჰ, უჭკუო ხარ, შვილო, როდის იყო წურბელა კაცსა კლავდა. არამ სისხლსა სწოვს მხოლოდ.

ამის შემდეგ ერთი აზრი ამეკვიატა: — წურბელები მინდოდა დამეჭირა, მაგრამ როგორ — არ ვიცოდი. ტბა უძრავია, მასში წყალი არც შედის, არც გამოდის. მზიან ამინდებში მისი მიდამო წურბელებზე მონადირეებით ივსება, ჩადიან წყალში, გრძელი ჯოხებით წყალს ამღვრევენ და წურბელებს ნაპირზე უხმობენ:

— ჰოი, ჰო, ჰოი, წურბელებო...

არ ვიცი, ეს მიპატიჟება მართლა ესმოდათ თუ არა წურბელებს, მაგრამ ზოგჯერ მაინც გამოდიოდნენ ნაპი-

რზე და მონადირეები ჯოხის ამოკვრით მოისროდნენ ხოლმე მათ ხმელეთისაკენ.

წურბელებზე ნადირობის ეს მამაპაპური ხერხი არ მომწონდა, რაიმე სხვა უნდა მომეგონებინა. ტვინს ვიჭყლეტდი, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოვიგონე. ჰოდა, ერთხელ ფურკამეჩების სავსე ცურებს შევხედე თუ არა, მოულოდნელად უცნაურმა აღმოჩენამ გამიელვა თავში. ვიპოვე რასაც ვეძებდი! ავიღე ჯოხი და ფურკამეჩები ტბაში შევყარე: თუ წურბელებს ადამიანის სისხლი უყვართ, კამეჩებს დაიწუნებენ თუ? დავდივარ ნაპირზე, აღელვებული ვიკვნეტავ ფრჩხილებს და შედეგს ველოდები. ზუსტად ასე ვღელავ ხოლმე, როცა გაკვეთილი არ ვიცი...

კარგა ხნის შემდეგ კამეჩებს დავუძახე და ნაპირზე გამოვიყვანე. შევხედე და სიხარულით ტაში შემოვკარი: ფურკამეჩებს ცურებზე გროვა-გროვა წურბელები მიჰკვროდნენ. აღმოჩენაც ამას ჰქვია! ამის შემდეგ მთელი დღეობით ვიკარგებოდით ტბაზე მე და ჩემი მეგობრები და გატაცებით ვნადირობდით წურბელებზე. რომ იცოდეთ, როგორ მემადლიერებოდნენ წურბელებზე მონადირენი, როცა ნაპირზე გროვა-გროვა წურბელებს ჩამოვბერტყავდი ხოლმე კამეჩების ცურებიდან! და ალბათ დიდხანს მოვემსახურებოდი მათ, რომ ერთი ამბავი არ შემმთხვეოდა. ეს კი ასე მოხდა: დედამ და პაპიდამ გადაწყვიტეს წურბელებით ემკურნალათ, მაგრამ პაპიდას ძალიან ეშინოდა და მთხოვა, რომ არ დავინახო წურბელები, რქაში ჩასხი და ისე მომკიდეო. მეც ჩავსხი წურბელები რქაში და პაპიდას შუბლზე მივუმარჯვე. მივაჭირე რქა და თან შევეკითხე:

— აბა, როგორ არის საქმე, წოვენ თუ არა სისხლს? — მერე რქა ცოტა იქით გავწიე, და გახარებულმა დავინახე, რომ ორი წურბელა უკვე მოჰკიდებოდა პაპიდას შუბლზე.

გავაგრძელე ექიმბაშობა. დარჩენილმა ორმა წურბელამ რქიდან ცნობისმოყვარეობით გამოიხედა, მერე ერთი მათგანი ნაპირზე გადმოეკიდა. პაპიდამ ეს რომ დაინახა, ცივი ხმით აკივლდა. ვიდრე დედა მოირბენდა, წურბელა საჩქაროდ რქაში შევაბრუნე. პაპიდა კი ისევ განაგრძობდა კივილს.

— მომაცილეთ ეს სულელი გოგო!.. ამისმა წურბელებმა კინაღამ თვალები ამომჭამეს! — ჩემზე უჩვენებდა და ყვიროდა პაპიდა.

— ტყუილია, მე არაფერი დამიშავებია. მხოლოდ ერთმა წურბელამ გადმოიწია, — ვცდილობდი თავის გამართლებას.

პაპამ მოირბინა და გაბრაზებული აყვირდა:

— არ მოგასვენა ღმერთმა, ბავშვს არ ეშინია და წურბელებმა როგორ დაგაფრთხეს ქალო? სულში ჩაგიძვრებიან თუ რა?

პაპამ რომ დამიცვა, გულზე მომეშვა. პაპიდაზე კი ძალიან ნაწყენი ვიყავი. „მოიცა, მე შენ გიჩვენებ სეირს" — დავემუქრე გულში. არ გეგონოთ, რომ პაპიდა არ მიყვარდეს, მაგრამ უსამართლოდ მომექცა და ვერ მომენელებინა.

როცა ჩემი წურბელები სისხლით დაიბერნენ, რქა ქვემოდან მივუშვირე, ორი წურბელა მოსწყდა შუბლიდან პაპიდას და რქაში ჩაგორდა. ის იყო ტბაში გადასაყრელად მოვიქნიე ხელი, მაგრამ ამ დროს პაპიდა ისევ აკივლდა. ამას აღარ ველოდი და დაბნეულმა რქა ზედ ცხვირწინ გადმოვუპირქვავე. აბა, სეირი მაშინ გენახათ. ყვირილზე პაპა მოვარდა. პაპიდა ისე იყო შეშინებული, რომ ახლა ხმას ვეღარ იღებდა. მე დავაწყარი და დედას საჩქაროდ მივახალე:

— წურბელების თუ ეშინია, რაღას მოდის აქ... ალბათ ეგონა, მთელი სისხლი გამომწოვესო.

ბოლო წურბელაც უხალისოდ მოვისროლე ტბაში. და უცებ საოცარი კითხვა გამიჩნდა: „ნეტავ რა სიღრმისა იქნება ტბა?"

პაპიდა შინ წავიდა. დედა კი ტყეში — წნელის მოსაჭრელად. პაპაჩემს შევეხვეწე, ერთი გრძელი სახრე მოეჭრა ჩემთვის. პაპა არ დამზარდა და მართლაც მომიტანა გრძელი სახრე. სახრე ხელში დავიჭირე, ფურკამეჩზე გადავჯექი და ტბაში შევცურეთ. წყალი ჯერ მუხლებამდე მწვდებოდა, შემდეგ წელამდე. ჩემს მეგობარს კი წყალზემოთ აწეული თავი მოუჩანდა მხოლოდ. მივცოცდი მის თავთან და ცალი ხელი რქაში ჩავავლე, მეორეთი კი სახრე წყალში ჩავუშვი. ფსკერს მაინც ვერ ვუწვდინე. ტყუილად კი არ ეძახის ხალხი — უძიროს. სახრე მოვისროლე და ფურკამეჩს ორივე ხელით ჩავაფრინდი რქებში. ეჰ, როგორ მინდოდა ამ შუა ტბაში ვინმეს მაინც დავენახე ჩემი ტოლებიდან...

ნაპირამდე ცოტაღა გვქონდა დარჩენილი, რომ უკან მოვიხედე და უცებ საშინელი ხმით დავიწივლე.

— დადა, დადა!

მომეჩვენა, რომ კამეჩის კუდს უკან გველი მოცურავდა. ვხედავდი, რომ დედა საშველად მორბოდა, მაგრამ მაინც ვყვიროდი:

— ჩქარა, დადა, ჩქარა, თორემ გველი მიკბენს...

დადა წყალში შემოვარდა, მაღლა ამიტაცა და ნაპირისაკენ გამაქანა. ამის შემდეგ ტბაზე აღარ გავუშვივარ. ასე დაკარგეს წურბელების მაძიებლებმა ერთგული მომმარაგებელი.

ასეთი დიდი მწუხარება პირველად გამოვცადე. ხალხს უკვირდა კიდეც:

— უყურეთ ამ ჭინკას, პაპის სიკვდილმა როგორ იმოქმედა, მამაზეც არ უდარდია ასეო.

ხალხი მართალი იყო. მაგრამ, როცა მამაჩემი ფრონტზე წავიდა, მე ჯერ დაბადებულიც არ ვიყავი, თურმე სწორედ ჩემი დაბადების დღეს გამოსალმა ფაშისტების ტყვიამ მამაჩემი წუთისოფელს, საიდან უნდა მედარდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალექსანდრე ფუხაევი**

## ფეიქარი

დგას დაზგასთან თეთრი ქალი—
ახალგაზრდა ფეიქარი.

— ფეიქარო, კოხტა ქალო,
გიცქერი და ჩუმად ვხარობ.
შენი დაზგა ისე გალობს,
ვით უღრანში წმინდა წყარო.

ეგ ძაფები ალბათ შენი
ცხელი გულის სხივებია.
შუბლზე ოფლის ნამი გშვენის,
თუ ალმასის მძივებია?

ეგ თითები, ასე ნაზი,
შენს დიდებას ქსოვენ თითქოს,
ყველამ იცის მათი ფასი —
ნართს მიჰყვება მათი სითბო.

ო, რა მალე ფრთა გაშალე —
გახდი შრომის მოწინავე,
წინ მიუძღვი ქალაშავებს
მაისივით მოცინარი.

მჯერა, კვლავაც გაახარებს
შენი გარჯა მშობელ მხარეს.
გაგიმარჯოს, კარგო ქალო —
ახალგაზრდა ფეიქარო!

## კალატოზის სიმღერა

განთიადზე წამომხტარი
სამუშაოდ მივიჩქარი,
არად ვაგდებ სიცხეს, ქარებს
სახლს ვაშენებ დღეცისმარე.

ავიტაცებ ბუმბულივით
ქვას და, ქვაზე ვაწყობ როცა,
გული მღერის ბულბულივით
და გაჩენას ჩემსას ვლოცავ.

ოდეს მაღლა-მაღლა ამყავს
კედელი და ცად იწევა, —
ოცნებაში ვხედავ აკვანს,
ამ სახლში რომ დაირწევა;

ვხედავ, როგორ ღვივის კერა,
მხოლოდ ლხინის სუფრას შლიან,
არ აშინებთ ბედისწერა,
არცა სცივათ, არცა შიათ.

დაღლას მიტომ არად ვაგდებ,
მზეს და ქარებს მიტომ ვუძლებ, —
რუდუნებით სახლს რომ ვაგებ,
იქ სიცოცხლეს ვუყრი ფუძეს.

კალატოზი მყავდა პაპა,
მამაც მყავდა კალატოზი,
წინაპართა ანდერძნამაგს
მეც არასდროს ვღალატობდი.

განთიადზე წამომხტარი
მეც იქითკენ მივიჩქარი,
სადაც ჩემი ქაფჩა მღერის
და სადაც ეს გული მღერის.

როცა მამა თვალითაც არ მენახა. მაგრამ დადა, დადა... პაპაჩემის სახეს თვალიდან ვერ ვიცილებდი. გარუჯული, მაღალი... როცა ჭაღარა ულვაშებში ჩაიღიმებდა, მეგონა მთვარიან ღამეში მზემ გამოანათაო. ახლაცა ვგრძნობ იმის ტუჩების შეხებას ლოყებზე. ჩემს სმენას აქამდე შემოუნახავს მისი მშობლიური ხმა. აბა უბედური როგორ არ ვიქნებოდი, ცრემლებისაგან ლოყები სულ სველი მქონდა. სიცელქე, სიმხიარულე ჩემს გულს აღარ ეკარებოდა.

დედას ესმოდა ჩემი მწუხარება, უნდოდა გავერთე, მაგრამ საამისო დრო სად ჰქონდა, ორ ცვლაში მუშაობდა სკოლაში მასწავლებლად. საღამოს დაღლილი მოვიდოდა და ახლა შინაურ საქმეს ვერ აუდიოდა. ჩემი მოფერებისათვის სულ არ ეცალა, მხოლოდ ძილის წინ მაგრად ჩამიხუტებდა გულში და მეც ბედნიერი ვიყავი...

მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. დედა მძიმედ გამიხდა ავად და მთელი საოჯახო საზრუნავი ჩემს ბავშვურ მხრებს დააწვა. დედა საწოლიდან ველარ დგებოდა, ვერ ხედავდა, გარეთ რას ვსაქმიანობდი, მაგრამ გრძნობდა ყოველივეს და როცა დაღლილი შევიდოდი ხოლმე შინ, თვალებიდან ცრემლები სცვიოდა. ხშირად მეკითხებოდა, რას აკეთებდი, შვილო?

— არაფერს, დედა, ქუჩაში ვთამაშობდი, — ვეუბნებოდი რაც შეიძლება უზრუნველი ხმით.

მაგრამ დედაჩემს ვერაფერს ვაპარებდი. კარგად იცოდა, რომ მისი ავად გახდომიდან ერთხელაც კი არ მითამაშია, ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რომ ყველაფერი გამეკეთებინა რაც შემეძლო.

თანდათან შინაურები დედას როგორღაც ცივად ექცეოდნენ.

ვხედავდი, ბებიაჩემი როგორ ბუზღუნით დაახეთქებდა ხოლმე მის წინ თეფშს, როცა საჭმელს მიუტანდა და გული მტკიოდა.

ერთ დილას ქალაქში გამაგზავნეს მამიდას ჩამოსაყვანად. იმ დღეს დედასთვის არც საჭმელი მიუტანიათ და არც სასმელი. დედას უწყლობისაგან ყელი გაუშრა, მაგრამ დედამთილს თხოვნა ვერ გაუბედა. იწვა და იტანჯებოდა.

საღამოს დედა გასავათებული დამხვდა. გატანჯული თვალებით შემომხედა და გაწამებულმა ძლივს ამოღერღა:

— შვილო, წყალი...

სასწრაფოდ მივუტანე ჭიქით წყალი. დედამ ხარბად გამოცალა და შემდეგ სუსტი ხმით შემეკითხა:

— სად დაიკარგე. მთელი დღე...

— მამიდა აღარ მიშვებდა, დილაზე ერთად წავიდეთო.

— მივუგე მე.

დედა დუმდა.

მამიდა ადრიანად გამოგვეცხადა. ბებია აბუზღუნდა:

— ამ ქალს საქაო პირი აღარა აქვს, — დაიწყო მან,— ქაფივით გვადნება ხელში. როდემდე უნდა ვუყურო, ვის ესიამოვნება ყოველდღე სახლში მიცვალებულს უყურებდეს? მე ამის შინ გამჩერებელი აღარა ვარ.

— ამ სახლში შენა ხარ უფროსი და რაც გინდა ის გადაწყვიტე, — დაუდასტურა მამიდამაც.

— ხვალ დილითვე უნდა წავიყვანოთ საავადმყოფოში, მეტი გამოსავალი არ არის, — დაასკვნა ბებიამ.

ცრემლები მომადგა. ბებიამ შემამჩნია და თქვა:

— ჩემი გოგონა უკვე კარგად უძლვება ოჯახს... სულ მე დამემსგავსა, ამას შემოვევლე!

პატარა სკამზე ვიჯექი და სასოწარკვეთილი ვფიქრობდი:

„ახლა უკანასკნელ ღამეს გავათევ დედასთან ერთად, უკანასკნელადღა მკითხავს, — ძალიან დაიღალე, შვილო?“. თვალწინ ველარაფერს ვხედავდი...

დაძინებისას დედას ვთხოვე:

დასასრული 25-ე გვერდზე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# როგორ მოატყუა მელამ ალდარის შვილი

აზა კაბისოვა,
ცხინვალის მე-9 საშუალო სკოლა,
VI კლასი.

ზღაპარი

ერთ უსიერ ტყეში ცხოვრობდა ეშმაკი მელაკუდა. ძალზე ლამაზი რამ იყო ის მელაკუდა, ისეთი ბომბორა კუდი ჰქონდა, მის შეხედვას არაფერი სჯობდა, მონადირეები მუდამ კვალში დასდევდნენ, იქნებ დავიჭიროთ ან მოვკლათო, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს.

ერთ დილით ალდარის შვილი სანადიროდ წავიდა. მასაც განაგონი ჰქონდა ეშმაკი მელიის სილამაზის ამბავი და ერთი სული ჰქონდა, როდის წააწყდებოდა. სანადიროდ გამზადებულს მამამ უთხრა, ტყუილად იწუხებ თავს, იმ მელიის მომნადირებელი შენ არა ხარო.

როცა შვილმა თავისი არ დაიშალა, მამამ ასე დაარიგა:

— ეს მაინც დამიჯერე — იცოდე, მელიას ხმა არ გასცე, თორემ უეჭველად გაგაცურებს და მშრალზე დაგსვამს. ეცადე, როგორც კი დაინახავ, იმწამსვე ესროლო.

— კეთილი. — სიტყვით დაეთანხმა შვილი, გულში კი ფიქრობდა, — ამ ბებერი მამაჩემის დარიგება ნეტა რად მინდა, ჯან-ღონით და ჭკუით სავსე ვარ, მელიამ როგორ უნდა მომატყუოს, მე თვითონ მოვატყუებ — შენი ხელის ხლება სულაც არ გამივლია-მეთქი გულში, ვეტყვი, დავიჭერ და მამაჩემს მოვგვრი.

ამ ფიქრში იყო ალდარის შვილი, როცა სოროს მიადგა. მელია იქვე დასკუპებულიყო, შესასვლელთან.

იგი კარგად მიხვდა, რისთვისაც მოსულიყო ალდარის შვილი და გულში გაივლო, ამას კი ვუტირებ ყოფასო.

— დილა მშვიდობისა, მელაკუდა, — წამოიწყო ალდარის შვილმა.

მელიამ სალამ-ქალამი არ დააყოვნა და დაუმატა:

— უსაქმოდ, ვიცი, ჩემთან არ მოხვიდოდი ბარემ მითხარი, რისთვის მობრძანებულხარ?

— ჩემთან მინდა წაგიყვანო. აქ ტყეში გიჭირს ალბათ ცხოველებთან ცხოვრება, მე კი ბატონივით გამყოფებ.

— კეთილი, მაგას რა სჯობს, — ვითომ გაუხარდა მელიას.



ჩემი მეხბორე ბებია. ემა ძაგიევა, 7 წლის.

— გამომყევი უკან და წაგიძღვები სოფლისაკენ.

მელიამ ცოტა ხანს კი სდია უკან მონადირეს, მერე შედგა და ეუბნება:

— ეგ გზა შორია, აქეთ წამოდი და მე წაგიყვან სოფლისაკენ მოკლე ბილიკებით.

ალდარის შვილს მოეწონა ეს ამბავი: ვეღარ ითმენდა, მალე უნდოდა მისულიყო შინ და მამასთან წაეტრაბახა — აჰა, თუ ვერ დავიჭირე ის შენი მელიაო. ამიტომ სიამოვნებით დათანხმდა.

ეშმაკი მელია კი თავისას ფიქრობდა.

ადგა და ალდარის შვილი ჭაობში შეიტყუა.

ალდარის შვილი და მისი მსახურები ჭაობში ჩაეფლენ და იქიდან თავი ვეღარ დაიხსნეს.

მელია კი მშვიდობით მიბრუნდა თავის სამყოფელში.

ასე გააცურა მელიამ ალდარის ტრაბახა შვილი.

ბებოს ვეხმარებით. ლარისა ჯიოევა, 8 წლის.





პურის ცხობა. ხ. ალბოროვი, 7 წლის.

# საზრიანი კურდღელი

ზღაპარი

მართლა მოხდა თუ არა ეს შემთხვევა, ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ამბობენ, ამ ამბავში ერთი მისხალი ტყუილიც კი არ ურევიაო.

თურმე ერთ მხდალ კურდღელს ერთ დღეს სიცოცხლე მობეზრდა. რა გასაკვირია, განა თქვენ კი გაუძლებდით ზამთარ-ზაფხულ, დარში თუ ავდარში, დღისით თუ ღამით გაუთავებელ შიშსა და კანკალს? აქეთ მგელს უნდა მორიდებოდა, იქით — არწივს, ადამიანმა ხომ სულ ხელი მოუთავა...

ჰოდა მობეზრდა ყველაფერი ეს კურდღელს და თავის დახრჩობა გადაწყვიტა. წავა და კენჭივით ჩაიძირება ყინულივით ცივ წყალში!.. უჰ!.. კურდღელს უცებ შეამცივნა ამის გაფიქრებისას, მაგრამ უკან აღარ დაიხია, წავალ და მივიხედ-მოვიხედავ მაინცო,—გაიფიქრა. ბევრი სიარული არ დასჭირვებია, ჩვენს მთებსა და ხევებში წყალს რა გამოლევს, ყურცქვიტას დასახრჩობი წყალი ამ პაწია ჭაობშიც კია, აგე, იმ გუბეშიც... სკუპ, სკუპ, სკუპ,... იარა, იარა და ერთ პატარა ტბას მიადგა. ის ტბა თურმე კამეჩებს ჰქონდათ საბანაოდ ამოჩემებული. სწორედ ამ დროს ნაპირზე ყიყინა ბაყაყი თვლემდა. კურდღელს თვალი მოჰკრა თუ არა, ტბაში ისკუპა. კურდღელს გაუკვირდა: „ბიჭოს! ზოგს თურმე ჩემიც შინებიაო!“, სულ ფერდები დასკდა სიცილით და რამდენჯერმე ხტუნვა-ხტუნვით შემობზრიალდა.

— ხა-ხა-ხა! მე შენ გიჩვენებ... — საოცრად მოუნდა ბაყაყისთვის ჭიტლაყის ამოკვრა. — მე შენ გიჩვენებ ჰეიჰს, გამოდი ერთი აქეთ!

ტბა აზვირთდა, მის შუაგულში შავად გაიბზინა რაღაც ლაქამ.

— გამოდი, გამოდი ნაპირზე, თუ ბიჭი ხარ! — ხმას აუწია ყურცქვიტამ, თან ლამის პირი გაეხა ხარხარისაგან.

ის შავი ლაქა ისევ გამოჩნდა და მაშინვე ჩაიმალა წყალში.

— რაო, გეშინია, მხდალო?! — უფრო ხმამაღლა დაჰკივლა კურდღელმა. — გამოდი-მეთქი, შე ლაჩარო, მანდ არ შემომიყვანო, თორემ!..

ტბა ისე აზვირთდა, რომ წყალი ტალღებად მოაწყდა ნაპირებს. შუაგულში მთასავით ამოიმართა უზარმაზარი შავი კამეჩი, თვალები გადაატრიალა და დაიგრიგვინა:

— გგგინდა რრრამე, ყუ-ყუ-ყურცქვიტავ?!.

მოდი და ნუ დაფეთდები! კურდღელს შიშით სული კინაღამ გასძვრა, უკან დაიხია და ძლივსგასაგონად წაილუღლუღა:

— ა-არა... ბანაობა მინდოდა, მაგრამ... საბანაო ტრუსი სახლში დამრჩენია...

— კი-კი-კი! ხა-ხა-ხა! — სიცილით კვდებოდა გაღმა ნაპირზე დასკუპებული ბაყაყი.

## ბალადა პურზე

გიორგი ძუგაევი

ჯოხს დაყრდნობილი ნელა
მიაბიჯებდა გზაზე.
იყო კამკამა დილა,
მზე ადიოდა ცაზე.

უცებ, მიმავალს ხვნეშით,
გადაებინდა გული —
ხედავს: შარაგზის მტვერში
გდია ნატეხი პურის.

— დაე შეერგოს არმად,
ვინც გაგიმეტა ასე!
დე იშიმშილოს მარად —
გაიგოს შენი ფასი! —

თქვა და ცახცახა ხელით
დასწვდა, შეავლო თვალი,
ჯერ გადასწმინდა მტვერი,
მერე ემთხვია კრძალვით.

და ვით სულიერს, ისე
უთხრა: — შეუნდე რეგვენს,
სხვათა ნუ განსჯი მისით,
აგრემც შენ შემოგევლე!

ბოლოს, მოხუცმა ფრთხილად,
როგორც ნაწილი სულის,
ქვაზე, შარაგზის პირად,
დადო ნატეხი პურის.

ფრთხიალ-ფრთხიალით მყისვე
გაჩნდნენ ჩიტები მრავლად.
კენკეს. წაიღეს ცისკენ
უძვირფასესი დავლა.

იდგა მხცოვანი კაცი
მღიმარე ქანდაკებად:
— გასწით, იფრინეთ, ცაშიც
იმღერეთ პურის ქება!

დასასრული. დასაწყისი იხ. მე-16 გვერდზე.

— შენთან დამაწვინე, დედა, არ შეგაწუხებ.
— კარგი შვილო, — გული ამოაყოლა დედამ და თვალებზე ხელები აიფარა.
როცა შუქი ჩააქრეს, გულში ჩავეკონე დედას, ვკოცნიდი და ჩუმად ვქვითინებდი. ჩვენი ცრემლები ბალიშს ალბობდა.
— ნუ ტირი, დედა... ნუ გეშინია. აი, ნახე, მე ყოველდღე ვივლი შენთან...
შვიდი თვე იწვა დედა საავადმყოფოში და ჩემი სიტყვისთვის ერთხელაც არ მიღალატია. როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო ყოველდღე დავდიოდი მასთან. სამწუხაროდ, დედას უკეთესობისა არაფერი ეტყობოდა. თანდათან ნაღველი გულს ჰიმძიმებდა. ბოლოს დედა ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ახლა კი კვირაში მხოლოდ ერთხელ მიწევდა დედის ნახვა. კვირაობით, როცა ქალაქიდან ვბრუნდებოდი, მომავალი კვირის იმედით ვისულდგმულებდი თავს, კიდევ ვნახავ-მეთქი დედას. როგორ ველოდი ამ დღეს! რამდენ ღონეს მმატებდა მის საწოლთან გატარებული წუთები. როცა პალატის კარებს შევაღებდი დედას ყველაფერი ავიწყდებოდა. საწოლიდან წამოდგომას ცდილობდა, უნდოდა შემომგებებოდა.
—დედა!—გავქანდებოდი და გულში ვეხუტებოდი. მერე ცრემლების ყლაპვით ვბრუნდებოდი უკან...
ერთხელ დედაჩემისაგან წერილი მივიღე. ამ თვის ოცში ოპერაციას მიკეთებენ და გელოდებიო — მწერდა. ბედი რომ არ გექნება კაცს, იმ ხანებში მეც ძლიერ ავად გავხდი, წითელა შემხვდა. ვიწექი სიცხიანი და მაბოდებდა, დედაზე ფიქრი ერთი წუთითაც არ მასვენებდა. მეხუთე დღეს, როგორც კი სიცხემ გამიარა, დედას წერილი მივწერე:
„დედა, ჩემო დედიკო, რომ იცოდე, როგორ ვნაღვლობ შენზე. არ იტირო... მეც მალე გამოვჯანმრთელდები. ოპერაციის დღეს აუცილებლად შენთან ვიქნები...“
წერამ დამღალა. ცოტა შევისვენე. წერილი კონვერტში ჩავდე, მისამართი დავაწერე და მეზობლის გოგოს ვთხოვე წერილი ფოსტის ყუთში ჩაეგდო.

ოპერაციის დღეც დადგა. დედა თურმე ძალიან ღელავდა. სულ კარისკენ რჩებოდა თვალები. უნდოდა, ოპერაციამდე ერთხელ კიდევ ვენახე.
ოპერაციის შემდეგ, მეორე დღეს დედა ცოტა რომ მომჯობინებულა, მხოლოდ მაშინ მიუციათ ჩემი წერილი. დედას უსაზღვროდ გახარებია, მაგრამ წერილი რომ წაუკითხავს, ლამის გაგიჟებულა.
— ჩემი გოგონა ავად არის... ავად არის ჩემი შვილი!.. — იძახდა თურმე და ლოგინიდან ასადგომად იწევდა. ამაოდ ანუგეშებდნენ.
მოულოდნელად ქვითინი შეწყვიტა. თვალებს არ უჯერებდა — კარებში მე ვიდექი.
მთლად გაოფლიანებული მივვარდი დედასთან.
— დედა, ჩემო დედიკო! — ვლუღლუღებდი აღელვებული.
თავი წამოსწია და ულონო ხელები ჩემკენ გამოიწოდა. თვალებში ჩავხედე. მზესავით თბილი იყვნენ დედის თვალები...

მასალები თარგმნეს
ს. შამპრიანმა, მ. ხერპიანმა და ნ. აფხაზავამ.



თუ ლითონის საჭრელი მაკრატელი არა გაქვს, ლითონის ფურცელი შეგიძლია სწრაფად და ზუსტად გაჭრა კონსერვის საჭრელი დანით, ამისათვის ფურცელი უნდა გაკეცო და გ ა კეცზე, როგორც ნახატზეა გამოსახული, ისე გაატარო დანა.

თუ გინდა მანქანის დაზეთვა გაგიიოლდეს, სითხისსატევი ჭურჭლის ტუჩში ტუმბის მილი ჩაამაგრე, მეორე მილი კი ჭურჭელში ფსკერამდე ჩაუშვი. როცა ჭურჭელში ჰაერს ჩატუმბავ, მეორე მილიდან ზეთი თავისუფლად გადმოიღვრება (სხვათა შორის, ამ ხერხით შეიძლება წყლის, ღვინის და ყოველგვარი სხვა სითხის გადმოსხმა კასრიდან და მსგავსი ჭურჭლიდან).

ჩაქუჩის, ნაჯახის ტარის მორგება არც ისე იოლი საქმეა, მან მალე იცის მორყევა და შეიძლება მარჯვედ მოქნეული იარაღის ტარიღა შეგრჩეს ხელში. ტარში ლითონის სოლი ჩაასვი, ოღონდ იმ სოლს ბოლო გახვრეტილი უნდა ჰქონდეს. როცა სოლის ბოლო ლითონის თავს გახცდება, ნახვრეტში ხრახნი ჩახრახნე.

ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ წიგნების ყდებს, გეოგრაფიულ რუკებს ცელოფანის სიფრიფანა ფენა აქვთ გადაკრული, ცელოფანგადაკრული საგანი უფრო ლამაზია, ძნელად ცვდება, კარგად ინახება. ქაღალდს შენც შეგიძლია ცელოფანი გადააკრა. აი როგორ უნდა გააკეთო ეს: ფიცრის მაგიდას (ან რაიმე თბოგამძლე ზედაპირს) ზეთი წაასხე, ზედ ცელოფანის ნაჭერი დააფინე, ცელოფანს ზემოდან ქაღალდი დაადე (წიგნის ყდა, გეოგრაფიული რუკა, ტრანსპორტის ბილეთი და სხვ.), ქაღალდს კიდევ დაადე რაიმე მოსქელო ქაღალდი და გახურებული უთოთი გააუთოვე. ცელოფანი მყარად მიეკვრება ქაღალდს. თუ პირველად ვერ მიაღწიე მიზანს, გული არ გაიტეხო, რამდენიმეჯერ წაივარჯიშე და ოპტიმალური თბოტემპერატურაც მოიძებნება.









აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 12

# თვითონ მიხვდა

მე ვიცნობ და-ძმას, მაიასა და ზაზას. სახით ერთმანეთს ჰგვანან, ხასიათით კი სულ სხვადასხვანაირნი არიან.

მაიას ძალიან უყვარს ცხოველები და ფრინველები. ეზოს კუთხეში ამორჩემებული აქვს ერთი ადგილი, იქ ჩიტებს საკენკს უყრის ხოლმე დილაობით. თვითონ სახლს ამოეფარება და სიამოვნებით უთვალთვალებს, როგორ შეექცევიან ჩიტუნები საკენკს, თან მხიარულად ჟღურტულებენ, თითქოს გოგონას მადლობას უხდიანო. არც ძაღლს, არც ფისოს მაია არასოდეს არ აწყენინებს.

ზაზა კი...

დაინახავდა თუ არა მზის გულზე ნებივრად გაწოლილ კატას, მიეპარებოდა და ბურთივით გაჰკრავდა ფეხს.

ძაღლსაც ვერ ჩაუვლიდა გულგრილად, აუცილებლად ქვა უნდა ესროლა ან ჯოხი მოეღერებინა.

ჩიტები... ჩიტებს ხომ მუდამ შურდულით ან მშვილდ-ისრით შეიარაღებული დასდევდა.

ბევრჯერ დაარიგეს ზაზა უფროსებმა, გაუჯავრდნენ კიდეც, დაუყვავეს კიდეც, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა, ვერ შეიგნო, რომ დანაშაულს სჩადიოდა.

ერთხელ კი ასეთი ამბავი მოხდა:

მაიამ ჩიტებს საკენკი დაუყარა, ერთხანს მათი ცქერით ტკბებოდა, მერე კი თავის საქმეს მიუბრუნდა. ამასობაში ზაზა წამოჰპარვია კენკვით გართულ ფრინველებს და რაღაც სასწაულით ერთი ჩიტი დაუჭერია. აიყვანა თურმე ხეზე საცოდავი ჩიტუნა, ფეხზე წვრილი თოკი მოაბა და ტოტზე ჩამოჰკიდა. თვითონ მეზობელ ბიჭებთან გადაირბინა — მოდით, ნახეთ, რა სეირი გაჩვენოთო. ყმაწვილები შემოვიდნენ ეზოში, შორიდანვე შეხედეს ხეს და გაშეშდნენ: იმ საცოდავი ჩიტის გარშემო ხის ტოტებზე სხვა ჩიტები ჩამომსხდარიყვნენ და ჰქონდათ ერთი ფრთხიალი და ჟივჟივი. საოცარი სურათი იყო. მაიაც, რომელიც ის იყო სახლიდან გამოვიდა, განცვიფრებული შეჰყურებდა ამ ამბავს.

ზაზას ხმა არ ამოუღია, ხეზე ავიდა, ჩიტს ფრთხილად შეხსნა ძაფი და გაუშვა... ის იყო და ის, მერე ცხოველები და ფრინველები აღარ უწვალებია. თვითონვე მიხვდა თავის დანაშაულს. თუმცა იქნებ ის შეგონებებიც დაუდგა თვალწინ?..

ნინო ხუბუა,

ზუგდიდის რაიონის დარჩელის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

# ერთი ნაბიჯი დანაშაულამდე

სკოლის კარი რომ გამოვიხურე, იმ დღიდან მუშა მქვია და, კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, არც შემირცხვენია ეს პატიოსანი სახელი.

ჩემი ერთადერთი შვილი, თქვენი კბილა ბიჭი, „პიონერის" თავგადადებული მკითხველია, სტრიქონი რაა, სტრიქონსაც არ დატოვებს წაუკითხავს, ამას წინათ მოვიდა, გვერდით მომიჯდა, „პიონერის" რამდენიმე ნომერი წინ დამილაგა და მითხრა:

— აი, მამა, ჟურნალში დისკუსია მიმდინარეობს: „ამხანაგმა დააშავა.. რა იღონე შენ?" გახსოვს, ახალბედა მუშის ამბავი რომ მომიყევი? სწორედ ამ დისკუსიას შეეფერება. მოდი, დაწერე და გაუგზავნე რედაქციას, იქნებ გამოადგეთ, ა, მამა?..

შვილის წინადადება ჭკუაში დამიჯდა... აი, ის ამბავიც:

აგვისტოს ბოლოს ჩვენთან, მოზაიკური ფილების საამქროში, ახალი მუშა მოვიდა — საშუალო სკოლის კურსდამთავრებული კოტე გ-ი. საზრიანი ბიჭი გამოდგა, სწრაფად აუღო ალღო საქმეს. მთელი თვე გულიანად იმუშავა. მერე კი... ერთხელ უცხო კაცი შემოვიდა საამქროში, დანდობილად მივიდა კოტესთან, განზე გაიყვანა და ათიოდე წუთს ხმადაბლა ელაპარაკა. და აი, იმ საუბრის შემდეგ ბიჭი სავსებით შეიცვალა. რაღაც მოუსვენრობა დაეტყო, მზერას გვარიდებდა, ჩვენთან ურთიერთობას გაურბოდა, გული ჩაიხურა...

როგორც ახალბედა, კოტე მე მებარა. ერთი ეჭვი გამიჩნდა და თვალთვალი დავუწყე. მალე გავარკვიე კიდეც მისი ფერისცვალების მიზეზი: ფილებისთვის საჭიროხსნარს თურმე ცემენტის აუცილებელი დოზის მხოლოდ ნახევარს ახმარდა და ამნაირად „დაზოგილ" ცემენტს (ჩვენთან იგი უმაღლესი მარკისაა) ცალკე ინახავდა. თვალი გავადევნე და სამი ტომარა გადამალული ცემენტი ვუპოვნე. დამტვრეული ფილებითა და ცარიელი ტომრებით შეენიღბა: იმ უცხო კაცისთვის უნდა მიეყიდნა.

თქვენ გგონიათ, ბევრი ველაპარაკე?

— კოტე, — ვუთხარი, — შენ რომ ბინას მიიღებ, იმ ბინის წინ კიბის თავს ამ შენი ნაკეთები მოზაიკური ფილით რომ „დაგიმშვენებენ", ეს ფილა კი ორიოდე თვეში დაიბზარება და გაფუჭდება, როგორ გუნებაზე დადგები-მეთქი?

გაშრა, ხმა ვერ ამოიღო.

მეორე დღეს მოვიდა ის უცხო კაცი. შორიდან ვუყურებდი, ცალი თვალით: ცივად, ხელცარიელი გააბრუნა უკან.

არადა, კინაღამ დაადგა ბიჭი დანაშაულის გზას!..

გივი ჩომახიძე,

ტრესტ „ზაკტრანსსტროის" მოზაიკური ფილების საამქროს ოსტატი.

# ღია ბარათი ოლეგ კოშევოის

მე უკვე თექვსმეტი წლისა ვარ, სწორედ იმდენის, რამდენისაც შენ. ჩვენ უკვე ტოლები ვართ, ოლეგ!

ახლა უნებურად გამახსენდი. ნუ გაგიკვირდება: შენ თექვსმეტწლიანთა იდეალი ხარ!

ჩვენს სკოლაში, რუსული ენის კაბინეტში, შენი სურათი ჰკიდია, დაფის მხარეს, ზუსტად ჩემს პირდაპირ. თვალებში მიყურებ, იღიმები... ზოგს ეს ღიმილი მხიარული ჰგონია. რა ვიცი, მე სევდიანი მეჩვენება...

ახლა ღამეა. მალე გათენდება ხვალინდელი დღე, ზარის წკრიალს საკლასო ოთახში შევყვებით თექვსმეტი წლის ბიჭები და გოგონები. მე ჩემს ადგილს მივაშურებ, შენ კვლავ ჩემს პირდაპირ იქნები...

ხმამაღლა ვერ ვამბობ, მაგრამ გულში მაინც გეტყვი სათქმელს:

„გამარჯობა, ოლეგ! მე უკვე შენი ტოლი ვარ. წყეული ომი რომ არ ყოფილიყო, ჩემზე უფროსი იქნებოდი, მაგრამ არ დაგაცალეს... რას იზამ?.. შენ მაინც ბედნიერი ხარ, რადგან „ქიასავით არ გიხოხნია, იბრძოდი...“ ბრძოლით დასრულდა თექვსმეტწლიანი სიცოცხლე. ალბათ შენც ჩემსავით ოცნებობდი მაშინ მომავალზე, ჩემსავით ხალისით გიცემდა გული... გიხაროდეს, შენს ოცნებას ფრთები შეესხა, ოლეგ! — უკვდავებაზე დიდი რა უნდა გენატრა თექვსმეტი გაზაფხულის მომსწრე ჭაბუკს?

მე თექვსმეტი წლისა ვარ, ოლეგ!

ჩვენ ტოლები ვართ!

მაგრამ შევძლებ გავხდე შენისთანა?

ეს ცხოვრებამ გვიჩვენოს!..“

**თენგიზ ჩოჩონავა,**

**წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი.**

## გეგმას გადავაჭარბეთ

ოპერაცია „წიქარა“ ჩვენს სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ყოველთვის სიხარულით და ენერგიულად ვეხმარებით უფროსებს და პირუტყვისათვის საკვების დამზადებაში მნიშვნელოვანი წვლილიც შეგვაქვს. აი ამის საბუთიც: წელს თითო მოსწავლეს 200 კილოგრამამდე ნედლი მასა უნდა მოგვეგროვებინა. მაგრამ გადავხედეთ ჩვენს შესაძლებლობებს, დრო და ენერგია სწორად გავანაწილეთ და პირადი გეგმა 150-200 პროცენტით შევასრულეთ. როცა ჩვენი ნაშრომი შევაჯამეთ, აღმოჩნდა, რომ 20,9 ტონის ნაცვლად 35,5 ტონა ნედლი მასა გვქონდა შეგროვებული.

ოპერაცია „წიქარაში“ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლელა სანიკიძემ, ნინო კერელეიშვილმა, ნინო, მარინე, მაია ბუბუტეიშვილებმა, ნანი შარაშენიძემ, ნაირა მეფარიშვილმა და სხვებმა.

**ლელა სანიკიძე,**

**ვანის რაიონის ტობანიერის კ. კეკელიძის სახელობის საშუალო სკოლა, IX კლასი.**




**„პიონერი ემზადება, რომ გახდეს კომკავშირელი“**

**საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონიდან**

# ქვახვრელელთა სიხარული

**ნათელა ფაილოძე**

კომკავშირელ გოგონებს — მარინე ავანაშვილსა და ქენია ბეგლარაშვილს სოფელში ყველა იცნობს: მარინე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანია, ქენია კი — რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე. ამ სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა თითოეული პიონერისა თუ კომკავშირელის აქტიურობით, სწავლითა და საზოგადოებრივი დავალებებისადმი მათი დამოკიდებულებით ფასდება. ბევრი მათგანი მუშაობას პიონერული რგოლის ხელმძღვანელობიდან იწყებს; ასე დაიწყო, მაგალითად, ლილი სადაღაშვილმა, სკოლის კომკავშირის კომიტეტის ყოფილმა მდივანმა...

— ლილიმ მიგვიღო კომკავშირის რიგებში. მას უფროსი პიონერხელმძღვანელის შეცვლაც შეეძლო, მუდამ ჩვენთან იყო, ჩვენს გვერდით, — გულთბილად იგონებს მას სკოლის პიონერული აქტივი.

ლილიმ შარშან დაამთავრა სკოლა და თანაკლასელებთან ერთად ქვახვრელში დარჩა.

— ასე შეიქმნა სოფელში კიდევ ერთი კომკავშირული ბრიგადა, — გვითხრა მარინემ. — ყოფილმა მეათეკლასელმა კომკავშირელებმა ერთ ბრიგადაში მოიყარეს თავი და მუხლჩაუხრელად შრომობენ, მაგალითს უჩვენებენ სხვებს.

თვითონ მარინემაც, ლილის მსგავსად, საზოგადოებრივი საქმიანობა პიონერული რგოლის ხელმძღვანელობით დაიწყო. ამ ფაქტს საკავშირო პიონერული მარშის — „ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“ — შეჯამების დღეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

— წრთობა პიონერულ აქტივში გავიარეთ, რომელიც ჩვენს სკოლაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, — ამბობს მარინე და იგონებს, თუ როგორ შესრულა პიონერული კანონი, სადაც ნათქვამია: „პიონერი ემზადება, რომ გახდეს კომკავშირელი!“ იხსენებს თავისი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს ლია მღებრიშვილს, პირველ პიონერულ დავალებას, შემდეგ ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელობის სიძნელეებს, უფროს პიონერხელმძღვანელ ცისნამი მირუაშვილის მკაცრ გაფრთხილებას — პიონერული აქტივი თვითონ უნდა იყოს პირველი ყველაფერში; იხსენებს 1977 წლის 5 ოქტომბერს, როცა ის და სხვა მერვეკლასელები, ქენია ბეგლარიშვილთან ერთად, ერთ დღეს მიიღეს კომკავშირის რიგებში. გოგონას თითქოს ახლაც ჩაესმის თანატოლთა გამომცდელი შეკითხვები:

— მარინე, გიხარია კომკავშირში შესვლა?

— რამდენი ორდენი აქვს კომკავშირს და რა დამსახურებისათვის მიიღო ისინი?

— გაიხსენე კომკავშირის მესამე ყრილობა, ვ. ი. ლენინის სიტყვები ამ ყრილობაზე.

— მეოთხეკლასელთა რაზმის ხელმძღვანელის თანაშემწედ რომ და-

გნიშნეს. რა გააკეთე? რა მოგცა მათთან მუშაობამ?

— ვიამა ნამუშევრებმა გაიმარჯვა შენი რაზმის ნახატების გამოფენაზე „მშვიდობის სხივი?“

— როგორ მოამზადეთ ალბომი „პროფესიების სამყაროში?“ ვინ დაგეხმარათ?

— რამდენი ამანათი გაუგზავნეთ ბამელებს?

— რამდენი მადლობა მიიღეთ შენ და შენმა რაზმმა კოლმეურნეობის თავმჯდომარისაგან?

— სოფლის რომელ უბანში მუშაობდა შენი ფორპოსტი?

... და მარინემ გაიხსენა, როგორ გაახარეს მტკვრის გაღმა მომუშავე ქალები, საკუთარი ნახელავი — ნამცხვრები რომ მიუტანეს; გაიხსენა ფერმა, იქ გამართული კონცერტი; სამუდამოდ დაამახსოვრდა კომკავშირის რიგებში შესვლის მოსამზადებელი პერიოდი. ახლაც ჩაესმის: „პიონერთა კანონები კი არ უნდა დაიზეპირო, მთავარია პრაქტიკულად განახორციელო ისინი!“ — ეს კომკავშირის კომიტეტის მაშინდელი მდივნის, ლილი სადაღაშვილის დარიგებაა. ლენინური კომკავშირის წესდებაც ლილიმ გააცნო, განუმარტა მისი თითოეული მოთხოვნა.

ახსოვს დაუვიწყარი წუთები... რაზმეულის საბჭოს სხდომა, სადაც მას საკავშირო ალკკ რიგებში შესასვლელად რეკომენდაცია მისცეს... შემდეგ სკოლის კომკავშირის კომიტეტის სხდომა... კომკავშირის რაიკომისაკენ მიმავალი გზა... სკოლის ორგანიზატორ ანო სადაღაშვილის და კლასის ხელმძღვანელ ელეონორა მირუაშვილის დარიგება...

... იმ დღეს კომკავშირის გორის რაიკომის ბიურომ საკ. ალკკ რიგებში სხვებიც მიიღო — ატენიდან, ვარიანიდან, ზემდულეთიდან... პიონერული ყელსახვევი კომკავშირის სამკერდე ნიშანმა შეცვალა...

მარინეს იმ თვეში მეორე სიხარულიც ელოდა: მისი პიონერული რაზმი, სადაც ადრე რაზმის ხელმძღვანელის თანაშემწედ ითვლებოდა და რომელიც ბოლოს სულაც მას ჩააბარეს, მარჯვენაფლანგელი გახდა... მაისში კი მარინე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს.

...გოგონას დაუსრულებლივ შეუძლია ისაუბროს თავისი სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, რომელთა შორის უწყვეტი კავშირია; საკუთარი ხუთი თითივით იცნობს რაზმეულის ცხოვრებას, მისი თითოეული წევრის უნარსა და მისწრაფებას.

სოფელ ქვახვრელის საშუალო სკოლაში აქტივისათვის ბევრი შეკითხვის მიცემა არ დაგჭირდებათ, საქმე თავად მეტყველებს. და ამ საქმის მოწმეა არა მარტო სკოლა, არამედ მთელი სოფელი, თითოეული კოლმეურნე.

სასიხარულო და ბევრისმეტყველია ის ფაქტი, რომ მთელი სოფელი, კოლმეურნეობა, მისი თავმჯდომარე ასე კარგად იცნობენ, პატივს სცემენ რაზმეულს, სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას, მის თითოეულ წევრს, განსაკუთრებით — აქტივს.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ქენია ბეგლარაშვილიც მარინესავით ყოჩაღია, იგი კარგად დაგვიხასიათეს სკოლაში, გვითხრეს, მერეთში გახსნილ აქტივის ბანაკშიც გვასახელაო; თურმე იქ, სადაც ქენია ბეგლარაშვილისთანა რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეა, პიონერხელმძღვანელს ცოტალა რჩება გასაკეთებელი. ქენია კარგი კომკავშირელია, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეობა მისთვის ყველაზე დიდი და საპატიო დავალებაა.

წლეულს ოქტომბერში, როცა ნანა მირუაშვილს, ანჟელინა ტერ-აბრამოვას და ოლია ნადირაშვილს საკავშირო ალკკ რიგებში მისაღებად ვამზადებდით, არ გაგვჭირვებია, გამოცდილება უკვე საკმაოდ გვქონდაო, — გვითხრეს გოგონებმა.

ორივემ ლენინური კომკავშირის 60 წლის იუბილესათვის მზადების დღეებში მიღებული კომკავშირული ბილეთები გვიჩვენა... ეს თარიღი მათ მუდამ ემახსოვრებათ. იგი ხომ ბევრ საინტერესო ამბავთან არის დაკავშირებული. დაუვიწყარია სოფლის ვეტერან კომკავშირელებთან შეხვედრები (1924 წელს შექმნილა მათ სოფელში კომკავშირული ორგანიზაცია).

გოგონების კომკავშირულ ბილეთებზე, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვან კომკავშირელთა ბილეთებზე, 6 ორდენის გამოსახულებაა აღბეჭდილი; გვარის, სახელის, მამის სახელის, დაბადების წლის დასახელების შემდეგ იქ, სადაც საკავშირო ალკკ რიგებში შესვლის დროა მითითებული, გოგონების ბილეთებზე გარკვევით წერია: „1978 წელი“ — ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავი.

ასეთ დოკუმენტს ბევრის მოყოლა შეუძლია. 20-იანი წლების კომკავშირულ ბილეთებს აქვთ აღნიშვნები: „სამხედრო სწავლების კურსები“, „მოკლე ცნობები რევოლუციურ მუშაობაზე“, „ბანდის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა“, „პოლიტიკური სწავლების კურსების მსვლელობა“...

„კომკავშირულ ბილეთთან ერთად მაშინ ჩვენ ვიღებდით იარაღსა და 200 ვაზნას“, — გაიხსენეთ ნიკოლოზ ოსტროვსკის ეს სიტყვები..:

გმირული, დაუვიწყარი წლები იყო... 60 წლის მანძილზე კომკავშირის ცხოვრება მუდამ სავსე იყო დიდი მოვლენებით. დღეს კომკავშირული ბილეთის მფლობელნი ნიკოლოზ ოსტროვსკისა და მისი მსგავსი კომკავშირელების მიერ წამოწყებულ ტრადიციათა ღირსეული გამგრძელებლები არიან — დიახ, ასე სჯერათ ქართველ პიონერებს, კომკავშირელებს: მარინეს, ქენიას, ნონას, დავითს, ყველას... თავიანთ მთავარ წვლილად მათ სოფლის სიყვარული, მის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიაჩნიათ. ამის შესახებ ისინი თითქმის არ ლაპარაკობენ, სამაგიეროდ გვიყვებიან სკოლის ორგანიზატორი ანო სადაღაშვილი, პიონერხელმძღვანელი ცისნამი მირუაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე კარლო სადაღაშვილი, პედაგოგები და კოლმეურნეები, ყვებიან აღალაანთ, შუღერაანთ, გიგლაანთ უბნებში, ზედაველაზე გაშენებულ ვენახებში თუ შაქრის ჭარხლის პლანტაციებში, კლდესუქნეების ხეხილის ბაღებში, ალიაურების ვენახებში, მლაშეების, ლოდიანების სიმინდებში, მლაშეთხევის თუ უფლისციხის პურის ყანებში, ახაშენის ფერმებში... ისინი ხომ სოფლის შრომით ფერხულში ორგანულად არიან ჩართულნი.

— ჩვენს კომკავშირულ ბილეთსაც აქვს საამბობი, — ამბობენ მარინე და მისი თანატოლები, ქვახვრელელი მოსწავლეები, ყველანი, ვისაც რაზმეულის საბჭომ დაულოცა გზა კომკავშირის რიგებისაკენ.

ლენინური კომკავშირის 60 წლისთავზე, როცა ამ დიდი მოვლენისადმი მიძღვნილი საკავშირო მარშის — „ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“ — მარშრუტებით განვლილი გზა ჯამდება, მართლაც რომ ბევრი რამ აქვთ საამბობი მათ კომკავშირულ ბილეთებს... ეს შრომით მოპოვებული სიხარული გახლავთ. მოსწავლეთა სიხარული კი აქ მთელი სოფლის სიხარულია.

# ყურცქვიტა-ნაცარა

რამდენ ზღაპარში, მულტფილმში, საბავშვო მოთხრობასა თუ ლექსშია საუბარი კურდღელზე. კურდღლის ზოგ თვისებას ხშირად მიაწერენ ხოლმე ადამიანს — „კურდღელივით მშიშარა", „კურდღელივით ცანცარა"...

რა რეალურ ფაქტებს ემყარება ფართოდ გავრცელებული აზრი ყურცქვიტას სიმხდალის შესახებ?

მწოლიარე კურდღელი თავზე წადგომამდე გაცილებით ადრე გრძნობს მტრის მოახლოებას, მაგრამ გაპარვას კი არ ცდილობს, პირიქით, დაყურადებული იტრუნება, ხომ შეიძლება, რომ მელა, ძაღლი ან მონადირე თავზე არ წაადგეს და გვერდით გაუხვიოს? ასე „ვაჟკაცურად" ითმენს ყურცქვიტა ბოლო წუთებამდე. განა შეიძლება ასეთ ნადირს მხდალი ეწოდოს?

არც ის არის მართალი, რომ ამბობენ — კურდღელმა, თავს რომ უშველოს, უმისამართოდ გარბისო. თუ მტერი, მტერი კი უამრავი ჰყავს ნაცარას, შენიღბულსა და ფრთხილად განაბულ კურდღელს მაინც წაადგა თავზე, იგი თავისი მძლავრი უკანა კიდურების წყალობით ელვის სისწრაფით მიეფარება ხოლმე თვალს. რაც შეიძლება შორს გაერიდება თავის საცხოვრებელს. მერე წრეს აკეთებს და ისევ იმ ადგილს უბრუნდება, საიდანაც წამოაგდეს. მაგრამ ამ სტრატეგიული ჩანაფიქრის განხორციელებამდე ტაქტიკური სვლების მთელი კასკადი კეთდება. გარკვეული მანძილის გარბენის შემდეგ კურდღელი სამ-ოთხჯერ დაუბრუნდება თავის ნაკვალევს, მერე კი ბურთივით შეიკვრება და მთელი ძალით გახტება გვერდზე. მერე კვლავ გარბენი, ისევ კვალის დასაბნევი ვირაჟები და ნახტომი. როცა დარწმუნდება, რომ მტერი გვერდით მოიტოვა, კურდღელი წამოჯდება, ყურებს წამოცქვეტს და შექმნილ მდგომარეობაში გარკვევას ლამობს. ასე თვალსა და ხელს შუა დაუძვრება მსხვერპლი მდევარს, აბა სცადე და გაარკვიე, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ! თუ მოწინააღმდეგე საბოლოოდ ასცდა კვალს, ხომ კარგი, კურდღელი იქვე ხევში დაიდებს ბინას, მაგრამ თუ მდევარმა იმარჯვა და კვალს მაინც მიაგნო, კურდღელი ახლა, აუჩქარებლად, რომ არ შენიშნონ, კვლავ მოიპარება და ხელმეორედ იწყებს გვერდითი ნახტომებისა და ეშმაკური მარყუჟების ახალ კასკადს.

უსაფრთხოების მიზნით კურდღელი ზემოთ აღწერილ ტრიუკებს დაძინების წინაც აკეთებს, საძინებელ ადგილს კი ყოველ ღამე იცვლის, მხოლოდ ცუდ ამინდში, განსაკუთრებით მონათოვზე, როცა კვალის დაფარვა ყველაზე ეშმაკური ხერხებითაც კი ჭირს, ყურცქვიტა არჩეულ ადგილს ორი-სამი დღე-ღამის განმავლობაში არ ტოვებს და, რაც მთავარია, სუნით რომ არ მიიპყროს მტრის ყურადღება, ბუნებრივ მოთხოვნილებებსაც კი არ იკმაყოფილებს. ძაღლები და მტაცებელი ნადირი კურდღლის სუნს ვერ იღებენ — ნაცარას კანზე საოფლე ჯირკვლები არ გააჩნია და არავითარ სუნს არ გამოსცემს.



თავდაცვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება გამრავლებაა. კურდღელი, ადრე გაზაფხულიდან შემოდგომამდე სამ-ოთხჯერ მრავლდება და თითოეულ ჯერზე ორი-სამიდან ოთხ-რვამდე ბაჭიას აჩენს. პატარები თვალხილულები, კარგა მოზრდილები და ბალნით შემოსილები იბადებიან. ჯერ კიდევ სველები, ისინი ხარბად იკვებებიან დედის რძით. კურდღლის რძე კი ექვსჯერ უფრო ნოყიერია, ვიდრე საქონლისა. გამოკვებავს თუ არა ახალშობილებს, მდედრი მაშინვე სტოვებს მათ. მაგრამ ეს მის ცუდ დედობაზე როდი მიუთითებს. ხშირად რომ მიაკითხოს პატარებს, ამით ხომ ის კვალს დატოვებს და მტაცებლებს მიიზიდავს. დედური ინსტინქტი კი უკარნახებს — რადგან შთამომავლობას საკუთარი ძალ-ღონით ვერ დაიცავს, მტრის ყურადღება მაინც ააცილოს. თავის მხრივ, მემკვიდრეობით, თაობიდან თაობებში გადაცემული საიდუმლო კოდი რძენაკვებ პატარებს უკარნახებს დაიფანტონ და ცალ-ცალკე გაინაბონ ბუჩქის ძირას, ჯირკვებთან, ბალახებში. თავდაცვისა და გადარჩენის ინსტინქტი იმდენად ძლიერია, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ბაჭიები გაუნძრევლად სხედან ამორჩეულ ადგილას, ამიტომ არც კვალს სტოვებენ და არც სუნს. რუხი ბეწვის ქულებად ქცეული პატარები იმდენად არიან შეხამებულები გარემოსთან, რომ მათი შენიშვნა ყველაზე მახვილი ყნოსვის და მხედველობის მქონე მტაცებლისთვისაც კი პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. სრული შენიღბვისთვის ბაჭიები ორი-ოთხი დღის განმავლობაში, ვიდრე დედის ნოყიერი რძე ყოფნით, ბუნებრივ მოთხოვნილებებს არ იკმაყოფილებენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ხდება მიღებული საკვების მონელება. შიმშილი აიძულებს ბაჭიებს წამოდგნენ და საჭმელი ეძებონ. ამ დროისათვის მდედრს დედობრივი მზრუნველობა უვითარდება, თვალებდაჭყეტილი დარბის პატარების საპოვნელად. მისთვის სულ ერთია, ვის ბაჭიას გადაეყრება. ამგვარად, ნებისმიერი მდედრი, იპოვნის თუ არა ნებისმიერ ბაჭიას, მოაწოვებს და კვლავ გარბის. მაძღარი ბაჭია კი რამდენიმე დღე ისევ გატრუნულია. მერვე-მეცხრე დღეს ბაჭიებს კბილები უმსხვილდებათ, ჯეჯილის ძოვას იწყებენ, აქედან იწყება ნაცარების დამოუკიდებელი ცხოვრება საფრთხითა და თავგადასავლებით სავსე გარემოში, უდედოდ და უძიძოდ.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## როდის წარმოიშვა სიცოცხლე დედამიწაზე?

უკრაინელმა გეოლოგებმა ანანიევის მაგნიტური ანომალიის რკინის საბადოს ფენებიდან აღებული სინჯის გამოკვლევისას აღმოაჩინეს უძველესი ბაქტერიების აქტიური მოქმედების კვალი. ეს ბაქტერიები ძალზე ჰგვანან თანამედროვე, რკინის გამომმუშავებელ ბაქტერიებს. აღნიშნულ საბადოში აღმოაჩინეს აგრეთვე წყალმცენარეთა ანაბეჭდები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ საბადოს ხნოვანება 2,8 მილიარდი წლით განისაზღვრება, შეიძლება ითქვას: დედამიწაზე სიცოცხლის ჩასახვის დრო რამდენიმე ასეული მილიონი წლით უკან, გეოლოგიურ ეპოქათა წიაღში გადაიწევს.

## დედამიწა მძიმდება

საბჭოთა მკვლევარების გამოანგარიშებით, ჩვენს პლანეტაზე ყოველწლიურად 40 ათასი ტონა „კოსმოსური მტვერი“ ეცემა. ამ ნალექის განსაზღვრული ნაწილი ისევ კოსმოსურ სივრცეს უბრუნდება. მიუხედავად ამისა, გამუდმებული „კოსმოსური წვიმის“ შედეგად დედამიწის წონა თანდათან იზრდება. გამოანგარიშებულია, რომ ბოლო 500 მილიონი წლის მანძილზე ჩვენი პლანეტის წონამ 0,001 პროცენტით მოიმატა. ეს ფაქტი არც ისე უმნიშვნელო რამ არის, რადგან პლანეტის წონაზე ბევრად არის დამოკიდებული გეოლოგიური პროცესების დინამიკა, დღისა და ღამის მონაცვლეობა, დროის დინება და კლიმატი.

## პირამიდები ლათინურ ამერიკაში

ლათინური ამერიკის უღრან ტყეებში თითქმის ვერსად წააწყდები ბორცვს. მაგრამ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებიდან გადაღებული ფოტოსურათების შესწავლისას გამოირკვა, რომ მადრე დე დოსის მიდამოებში — პერუს, ბრაზილიისა და ბოლივიის საზღვრების შესაყართან ორ რიგად ჩამწკრივებულია ერთნაირი ზომისა და ფორმის ათი ბორცვი

იაპონელი მკვლევარი იოაშირუ სეკინო თვლის, რომ ეს ბორცვები პირამიდებია და ყოველმხრივ წააგავს ეგვიპტურ პირამიდებს. სეკინომ ბორცვებს რამდენჯერმე გადაუფრინა თვითმფრინავით და ახლოდან გადაუღო სურათები. ამ სურათების მიხედვით ჩანს, რომ ბორცვები ადამიანის ხელით, ძველი ინკების მიერ არის აღმართული. ხოლო სულ ახლახანს ცნობილი გახდა, რომ კოლუმბიის დეპარტამენტ ტოლიმის ჩრდილოეთ ნაწილში აღმოაჩინეს საფეხურებიანი პირამიდა. ეს გრანდიოზული, 70 მეტრი სიმაღლის ნაგებობა მეათე საუკუნეშია აშენებული.



## ტელევიზორი და მხედველობა

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევის თანახმად, უშუალოდ სამუშაოზე წასვლის წინ, შოფრებმა არამც და არამც არ უნდა უყურონ ტელევიზორს. სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ ტელევიზორი, განსაკუთრებით ფერადი, 30 პროცენტით აქვეითებს მხედველობას. სატელევიზიო პროგრამის ყურებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ორგანიზმში თითქმის ნახევრდება მხედველობისათვის ფრიად საჭირო „ა“ ვიტამინის შემცველობა. ექიმების აზრით მხედველობის სრული აღდგენა შეუძლია ერთი-ორი საათით დასვენებას.

## ძაღლები შველიან

საფრანგეთის ქალაქ გრამაში არსებობს სპეციალური სკოლა ძაღლებისათვის. აქ ასწავლიან წყალში ჩაძირულთა გადარჩენას. ყველაზე უკეთ იწვრთნებიან ნიუფლანდლენდები, რომელთაც „მყვინთავებს“ და „ზღვის სერბერნარებსაც“ უწოდებენ. ეს ძაღლები გონივრები, ამტანები არიან, ისე გასცურავენ 25 კილომეტრს, დაღლას ვერ შეატყობ. გრძელი ბეწვი წყალში გათოშვისაგან იცავს მათ. მორიგე ძაღლების ზურგზე ამაგრებენ რეზინის რკალისებურ სახელურს, რათა გასაჭირში ჩავარდნილმა ხელი ჩასჭიდოს მას. მაგრამ თუ მოცურავემ გონება დაკარგა, ორი ნიუფლანდლენდი ფრთხილად ჰკიდებს მას პირს მაჯებში და სწრაფად მიაცურებს ნაპირისაკენ



## უნიკალური ზოოპარკი

ვენის ალაყაფის მახლობლად 680 ათას კვადრატულ მეტრზეა გაჭიმული უნიკალური ზოოპარკი — ვენელების საყვარელი დასასვენებელი ადგილი.

აქ შეიძლება ნახოთ დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოყვანილი 400-ზე მეტი სახის ცხოველი. თანაც შემოღობილში თხრილის თუ მესრის გაღმა კი არა, არამედ თავისუფლად მოსეირნენი. ამ პარკში მობინადრე ლომებმა, ვეფხვებმა, სპილოებმა, ჟირაფებმა, პავიანებმა, ხარებმა, აქლემებმა, მარტორქებმა, ანტილოპებმა და სხვა ცხოველებმა არ იციან, რა არის ტყვეობა. მათ სანახავად საკმარისია მანქანაში ან ავტობუსში ჩაჯდე და საათში 70 კილომეტრი სიჩქარით იარო პარკში. ცხოველების ახლოს ნახვა თუ გინდა, შეგიძლია გადმოხვიდე მანქანიდან, ოღონდ თვითონ პარკში კი არა, არამედ მოზარდთათვის გამოყოფილ თავისებურ მოედანზე. პარკის ბინადრებთან თამაში მხოლოდ ბავშვებისთვის არის ნებადართული.

ზოოპარკის დასათვალიერებლად 10 მარკას იხდიან. მრავალრიცხოვან პავიანებზე ეს არ ვრცელდება: მანქანებისა და ავტობუსების სახურავებზე მოკალათებულნი, ისინი დღეში რამდენჯერმე უფასოდ შემოივლიან ხოლმე თავიანთ სამფლობელოს.

## სუნის საშუალებით

თითოეულ ადამიანს თავისი განსაკუთრებული სუნი აქვს. კრიმინალისტებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ამით. ამა თუ იმ ადამიანის სუნის შემცველი ჰაერის სინჯი ორი წლის განმავლობაში სპეციალურ კონტეინერში ინახება და საჭიროებისას თავისებურ „სუნის ანაბეჭდად“ გამოდგება. იმ შენობაში, სადაც დანაშაული მოხდა, შეიძლება ჰაერის სინჯის აღება და მისი შეჯერება ეჭვმიტანილის სუნთან. ბევრი სუსტი სუნის გამოცნობა სპეციალისტებს ეხმარება სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკაში. ცნობილია, რომ ზოგიერთ დაავადებას, მაგალითად ნიკრისს, ხუნაგს და სხვას, თან ახლავს დამახასიათებელი სუნი. მრავალი ქვეყნის მეცნიერები გულმოდგინედ მუშაობენ ისეთი აპარატის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს სუნის საშუალებით სნეულებათა სწრაფ დიაგნოსტიკას.

## დამნაშავეა მიწისძვრა

XVIII საუკუნის შუა წლებში ტიროლის რამდენიმე ტბაში უეცრად ყველა თევზი გაწყდა. ორასი წლის მანძილზე მეცნიერებამ ვერ შესძლო გამოეცნო, რა იყო ამის მიზეზი. 1976 წლის მაისში იმ ტბებიდან ერთ-ერთში კვლავ შენიშნეს, თევზების მასობრივი დაღუპვა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თევზები დაიხოცნენ მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი ტალღების მძლავრი დარტყმის გამო. მიწისძვრის ეპიცენტრი ამ ტბიდან სამასი კილომეტრის დაშორებით, ჩრდილოეთ იტალიაში მდებარეობდა. ალბათ ამავე მიზეზით დაიღუპნენ თევზები ტიროლის ტბებში ორასი წლის წინათ, როცა მიწისძვრამ ლისაბონი დაანგრია.




# ჟურნალ „პიონერში“ 1978 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი


## პროზა

აფხაზავა ნ. — შენც, ბრუტოს?! № 1. სეტყვა და ქვა. № 8.
ვიდორ მიკლოში — მეფის მსახური კოკორჩინი (ზღაპარი)... № 1.
კობერიძე კ. — ქურდი. № 2, 3. თავქარიანების ქვეყანა (ზღაპარი). № 11.
ჩაჩანიძე რ. — ფერეიდანი. № 1, 2.
ველსკოპფ-ჰენრიხი ლ. — წყლის სამი წვეთის საოცარი მსოფლიო მოგზაურობა (ზღაპარი). № 2.
ფოისტელი ი. — ლომი ტყეში (ზღაპარი). № 3.
ტოგონიძე გ. — საჩუქარი. № 3.
ვოსკრესენსკაია ზ. — ზაფხულის დღე. № 4; პირველი დღე. № 11.
ლობჟანიძე დ. — მერცხლები ბუდეებს უბრუნდებიან. № 4, 5.
თომაძე მ. — წოიო ბეიტი. № 4.
ბოსტოღანაშვილი გ. — ხმელა პურის გემო; შიში. № 5.
სამხარაული ს. — გადაგვხდა გადასახადი. № 6.
ბეზარაშვილი ნ. — ბოლო გაჩერება. № 6.
წვიჯბა შ. — ახალი თბოტრასა. № 7.
ტოლსტოი ლ. — ძროხა; ლომი და ფინია; გლეხის ნაამბობი, თუ რატომ უყვარს მას თავისი ძმა. № 7.
ვადაჭკორია დ. — კერკეტი კაკალი; ბიჭი და ჩიტი. № 7.
პეტრიაშვილი გ. — მკურნალი. № 8.
ბულიჩოვი კ. — გავრილოვის აღზრდა. № 8.
ასლამაზიშვილი ვლ. — ხევში ნიაღვარი მოდიოდა. № 9, 10, 11.
ტალახაძე გ. — ვინ მოკლა მგელი? № 9.
ტო ხოაი — ვალების ამკრეფი. № 9.
ფადეევი ა. — ახალგაზრდა გვარდია (ნაწყვეტი). № 10.
იოსელიანი ო. — მსხვერპლი. № 10.
ლესინგი გ. ე. — იგავ-არაკები. № 11.
კამოვი ბ. — გაიდარის ჩანთა. № 12.
გვაზავა-სანაძე ლ. — ჟამი წამებისა, ჟამი უკვდავებისა. № 12.

## პოეზია

შამფრიანი ს. — საახალწლო. № 1. უსათაურო. № 5.
უტიაშვილი მ. — უნდა ინათოს! უსათაურო. № 1.




# ჭკუის კოლოფი

ერთ მდიდარ კაცს ძალიან უყვარდა გასართობი ამბების მოსმენა, ვინც კი ეწვეოდა, შინაური იქნებოდა თუ უცხო, აუცილებლად უნდა ემბნა თავს გადახდენილი, ანდა სხვისგან მოსმენილი რაიმე სახალისო შემთხვევა.

ერთ დღეს დიდძალმა ხალხმა მოიყარა მასთან თავი. სასმელ-საჭმელს შეექცეოდნენ და თან სამხიარულო ამბებს ყვებოდნენ.

ერთი უცხო სტუმარი კუთხეში წყნარად მიმჯდარიყო და საუბარში არ ერეოდა.

— გვიამბე რამე, მეგობარო,—სთხოვა მასპინძელმა.

— მე მხოლოდ ერთი სულელის ამბავი ვიცი და განა ეს ასეთ მაღალ საზოგადოებაში სათქმელად გამოდგება? — მოიბოდიშა უცხომ.

— თუ კი სალაღობოა, რატომაც არა!

— კეთილი, — მიუგო უცხო სტუმარმა და დაიწყო: — ჩვენს ქალაქში ერთი კაცი ცხოვრობდა. იგი ცნობილი იყო თავისი სისულელითა და უცნაურობით. ერთხელ, ბაზრიდან რომ მოვდიოდი, წინ შემომხვდა. მე ჯიბეში ათი კვერცხი ჩავმალე და ვკითხე:

— აბა, თუ მიხვდები რა მიწყვია პალტოს ჯიბეში? თუ გამოიცნობ, კვერცხების ნახევარი შენი იყოს, და თუ რაოდენობასაც მიხვდები, მაშინ ათივეს შენ მოგცემ.

სულელი ჩაფიქრდა და მომიგო:

— მე ყველაფრის მცოდნე ხომ არ გახლავართ, ჩემო ბატონო. როგორ უნდა გამოვიცნო, როცა თვალით არ მინახავს. ცოტათი მაინც მიმახვედრეთ...

— აბა, მომისმინე: საკვებად იყენებენ. გარსი თეთრი აქვს, გული კი ყვითელი.

— მივხვდი, მივხვდი! — წამოიძახა სიხარულით სულელმა, — ეგ ქორფა სტაფილოა, რომელსაც გარშემო თეთრი ბოლოკი აქვს შემოწყობილი.

ყველა ხარხარებდა. განსაკუთრებით კი მასპინძელი.

როცა სიცილით გული იჯერეს და დაწყნარდნენ, მასპინძელმა იკითხა:

— მაინც რა გეწყო პალტოს ჯიბეში, რაზედაც ის შტერი იმდენ ხანს აწვალე?

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ჯანგულაშვილი თ. — შესრულებია 60 წელი. № 2.
აროსია ი. — საქართველოს განთიადი. № 2.
მირცხულავა ა. — ლენინური კომკავშირი. № 2.
შერაზადიშვილი ზ. — მეცხვარის ბოხოხი. № 2.
ჩხეტიანი მ. — ზამთარი; ბები. № 3. ჩვენი სკოლავ. № 9.
დარსაველიძე ნ. — მთები. № 3.
მიქაძე ქ. — მეგობრის ბარათი. № 3.
მეგრელიშვილი ავთ. — ორი ლექსი. № 4; შემოდგომა. № 10.
გიგაური გ. — გაზაფხულის ფერები. № 4.
ივარდავა დ. — თვეთა ყვავილი. № 5. მოვიარე საქართველოს გზები. № 9.
დიდიმამიშვილი ე. — მშობლიური გზებით. № 5.
რუმინელი პოეტების ლექსები № 6.
შამანაძე ნ. — ვინ გვეტყვის; ბუზი და ფუტკარი. № 7.
მაიაკოვსკი ვლ. — სიმღერა — ელვა. № 7.
მეტრეველი გ. — ახალი ლექსები. № 7.
არაბული მ. — შვილი. № 8.
დოხნაძე ა. — სიმღერა. № 9.
კილასონია ნ. — გიყვარდეთ დედები; № 3. ამხანაგო კომკავშირო, № 10.
ქოქიაშვილი დ. — რა დროს ძილია; წისქვილი; იმედი. № 3.
ლეჟავა გ. — გავეშუროთ ზვრებში. № 10.
ბალახაძე ს. — თავის დროზე; წინაპარი; რაჭა. № 11.

## პიონერული ცხოვრება

მეტრეველი თ. — ყრილობის დელეგატი. № 1. როგორც შორეულ სიყმაწვილეში, № 2; შუქი, რომელიც მოაქვთ ყვავილებს. № 7; სტენდები მოგვითხრობენ, № 8; ყველაზე ძვირფასი, № 12.
ფაილოძე ნ. — ხაზზეა ქუთაისის პიონერთა საქალაქო შტაბი „კოცონი“. № 1; ველით თქვენს წერილებს, მეგობრებო! № 2; ვახტანგი ჩვენი მარჯვენა ხელია. № 3; მისამართი: ლენინის რაიონი, 159-ე სკოლა. № 4; ჩვენ, კომკავშირის წარგზავნილები! № 7; უბის წიგნაკში ჩანიშნული მისამართები, № 9; ყველაზე კარგი საიუბილეო საჩუქარი, № 10; ვინ არის რაზმში მეთაური, № 11; ქვახვრელელთა სიხარული. № 12.
ქობალია სპ. — გილოცავთ, ხელმძღვანელო. № 2; შრომის, მეგობრობის ბანაკი, № 7.
ნუცუბიძე ნ. — ჯონი ქილლაძე და მესამე რაზმი. № 3.
მგელაძე ნ. — მიზნის ერთგულება, № 4; საიმედო ცვლა. № 5; მე და კომკავშირი. № 10.
აბდალაძე გ. — საკუთარი ხელით. № 4; მათი ხმაც მისწვდება, № 5; ჩვენი საჩუქარი ყრილობას. № 6.
ხერგიანი მ. — მუსიკა ჩვენი სიყვარულია. № 6. ჩვენი შრომითი მეოხედი. № 8.
აფხაზავა ნ. — საზღვარზე ისევ სიმშვიდეა. № 9; საკუთარი მარჯვენით. № 10; მისი სახელი. № 11.

## წერილები

პეკელისი ვ. — როგორ გავხდეთ პოლიგლოტი. № 1.
ზარდალიშვილი გრ. — ადამიანი და ვულკანი. № 1; მსოფლიოს რუკის საიდუმლოებანი. № 5.
გეგეჭკორი არნ. — „ბუნების კარი“. მშობლიური გრძნობა და შთამომავლობის აღზრდა ცხოველებში. № 1, 2; ვინ როგორ ზამთრობს. № 3; წყალსატევების რაინდი. № 6; ჩვენი ზღაპრის გმირი. № 9; თაფლიჭამია გიგანტი. № 11. ყურცქვიტა — ნაცარა. № 12.
ჭუმბურიძე ზ. — სიტყვის დაბადება. № 3, 4; დიდი ილია, № 5.
ოყროშიძე ლ. — ნუშურა ჯირკვლები და ჯანმრთელობა. № 3.
ანდრეევი ი. — მეაკვარიუმის ანი და ბანი. № 3, 4; ჩხვლეტია მზეთუნახავი. № 11.
უსტიუჟანინოვა ე. — ჰავანა — ფესტივალის დედაქალაქი. № 4.
შამანაძე ნ. — ხალხი დასცინის. № 4.
ჩხარტიშვილი ა. — აწყურის ციხე. № 4.
მარკოზაშვილი შ. — საქართველოს გოლგოთა. № 5.
ერემოვი გრ. — ვსწავლობთ საქართველოს სსრ კონსტიტუციას. № 6, 7, 8, 9.
დათუაშვილი გ. — ჰერბარიუმი. № 6.
სიდამონიძე ვ. — თუში გმირი ბაცაშვილი. № 6.
შუგლაძე შ. — ახალგაზრდობის ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის. № 7.
ხერგიანი მ. — ბუნების მეგობარი. № 7.
რეხვიაშვილი სპ. — საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული. № 8.
ხმალაძე ი. — ყვავილებით დავამშვენოთ ოთახები, ეზო, გარემო. № 8.
№ 8; უცნაური პალიტრა. № 9.
ორჯონიკიძე ი. — მთავარი მოწოდება. № 10.
ღუდუშაური გ. — საჭადრაკო და ალპინისტური კლუბი. № 10.

## ჩვენი განყოფილებები

ზნეობის ანბანი — №№ 1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 11.
აისი — №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
საინტერესო სიახლენი — №№ 1, 6, 8, 9.
ცხრაკლიტული — №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
უცხოური იუმორი — №№ 2, 5, 10, 11.
ახალი წიგნები — №№ 2, 3, 4, 5, 7, 8, 10, 11.
შენი უცხოელი თანატოლები — №№ 2, 3.
ჯადოსნური სარკე — №№ 2, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12.
გამოგადგება — №№ 2, 4, 5, 6, 7, 10, 11, 12.
ყურადღება, სტარტზე! — №№ 2, 4, 5, 7, 10, 11, 12.
მხედრიონი — №№ 3, 6, 7, 8, 10, 11.
მცირე პიონერული ენციკლოპედია — №№ 6, 8, 9, 10, 11.
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე — № 8.
მსოფლიოს ბავშვთა თამაშები — №№ 9, 10.

## პუბლიკაცია, მოგონება, სპორტი, მისალმება, სხვადასხვა

ხერგიანი მ. — ბერმუხა (ნ. კეცხოველის დაბადების 80 წლისთავი). № 3.
საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის რეზოლუციიდან. № 6.
გილოცავთ! (გ. ჭიჭინაძისა და დ. ივარდავასათვის საქართველოს კომკავშირის პრემიის მინიჭების გამო). № 7.
ალიო მირცხულავა (დაბადების 75 წლისთავი). № 6.
მარიჯანი (ნეკროლოგი). № 7.
ქორჭია რ. — როგორ მოკვდა ვაჟა-ფშაველა. № 7.
ალექსიძე გ. — საოცარი სტუმრები (ნამდვილი ამბავი). № 7.
ჭიჭინაძე ლ. — პედაგოგი და ლიტერატორი. № 8.
მარიკა ბარათაშვილი (დაბადების 70 წლისთავი). № 9.
კუსიანი ო. — ვიქტორ სანეევი. № 9; ლევან თედიაშვილი: ჩემს წარმატებას ქართულ ჭიდაობას ვუმადლი. № 11.
ჩვენთან სტუმრად არიან სამხრეთ ოსეთის მწერლები.

გარეკანის პირველ გვერდზე — „ზამთრის ზღაპარი“. მხატვარი ელისო ცაგაძე.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05, 93-31-81
პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26/X-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/XII-78 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 2939. ტირ. 148.900. უე 07204.

ფასი 20 კაპიკი

 © „პიონერი“, 1978 წ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.




## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



თარაზულად: 3. ფრინველი; 5. სოფელი თბილისთან ახლოს; 6. ევროპის სახელმწიფო; 8. პურეული მცენარე; 11. ავადმყოფი, ანუ? 13. კამფეტი; 14. ინდიკატორი, ანუ? 16. ქალის სახელი; 17. რიცხვი; 20. ქართული ჟურნალი; 21. საქართველოს კუთხე; 22. ხილკენკროვანი ნაყოფის გული; 24. ქალაქი საფრანგეთში; 25. რუსი კომპოზიტორი; 26. მთა საქართველოში; 28. მათრახი, ანუ? 30. ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მთავარი მოქმედი პირი.

შვეულად: 1. სასტამბო შრიფტი; 2. მაიმუნის ნაირსახეობა; 3. ნიავი, ანუ? 4. წამლის ერთეული; 5. ქართველი მსახიობი; 7. ქალის შესატყვისი სიტყვა ქართულში; 9. დიდი რუსი პოეტი; 10. სფისმური მოვლენა; 12. ერთ-ერთი მშენებლობა საქართველოში; 15. გარეული ცხოველი; 16. ჭადრაკის ფიგურა; 18. მტაცებელი ცხოველი; 19. ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე საქართველოს მდინარე; 22. საქართველოს დაბლობი; 23. ბერძნული ღვთაება; 27. კომში, ანუ? 29. საფრანგეთის იმპერიალისტთა დამამცირებელი სახელი ვიეტნამში.

მარინა ბექაური,
თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლა, VII კლასი.

## დაბადების დღეზე

ქეთინოს დაბადების დღეზე ხუთი თანაკლასელი ეწვია. რამდენიმე ხნის შემდეგ მეგობრებმა სცადეს გაეხსენებინათ ვინ ვის გვერდით იჯდა სუფრასთან. ქეთინომ თქვა: ნინო ჩემს მარჯვნივ იჯდაო. ნინომ კი გაიხსენა, რომ მის მარჯვნივ ნანა იჯდა. იამ თქვა: მარცხნივ ხათუნა მეჯდაო... ნანას ახსოვდა, რომ იგი ქეთინოს მხარმარჯვნივ იჯდა, ხათუნამ დაიჟინა მარჯვნივ დარო მეჯდაო, დაროს კი ეგონა, რომ იას მარცხნივ ვიჯექიო.

ამათგან ორმა გოგონამ არასწორად გაიხსენა სად იჯდა.

მართლაცდა, როგორი თანამიმდევრობით ისხდნენ ქეთინოს დაბადების დღეზე ბავშვები?

## შეჯიბრი

ოთხმა მეგობარმა თავთავიანთი მოტორიანი ნავებით გადაწყვიტეს 4-ჯერ შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ოთხივეჯერ შეეცვალათ ნავები.

პირველი გაცურვისას ზურაბი გიას ნავში იჯდა, მეორე გაცურვისას გია თამაზის ნავში. სანდრომ მოიგო მესამე გაცურვა თავისი ნავით „ნამცეცათი“, თანაც, მანვე მოიგო სხვა დანარჩენი გაცურვებიც. „კალიბრში“ მეორე გაცურვისას იჯდა თამაზი, მეოთხეში კი ზურაბი.

მეოთხე გაცურვისას ეს ნავი ნაპირთან „მერცხალის“ შემდეგ მეორე მივიდა. ვის ეკუთვნის ნავი სახელწოდებით „ტალღა“?

პასუხი № 11-ში დაბეჭდილ „ცხრაკლიტულზე“

## მათემატიკური გასართობი ამოცანის ამოხსნა

### კ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 1. კენგურუ; 2. მერჯევი; 3. მელომანია; 9. ლივრეა; 10. იაზონი; 13. ილია; 14. სკამი; 15. იაკი; 19. ასი; 20. არა; 24. სენა; 25. ორანი; 26. არია; 29. საბანი; 31. ონკოლოგია; 33. სტარტი; 34. ყისმათი; 35. ებრაელი.

შვეულად: 4. ვენეცია; 5. რომი; 6. ქვალონი; 7. ურემია; 8. ჰერამი; 11. თრიმლი; 12. უზბეკი; 14. სპილო; 15. იჯარა; 16. ანაპა; 17. სკა; 18. ისანი; 21. ვენერა; 22. ციცაბო; 23. ათი; 27. ატროფია; 28. იკორთა; 29. სტამბა; 30. ენისელი; 32. ელბა.

როგორც ანას, ისე თამარის ძმების ხნოვანებათა ნამრავლი 36-ია, მაშასადამე, უნდა მოინახოს სამი რიცხვის წყვილები, რომელში შემავალი სამი რიცხვის ნამრავლი 36 უდრის, ეს რიცხვები უნდა ვეძებოთ სიმრავლეში: 36 = (1; 2; 3; 4; 6; 9; 12; 18; 36).

შევადგინოთ ამ სიმრავლის ქვესიმრავლეები, რომელთა რიცხვების ნამრავლი 36-ია. ასეთებია (1; 1; 36;), (1; 2; 18), (1; 3; 12;), (1; 4; 9;), (1; 6; 6;), (2; 3; 6;), 2; 2; 9;), (3; 3; 4;).

მიღებულ 8 ქვესიმრავლეში ერთი ლუწი, 2 კენტი ან ერთი კენტი და ორი ლუწი რიცხვია. „შავგვრემანი“ აღნიშნავს განსხვავებულ რიცხვს. ახლა გამოვთვალოთ $(a+b)(a-b)=a^2-b^2$ გამოსახულებების მნიშვნელობები; ა) როცა $a=5$; $b=3$; მაშინ გამოსახულების მნიშვნელობა უდრის 16. ბ) როცა $a=7$; $b=6$ მნიშვნელობა $49-36=13$;

ახლა ვეძებოთ ჯგუფები, რომლებშიც ციფრთა ჯამი არის 16 და 13. III ჯგუფის ციფრთა ჯამი უდრის 16; III ჯგუფში უფროსი შავგვრემანია. ე. ი. ანას უფროსი ძმა 12-წლისაა, მომდევნოები კი 3 და 1 წლისანი.

თამარის ძმების ხნოვანებათა ჯამს 13-ს გვაძლევს. ორი ჯგუფი V და VII; VII— ამოცანისათვის არ გამოდგება, რადგან „შავგვრემანი“ უფროსია პირობის თანახმად. დარჩა V ჯგუფი, ე. ი. თამარის უმცროსი ძმა 1 წლისა ყოფილა. უფროსები ტყუპები, 6-6 წლისანი.

ИНДЕКС 76157

## ყურადღება, გოგონებო!



**ძალისმიერი ვარჯიშები.** 1. საწყისი მდგომარეობა — გულაღმა წევხარ, ხელები ტანის გასწვრივ გაქვს ჩაშვებული. ფეხებით ბურთი გიჭირავს. ბურთი ფეხებით ასწიე (ნელ-ნელა) და თავს უკან იატაკს შეახე. ნელ-ნელა უკანვე, საწყის მდგომარეობაში გადაიტანე. პაუზა. შემდეგ ვარჯიში გაიმეორე.

2. საწყისი მდგომარეობა — პირქვე წევხარ. ხელებს დაეყრდენი. აიწიე. ტანი გამართული უნდა იყოს. ხელები მოხარე. იატაკამდე დაეშვი. აწევ-დაწევის რიცხვი შენს ფიზიკურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული.

3. დოინჯი გააკეთე (წონასწორობის შესანარჩუნებლად ცალი ხელი შეგიძლია კედელს მიადო). ჩაბუქნე მარცხენა ფეხზე. მარჯვენა, გამართული ფეხი წინ უნდა იყოს გაშვერილი (იატაკს არ შეახო), რამდენჯერაც შეძლებ, ჩაჯექი მარჯვენაზე, მერე ფეხი შეინაცვლე.

**სისწრაფის გამოსამუშავებელი ვარჯიში.** 4. სახტუნელა ზემოდან წინ ატრიალე. ყოველ ახტომაზე სახტუნელა ორჯერ, სამჯერაც შეიძლება გაატარო ფეხქვეშ. იხტუნე, ვიდრე ფეხებს სახტუნელას არ გამოსდებ. შეისვენე. შემდეგ ისევ განაგრძე.

**მხტომელობის გამოსამუშავებელი ვარჯიში.**

5. ორივე ფეხით მაღლა შეხტი, ხან ერთი, ხან მეორე ხელი მაღლა ჩამოკიდებულ საგანს შეახე.

**მოქნილობის გამოსამუშავებელი ვარჯიშები**

6. დაჯექი. წინ გადაიხარე. აქ, სირთულის მიხედვით, სამი მოძრაობაა გასაკეთებელი. ა) ხელები წვივებზე მოიკიდე. ბ) ხელები კოჭებამდე მიიტანე, გ) ტანი და თავი ისე გადახარე, რომ ხელები ფეხის თითებს ჩასჭიდო. და ბოლოს, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ წინ იმდენად დაიხრები, რომ თავს მუხლებთან მიიტან.

7. გულაღმა დაწექი. დაეყრდენი ოდნავ გაშლილ ფეხებსა და ხელებს და აიწიე, ისე რომ ე. წ. ხიდი გააკეთო. რაც უფრო მეტად გაიხრები, მით უფრო სრულყოფილი ვარჯიში გამოგივა.

8. კედლისაკენ ზურგშექცეული დადექი. გამართული მარცხენა ფეხი ასწიე, მარჯვენა ხელი მოკიდე და გვერდზე გასწიე, შემდეგ ეს მოძრაობა მეორე ფეხითა და ხელით გააკეთე.

**გამძლეობის გამოსამუშავებელი ვარჯიში.**

9. ვიდრე სახტუნელა ერთ წრეს გააკეთებს, ორი ხტომა გააკეთე (შემდეგ ნახტომების რიცხვი შეგიძლია გაზარდო).